www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | 15 ოქტომბერი, სამშაბათი, 2002 წელი. №135 | ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### ძველი პოლიტიკური არიის რემიქსი „აღორძინების„ შესრულებით

“აღორძინება” ისევ აშენებს საქართველოს, დანარჩენები ანგრევენ; ასლან აბაშიძე აბრუნებს აფხაზეთს, დანარჩენები ხელს უშლიან და ტერაქტებს უწყობენ - ეს ბათუმური ალიანსის ძველი რეპერტუარია, მაგრამ ახლა მას აფხაზეთიდან ლტოლვილებს ასმენინებენ.

A2

## ეკონომიკა

### ჰესების მშენებლობისთვის საგადასახადო შეღავათები წესდება

*სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო ჰესების მშენებლობისათვის საგადასახადო შეღავათების მინიჭების ინიციატივით გამოდის. საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი სამინისტროს უკვე მზად აქვს. სამინისტროს პოზიციით, ინვესტორები, რომლებიც საქართველოს ენერგეტიკის ჰიდროპოტენციალის გაზრდაზე იზრუნებენ, განსაკუთრებული პრივილეგიებით უნდა სარგებლობდნენ.*

A4

## უცხოეთი

### გერმანიის დაზვერვის სამსახურის დოსიე: „ღამით მთელი ჩეჩნეთი ამბოხებულებს ეკუთვნით„

*გუშინ გერმანულენოვნმა გავლენიანმა გაზეთმა “დი ველტმა” ფედერალური კანცლერისადმი გერმანიის დაზვერვის სამსახურის მიერ წარდგენილი მოხსენება გამოაქვეყნა. დოკუმენტი ჩეჩნეთში რუსეთის სამხედრო კამპანიას შეეხება.*

A5

## უცხოეთი

### ქართული მენტალობა ანაქრონულია თანამედროვეობის მოთხოვნებთან

თანამედროვე ეპოქალური ცვლილებები ხასიათდება არნახული ტემპით და დიდ დროს არ გვიტოვებენ “გამოსაჯანმრთელებლად.” თუკი ჩვენს საზოგადოებას შემორჩა თვითგადარჩენის ინსტნიქტი, მას ამოქმედების შეზღუდული დრო აქვს!

A5

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 19 |
| ქუთაისი | 26 |
| ბათუმი | 24 |
| სოხუმი | 24 |
| ფოთი | 26 |
| თელავი | 17 |
| ზუგდიდი | 27 |
| გორი | 17 |
| ახმეტა | 17 |
| ჭიათურა | 22 |
| გაგრა | 23 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1500 |
| ევრო | 2.1104 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3673 |
| რუბლი | 0.0679 |

# კონსტიტუციის რანგის საკანონმდებლო აქტი

## სვეტიცხოვლობას სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ხელშეკრულება დაიდო



ზაალ ბულაშვილის ფოტო

სვეტიცხოვლობა

*მცხეთაში სვეტიცხოვლობას კვირა საღამოდან აღნიშნავდნენ. ღამეც გაათენეს და ღმერთიც ადიდეს. სახალხო დღესასწაული გახლდათ...*

თამარ ხორბალაძე

*გუშინ დილით კი სვეტიცხოვლის ალაყაფი “საგანგებო”, ანუ მოსაწვევიანი მრევლისთვის გაიღო.*

*სვეტიცხოველს გარს ერტყა პრეზიდენტის, როგორც ამბობენ, მაღალპროფესიონალი დაცვის მრავალფენიანი კორდონი და ტაძარში საშვით შეღწეული სასულიერო პირებიც ხუმრობდნენ იმის თაობაზე, რომ სვეტიცხოვლის კართან, გუშინ, ანაფორაზე მეტად, საქართველოს კანცელარიის მიერ გაცემული საბუთი “ჭრიდა”.*

*თუმცა, ეს აშკარა უხერხულობა და ტაძარს მიღმა დარჩენილი ხალხის გულისწყრომა გუშინ გადაწონა საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის კონსტიტუციური შეთანხმების ხელმოწერის ფაქტმა.*

**“კონსტიტუციის შემდეგ, ეს შეთანხმება საქართველოში იქნება ყველაზე მაღალი რანგის საკანონმდებლო აქტი. ასეთი ხელშეკრულება საუკეთესო ფორმაა სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის დასარეგულირებლად,”** - თქვა ხელშეკრულების ხელმოწერის წინ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა.

**“ამ ხელშეკრულების ხელმოწერა ორი ადამიანის დამსახურებაა, საქართველოს პატრიარქის და, თავმდაბლობას არ მოვყვები - საქართველოს პრეზიდენტის,”** - საგანგებოდ აღნიშნა სვეტიცხოველში მთელი მთავრობისგან შემდგარი ამალით გამოცხადებულმა ედუარდ შევარდნაძემ.

გაგრძელება A3 გვერდზე

## მრევლი კი წირვას ელოდა...

ზაზა ფაჩუაშვილი

სვეტიცხოველი დილაადრიანად არ გაივსო მხოლოდ იმიტომ, რომ ქვეყნის პრეზიდენტის, მისი დაცვის, დიპლომატიური კორპუსის, ბიზნესხელისუფლების წარმომადგენლებისა და ჟურნალისტებისთვის კაი დიდი ადგილი იყო დატოვებული. ხელმოსაწერი მაგიდა ანალოღიის წინ იდგა, მიკროფონებით გაძლიერებული ორი თითოკაციანი ტრიბუნა კი - ალბიონზე. სტოაში სხვადასხვა რელიგიური მიმდევრობის მოთვალთვალე ლიდერები შეინიშნებოდნენ.

შიგნით შეღწეული და, მით უფრო, გარეთ დარჩენილი მრევლი მოუთმენლად ელოდა ხელმოწერას. თუ მხედველობაში მივიღებთ შეთანხმების ისტორიულ მნიშვნელობას, მისი გაფორმების პროცესი წამიერად დასრულდა.

შავკაბიან პატრიარქსა და უწმინდესი სინოდის წევრებს საკურთხევლიდან გამოეგებნენ ბრწყინვალედ შემოსილნი დიაკონნი, მღვდელნი, დეკანოზნი და გამშვენებულნი დეკანოზნი. დაიწყო ლოცვა და მოლოდინი პრეზიდენტისა, რომლის გამოჩენისას კვლავ ააზანზარეს სამრეკლო.

პირველი სიტყვა პატრიარქმა ბრძანა. ასრულდა ნება ღმრთისაო,- გაისმა ალბიონიდან. ნება ღმრთისა კი ქვეყანაში მშვიდობისა და მართლმადიდებელი სარწმუნოების განმტკიცებაა. სწორედ ამისთვის უნდა იზრუნონ ერთობლივად სახელმწიფომ და ეკლესიამ. იმედი მაქვს, რომ, ღმერთის შეწევნით, საკადრის პასუხს გავცემთ სექტანტებსო,- ისურვა პატრიარქმა და მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც შეთანხმების მომზადებისთვის იღვაწა.

პრეზიდენტის გამომეტყველება მხოლოდ ბრმას არ განაწყობდა მის მოსასმენად. ეს საუკუნეების ნაოცნებარი იდეაა და ამ საქმის წამოწყება ორი ადამიანის - ჩემი და პატრიარქის დამსახურებააო,- თქვა მან.

ამის შემდეგ სვეტიცხოვლის წინამძღვარმა, მამა ზენონმა, შეთანხმების ტექსტი წაიკითხა.

დაიწყო გალობა და ხელმოწერის პროცედურა. როგორც იქნა, საერო და სასულიერო ხელისუფლება საქვეყნო იდეის გარშემო გაერთიანდა. მადლობა ღმერთსო, - პირჯვარს იწერდა მრევლი.

დაცვითა და კამერებშემართული ოპერატორ-ჟურნალისტებით გარშემორტყმული საერო ხელისუფლება რომ წავიდა, დაღლილმა ქალბატონებმა კიდევ ერთხელ გადაუხადეს მადლობა ღმერთს. რა ექნათ, სვეტიცხოვლობა იყო და წირვას ელოდებოდნენ. ტაძრისკენ გარეთ დაკავებული ზღვა ხალხიც დაიძრა.

## ოპოზიციის სიძლიერე ჟვანია-სააკაშვილის ერთიანობაზეა დამოკიდებული

ეკა კვესიტაძე

პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლის დროს ოპოზიციის ნაწილის ერთსულოვანმა დემარშმა შევარდნაძეს აგრძნობინა, რომ სიტუაციას თავისი სურვილისამებრ ვეღარ აკონტროლებს, მათ შორის - ვერც პარლამენტში.

იმ დღეს ოპოზიციის ოთხი ყველაზე გავლენიანი პარტიის ერთად დგომა ოპოზიციაში დაწყებული გაერთიანების ტენდენციის გაძლიერებაზე მიუთითებს, თუმცა, ძნელი სათქმელია, რამდენ ხანს გასტანს ეს ტენდენცია და არის თუ არა ანტიშევარდნაძისტული ფაქტორი იმდენად ძლიერი, რომ ამ პარტიების ერთსულოვნება საპარლამენტო არჩევნებისთვის მაინც განაპირობოს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## „კოკა-კოლა„ და „ეი-ი-ეს თელასი„ ერთმანეთს სასამართლოში უჩივიან

*“ეი-ი-ეს თელასი” “კოკა-კოლას” ურჩ გადამხდელს უწოდებს და მის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს. თავის მხრივ, “კოკა-კოლასაც” აქვს სასამართლოში სარჩელი შეტანილი. იგი “ეი-ი-ესისგან” ელექტროენერგიის ალტერნატიული წყაროს მიღების ნებართვას ითხოვს.*

სოფო კვინტრაძე

რამდენიმე დღის წინ სასტუმრო “მარიოტ-თბილისში” გამართულ ქართველ და ამერიკელ ბიზნესმენთა შეხვედრაზე, “ეი-ი-ეს თელასის” გენერალურმა დირექტორმა იგნასიო ირიბარენმა იმ ხელის შემშლელ გარემოებებზე ისაუბრა, რასაც იგი საქართველოში საქმიანობისას აწყდება. ირიბარენმა თავის საყვარელ შედარებას მიმართა და კიდევ ერთხელ დააფიქსირა, ამჯერად ამერიკელი და ქართველი ბიზნესმენების თანდასწრებით, რომ საქართველო ელექტროენერგიის საფასურის გადახდის კულტურით ძალიან ჰგავს კოლუმბიას:

გაგრძელება A4 გვერდზე

## წარსულიდან მომავლისკენ B7



ზაალ ბულაშვილის ფოტო

*პატრიკ ფორი და კლოდ სორელი (მარჯვნიდან) ˝24 საათის˝ რედაქციაში*

## პოლიციელი პოლიციელის წინააღმდეგ

### ექს-პრეზიდენტის ვაჟს გიორგი გამსახურდიას მოქალაქეთა ფიზიკური შეურაცხყოფისთვის უჩივიან

ინგა ალავიძე

*არსად, არც ერთ ქვეყანაში მოსახლეობას პოლიცია არ უყვარს. არც ერთი ქვეყანა პოლიციის ძალადობისგან დაცული არ არის. მაგრამ, საქართველოსგან განსხვავებით, ცივილიზებულ ქვეყნებში კანონის დამცველთა ძალადობას საზოგადოებრივ კონტროლს უპირისპირებენ, რითიც ადამიანთა უფლებების დაცვას ახერხებენ.*

*მართალია, ცივილიზებული ქვეყნებისგან, ჯერჯერობით, შორს ვართ, მაგრამ სამოქალაქო აზროვნების პრეცედენტები საქართველოშიც გამოჩნდა.ერთ-ერთ ასეთ პრეცედენტად პუშკინის ქუჩაზე მომხდარი ინციდენტიც შეიძლება ჩავთვალოთ, რომლის შემდეგაც პოლიციელთა მიერ შეურაცხყოფილმა მოქალაქეებმა გაჩუმებაზე უარი თქვეს და დამნაშავეთა აუცილებლად დასჯას ითხოვენ.*

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 ინფორმაცია | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 თვალსაზრისი

B2 კულტურა | B3 ანკეტა | B4-B5 სპეცსამსახურები | B6 განცხადებები | B7 სპორტი | B8 სხვადასხვა

# ძველი პოლიტიკური არიის რემიქსი „აღორძინების„ შესრულებით

*გუშინ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში “დევნილთა სახალხო პარტიის” ყრილობა გაიმართა. დელეგატებმა ასლან აბაშიძეს და “აღორძინებას” სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს და საკუთარ საარჩევნო ხმებსაც შეჰპირდნენ. თავის მხრივ, “აღორძინების კავშირმა” “დევნილთა სახალხო პარტია” საკუთარ ფრთებქვეშ შეიფარა და მომავალ საარჩევნო ბლოკში ადგილიც დაუჯავშნა.*

**თამარ მჭედლიშვილი**

აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილების კეთილგანწყობა ნებისმიერი პარტიისთვის სერიოზული პოლიტიკური გამარჯვების წინაპირობა ხდება. “აღორძინებამ” ფსონი ბორის კაკუბავას “დევნილთა სახალხო პარტიაზე” დადო. მხარდაჭერის სანაცვლოდ, ბათუმი დევნილებს აფხაზეთის დასაბრუნებლად მიზანმიმართული პოლიტიკის გატარებას ჰპირდება. მით უფრო, რომ, “აღორძინების” მტკიცებით, პირველი ნაბიჯები ასლან აბაშიძის მხრიდან უკვე გადაგმულია...

გუშინ ბორის კაკუბავამაც და “აღორძინების” ლიდერებმაც დევნილთა ემოციებზე შესანიშნავად ითამაშეს და ყრილობა სწორედ ისე წარმართეს, როგორც დაგეგმეს – მიიღეს რეზოლუცია, რომლის მთავარ მოთხოვნას პრეზიდენტის, პარლამენტისა და აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების გადადგომა წარმოადგენს. ამავე რეზოლუციით პარტია ერთსულოვნად მხარს უჭერს ასლან აბაშიძის მიერ გატარებულ პოლიტიკას აფხაზეთის დაბრუნებასთან დაკავშირებით.

დღეიდან პარლამენტარი ბორის კაკუბავა უკვე ოფიციალურად არის “დევნილთა სახალხო პარტიის” ლიდერი, რადგან პარტიის გუშინდელ ყრილობაზე შეკრებილმა დელეგატებმა იგი საკუთარ წინამძღოლად ერთსულოვანად აღიარეს. თუმცა, გუშინდელი ყრილობის მთავარი გმირი ბორის კაკუბავა ნამდვილად არ ყოფილა. ეს საპატიო წოდება აჭარის მეთაურს ასლან აბაშიძეს ერგო, რომელიც **“ერთადერთია საქართველოში, ვინც აფხაზეთის დასაბრუნებლად მიზანმიმართულად იბრძვის.”**

გუშინ ყრილობაზე თავად ასლან აბაშიძეც გამოჩნდა, ოღონდ მხოლოდ ეკრანზე. რამდენიმე წუთის განმავლობაში დარბაზი გულისყურით უსმენდა ასლან აბაშიძისეულ დოქტრინას აფხაზეთის დაბრუნების თაობაზე.

აფხაზ ხალხთან ნდობის აღდგენის მიზნით, მან საქართველოს ხელისუფლებისაგან აფხაზეთისთვის ბლოკადის მოხსნა, სარკინიგზო, საჰაერო, საზღვაო და საავტომობილო კავშირის აღდგენა, აფხაზებისთვის ენგურჰესიდან ელექტროენერგიის თურქეთში ტრანზიტზე ნებართვა მოითხოვა. **“სანამ არ გამოვავლენთ მშვიდობიან ნებას, მიზანს ვერ მივაღწევთ”,** - განაცხადა ეკრანიდან ასლან აბაშიძემ და იქვე იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს პრეზიდენტი და პარლამენტი მის მოთხოვნებს გაგებით მოეკიდებიან, რადგან ამ მოთხოვნების შესრულება შექმნის ნიადაგს აფხაზეთის დასაბრუნებლად, ხოლო ვისაც მათი შესრულება არ სურს, **“იგი აფხაზეთის დაბრუნების წინააღმდეგია”.** მანვე დევნილებს მხარდაჭერა და აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების პროცესში აქტიური ჩაბმა სთხოვა, რადგან სწორედ ამაზეა **“მნიშვნელოვნად დამოკიდებული აფხაზეთის დაბრუნება”.**

ამის შემდეგ კი სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ასლან აბაშიძის ერთგული პოლიტიკოსები – ანზორ აბრალავა, ჯემალ გოგიტიძე, ჯემალ გამახარია... მათი გამოსვლების შინაარსი ერთმანეთს ჩამოჰგავდა და შევარდნაძის გარემოცვისა და ჟვანია-სააკაშვილის ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს ეხებოდა. რა თქმა უნდა, ყველა გამოსვლას ლეიტმოტივად აფხაზეთი დაჰყვებოდა.

საბოლოოდ კი აღმოჩნდა, რომ თითქმის მივიწყებული გამოთქმა ”თბილისსა და ბათუმს შორის დაპირისპირება”, პოლიტიკოსთა სურვილით, დღეს კვლავ აქტუალური ხდება. პოლიტიკურ სივრცეში ძალთა ხელახალი გადანაწილების ფონზე დაწყებული პარტიული ბრძოლები და ურთიერთდაპირისპირებები ისეთსავე ფორმებს იძენს, როგორც გასული 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ.

”აღორძინების” ლიდერები კვლავ ასლან აბაშიძის წინააღმდეგ დაგეგმილ ტერაქტებზე, თბილისის მიერ აჭარის დაპყრობის მზაკვრულ გეგმაზე და პრეზიდენტისა და მისი გარემოცვის კრიმინალურ საქმიანობაზე საუბრობენ.

თითქოს ამ წლების მანძილზე არაფერი შეცვლილა - ყველაფერი ზუსტად ისე გამოიყურება, როგორც 1999 წელს: ასლან აბაშიძე ქვეყნის აღმშენებელია, დანარჩენები – დამანგრევლები, ასლან აბაშიძეს აფხაზეთის დაბრუნება სურს, შევარდნაძის გარემოცვას – აჭარის ლიდერის განადგურება. ასლან აბაშიძე საქართველოს ერთიანობისთვის იბრძვის, პრეზიდენტ შევარდნაძეს კი ქვეყნის დანარჩენი ტერიტორიებისა და, პირველ რიგში, აჭარის დამონება უნდა...

გუშინ ფილარმონიაში პოლიტიკოსთა გამოსვლები სხვა არა იყო რა, თუ არა ძველი, ნაცნობი პოლიტიკური არიის რემიქსი. ასე მაგალითად, ჯემალ გოგიტიძემ განაცხადა, რომ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის გარემოცვა აჭარას ომით ემუქრება და ელოდება იმ დროს, როდესაც ბათუმს რუსეთის სამხედრო ბაზა დატოვებს. თუმცა, სულ ტყუილად, რადგან ბათუმში დისლოცირებულ რუსეთის სამხედრო ბაზაზე მომსახურე ქართველი ჯარისკაცები იარაღით დაიცავენ აჭარას იმ საფრთხისგან, რომელიც პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის გარემოცვიდან მომდინარეობს... მსგავსი პათოსით იყო გაჟღენთილი სხვათა გამოსვლებიც.

ცხადია, რომ ამ აღებულ კურსს ”აღორძინება” არც ახლო მომავალში უღალატებს. ბორის კაკუბავა კი მათ მიეხმარება – ნოემბერში დაგეგმილია დევნილთა 100000-იანი მიტინგის ჩატარება, სადაც პრეზიდენტისა და მთავრობის გადადგომის მოთხოვნა გაიჟღერებს. ძალის ასეთი დემონსტრირება ამ მიტინგის ორგანიზატორებს იმავე შევარდნაძესთან მომავალ ვაჭრობებში, ალბათ, კარგა გვარიანად დაეხმარება...

## მოკლედ

**თბილისი.** სამხრეთ ოსეთის არაღიარებული რესპუბლიკის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება პროფესიული არმიის ჩამოყალიბების თაობაზე.

ამის შესახებ პრაიმ-ნიუსს განუცხადა სამხრეთ ოსეთის ლიდერმა ედუარდ კოკოითიმ.

მისი თქმით, არმიაში 6 ათასამდე კაცი იქნება, რომლებსაც კონტრაქტების საფუძველზე აიყვანენ.

მან აღნიშნა, სამხრეთ ოსეთში ამჟამად მიმდინარე რეზერვისტების მობილიზაციის პროცესი ხელს შეუწყობს მომავალი არმიისთვის კადრების შერჩევას.

“სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა და თავისი შეიარაღებული ძალები უნდა ჰყავდეს”, - განაცხადა ედუარდ კოკოითიმ.

საქართველოს შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის ხელისუფლებამ დამოუკიდებლობა 10 წლის წინ გამოაცხადა, მაგრამ ოფიციალური თბილისი და საერთაშორისო თანამეგობრობა მას არ აღიარებენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის ვიცე-პრემიერი ახმედ ზაკაევი აცხადებს, რომ ჩეჩენი ლტოლვილები სამშობლოში დაბრუნებას მხოლოდ კრემლის მიერ ჩეჩნეთში “ანტიხალხური კამპანიის” დასრულების შემდეგ შეძლებენ.

“ლტოლვილებს დაბრუნებისთვის უსაფრთხოების ელემენტალური პირობები სჭირდებათ”, - უთხრა მან პრაიმ-ნიუსს.

ზაკაევმა აღნიშნა, რომ პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ არაერთხელ მოუწოდა რუსეთს, შექმნას ასეთი პირობები და დააბრუნოს თავის მოქალაქეები, თუ მოსკოვს მათზე ნამდვილად გული შესტკივა.

იგი თვლის, რომ ამჟამად რუსეთს არ ჰყავს ისეთი წარმომადგენელი, რომელიც შეძლებდა საქართველოში ჩასვლას და იქ მყოფ 4 ათასამდე ჩეჩენ ლტოლვილს დაბრუნების შესაძლებლობაში დაარწმუნებდა.

“ჩეჩნეთში ომი მიმდინარეობს, რომლებსაც ისინი გამოექცნენ”, თქვა მან.

ამასთან, ახმედ ზაკაევმა განაცხადა, რომ ჩეჩნები საქართველოს სტუმრები არიან, რომელსაც აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან თავის დევნილებთან დაკავშირებით გააჩნია პრობლემები. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ირინა სარიშვილი-ჭანტურია აცხადებს, რომ თუ 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის არ შეიქმნა მძლავრი პოლიტიკური ძალა, “არსებული სურათის შეცვლა ძალიან ძნელი იქნება”.

პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში მან თქვა, რომ რამდენიმე საკითხზე ემთხვევა პოზიციები ეროვნული-დემოკრატიულ პარტიას, “გაერთიანებულ დემოკრატებსა” და ტრადიციონალისტთა კავშირს შორის, მაგრამ “ეს საქმე, ჯერჯერობით, არ მიდის იქითკენ, რომ ბლოკზე ვისაუბროთ”.

ამასთან, მისი თქმით, თუ საქმის ინტერესმა და სწორად დანახულმა პრობლემამ უფრო მეტი ადგილი დაიკავა გონებაში, ვიდრე სხვა კონკრეტულმა პარტიულმა პრობლემებმა, მაშინ, ალბათ, გაერთიანება მოხერხდება.

ედპ-მ, “გაერთიანებულმა დემოკრატებმა” და ტრადიციონალისტთა კავშირმა 19 აგვისტოს პოლიტიკურ პარტიათა საკოორდინაციო საბჭო დააფუძნეს.

ეს პარტიები აცხადებენ, რომ ითანამშრომლებენ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და დემოკრატიული ღირებულებების დაცვის, ქვეყანაში პოლიტიკური კრიმინალიზაციის არდაშვების, თითოეული მოქალაქის მიერ სამოქალაქო თავისუფლებათა განხორციელების, პოლიტიკური პროცესების ძალადობრივი ანტიკონსტიტუციური გზით განვითარების თავიდან აცილების, ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების, სამოქალაქო მშვიდობის დაცვის და შენარჩუნების მიმართულებით. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ამ დღეებში მოსკოვში იმყოფებოდნენ აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის ე.წ. სახალხო კრების (პარლამენტის) სპიკერი ნუგზარ აშუბა და ვიცე-სპიკერი ალექსანდრ სტრანიჩკინი. მათი ვიზიტის მიზანი იყო შეხვედრები რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა კანონშემოქმედებითი ინსტიტუტების წარმომადგენლებთან.

სეპარატისტული რეჟიმის დელეგაცია შეხვდა რუსეთის ფედერაციის მთავრობასთან არსებული ეკონომიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელობას. შეხვედრაზე, გარდა კანონშემოქმედებით დარგში თანამშრომლობისა, მიღწეულ იქნა შეთანხმება ეკონომიკის სფეროში კადრების მომზადებისა და გადამზადების შესახებ.

სეპარატისტული რეჟიმის ე.წ. პარლამენტის სპიკერის თქმით, უახლოეს პერიოდში რუსეთის ეკონომიკის ინსტიტუტი შეუდგება „აფხაზეთის რესპუბლიკის“ სამოქალაქო კოდექსის კანონპროექტზე მუშაობას.

მშენებლობის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ივან ზელეკოვმა ნუგზარ აშუბასთან საუბრისას განაცხადა, რომ „აფხაზეთისა და რუსეთის საკანონმდებლო-სამართლებრივი სივრცე ურთიერთშესაბამისობაში უნდა მოვიდეს“. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი ვალერი ევნევიჩი კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას კონფლიქტის ზონაში სამშვიდობოების დამატებითი კონტინგენტის შეყვანის შესახებ.

რუსეთის სამშვიდობო ძალების სამხრეთ ზონის მეთაურის ინფორმაციით, სამხრეთ ზონის შტაბში, რომელიც დისლოცირებულია ზუგდიდის რაიონის სოფელ ურთაში, მსახურობს 500 რუსი სამხედრო.

რაც შეეხება, რუსეთის სამშვიდობო ძალების ჩრდილოეთი ზონის შტაბს, იგი განლაგებულია გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში. აქაც 500 რუსი სამხედრო მსახურობს. ამავე სოფელში, ციტრუსების მეურნეობის ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებულია გამნაღმველთა ასეული, სადაც 40 სამხედრო მოსამსახურეა.

გალის რაიონის სოფელ მზიურში ავტოსატრანსპორტო გარაჟის ტერიტორიაზე დისლოცირებულია საინჟინრო-სატრანსპორტო ასეული, სადაც 57 სამხედრო მსახურობს.

გალის რაიონში დისლოცირებული რუსი მშვიდობისმყოფელების მე-6 ბატალიონი დაიშალა, ნაწილი შეუერთდა გუდაუთაში დისლოცირებულ სამშვიდობოთა ჯგუფს, ნაწილი კი - კოდორის ხეობაში განლაგებულ სამშვიდობოთა 108-ე და 107-ე საგუშაგოებს.

ერთ თვეში დაიწყება რუსეთის სამშვიდობო ძალების სამხრეთი ზონის პირადი შემადგენლობის როტაცია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რამდენიმე დღის წინათ თურქულმა ფირმამ „სარია“ სოხუმის პორტში თურქული ბარჟით შეიტანა დიდი რაოდენობით უაქციზო სიგარეტი „LD“, რომლის ერთი ნაწილი აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის სპეცრაზმის მეთაურმა ვალმერ ბუთბამ შეიძინა.

სიგარეტის დანარჩენი პარტია კი შეისყიდა რუსულმა ფირმამ „ბაბაევსკი“, რომელიც ამ პარტიის რუსეთში გატანას აპირებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის ე.წ. პრივატიზაციისა და ქონების მართვის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის თამაზ გოგიას ინფორმაციით, დღეისათვის პრივატიზებისთვის უკვე მზად არის 120 საკურორტო თუ სხვა სახის დაწესებულება.

ამჟამად საკურორტო-დასასვენებელი კომპლექსების უმრავლესობა დროებით სარგებლობში ან გრძელვადიანი იჯარით აქვთ გადაცემული რუსეთის სახელმწიფო სტრუქტურებსა და კომპანიებს. მათ შორის ყველაზე მსხვილი და მომგებიანი ობიექტები გადაეცა რუსეთის თავდაცვისა და ატომური მრეწველობის სამინისტროებს.

აფხაზეთში ყველაზე აქტიურად „მოღვაწე“ რუსული კომპანიებია „ლუკოილი“ და „გაზპრომი“. ზოგიერთი აფხაზური ფირმას რუსული კომპანია მფარველობს, მაგალითად, აფხაზური „ზავორსის“ უკან, რომელმაც ოჩამჩირის რაიონში ობიექტი შეიძინა, ტიუმენის ბინათმშენებელი კომბინატი დგას.

აფხაზთა სეპარატისტული რეჟიმის ე.წ. პრივატიზაციისა და ქონების მართვის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე თამაზ გოგია აცხადებს: „ჩვენთვის უმთავრესია არა დიდი მოგება, არამედ მთავარია ამ გზით გავაღვივოთ რუსეთის დაინტერესება აფხაზეთისადმი, თუნდაც ეს ფაქტი იურიდიულად ჯერ არ იყოს აღიარებული“. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

***ქუთაისი.*** წყალტუბოს სანატორიუმ “მეტალურგში” არსებული ფინანსური დარღვევები და სამართალდამცავი ორგანოების მიერ შემოწმების გაჭიანურება იმერეთის არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლების შეხვედრის მიზეზი გახდა.

სანატორიუმის თანამშრომელი მევლუდ ბობოხიძე “მეტალურგის” ხელმძღვანელობას და, კერძოდ, დირექტორს ანზორ ბაბუნაშვილს კორუფციაში დებს ბრალს.

მისი განცხადებით, “მეტალურგის” დირექტორად ანზორ ბაბუნაშვილის დანიშვნა წყალტუბოს გამგებლის მირზა ქორქაშვილის ხელშეწყობით მოხდა და დღემდე ის მფარველობს.

“დირექტორმა სახელფასო დავალიანების დაფარვის გარეშე თანამშრომელთა რაოდენობა შეამცირა და მისთვის საჭირო შტატები დაამატა”, - განაცხადა “ინტერ-პრესთან” საუბარში მევლუდ ბობოხიძემ.

მისი მტკიცებით, სანატორიუმში, სადაც ლტოლვილები ცხოვრობენ, ბაბუნაშვილმა სამი ფირმა გახსნა და პირადი სარგებლობისათვის, არამიზნობრივად აწარმოებს ფინანსური სახსრების ხარჯვას.

ახლადდანიშნული დირექტორის მიერ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულმა მევლუდ ბობიხიძემ სასამართლო გადაწყვეტილებით აღიდგინა თავი. ამის შემდეგ მან სანატორიუმში არსებული დარღვევების გამოძიებისა და მდგომარეობის შესწავლის მოთხოვნით საქართველოს გენერალურ პროკურატურას მიმართა.

ბობოხიძეს გენერალური პროკურატურიდან, მიუხედავად კანონით გათვალისწინებული 20 დღის ვადისა, უკვე სამი თვეა, პასუხი არ მიუღია. ***ინტერ-პრესი***




გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# კონსტიტუციის რანგის საკანონმდებლო აქტი



*ხელმოწერის ცერემონია*

პირველი გვერდიდან

**"ხელშეკრულება, რომელიც საქართველოში აზრთა უკიდურესი დაპირისპირების პირობებში მომზადდა, დღეს არც ერთი მხარის კატეგორიულ წინააღმდეგობას არ იწვევს",** - ამაყობდა გუშინ ამ საკითხზე მომუშავე საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე გიგი წერეთელი.

და მაინც, რას გულისხმობს საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასა და სახელმწიფოს მიერ გუშინ დადებული ხელშეკრულება, რომელზეც საზოგადოებაში ბოლომდე ერთგვაროვანი აზრი ნამდვილად არ არსებობს?

საკონსტიტუციო შეთანხმებით, ეკლესია წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ სამართლის სუბიექტს - სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სრულუფლებიან საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც თავის ფუნქციებს ასრულებს საეკლესიო (კანონიკური) სამართლის ნორმებით, ამ შეთანხმებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში.

შეთანხმებით, სახელმწიფო მხარს უჭერს აღსარებისა და საეკლესიო საიდუმლოების დაცვას. სასულიერო პირი უფლებამოსილია, არ მისცეს ჩვენება იმ ფაქტებზე, რომელიც მას, როგორც სულიერ მოძღვარს, გაანდეს ან მისთვის, როგორც სულიერი მოძღვრისათვის, გახდა ცნობილი.

სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის მიერ შესრულებულ ჯვრისწერას, კანონით დადგენილი წესით. სამართლებრივ ურთიერთობებში გამოიყენება ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები.

შეთანხმების მიხედვით, სასულიერო პირის სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა არ ხდება. ამასთან, სახელმწიფო, ეკლესიასთან შეთანხმებით, უზრუნველყოფს სამხედრო-საჯარისო ფორმირებებში, საპატიმროებსა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოძღვრის ინსტიტუტის შექმნას და შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღებას.

სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართლმადიდებელი სარწმუნოების შესახებ საგნის სწავლება ნებაყოფლობითია. სასწავლო პროგრამების დადგენას, შეცვლას, პედაგოგთა დანიშვნას და გათავისუფლებას უზრუნველყოფს სახელმწიფო, ეკლესიის წარდგინებით. სახელმწიფო და ეკლესია ორმხრივად და თანაბრად აღიარებენ შესაბამისი სასწავლო დაწესებულებების მიერ გაცემულ განათლების დამადასტურებელ საბუთებს, სამეცნიერო ხარისხებსა და წოდებებს.

საკონსტიტუციო შეთანხმებით, ეკლესიის დაფინანსების წყაროებს წარმოადგენს ნებაყოფლობითი შემოწირულობანი, სამეწარმეო შემოსავლები, ინვესტიციები, გრანტები, მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობით მიღებული სხვა შემოსავლები. ამასთან, ეკლესია უშუალოდ არ ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას. ეკლესიის არაეკონომიკური მიზნით არსებული ქონება, სალვთისმსახურო მიზნით წარმოებული და მოწოდებული პროდუქცია გათავისუფლებულია გადასახადებისაგან. სახელმწიფო, ეკლესიასთან შეთანხმებით, აძლევს ნებართვას (ლიცენზიას) სალვთისმსახურო მიზნით წარმოებული პროდუქციის დამზადებაზე.

სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მოქმედ და არამოქმედ მონასტრებს, მათ ნანგრევებს, აგრეთვე მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული.

სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს, აგრეთვე, მუზეუმებსა და საცავებში არსებულ მთელ საეკლესიო საგანძურს, პირად საკუთრებაში ადრე არსებული ნაწილის გარდა; ამასთან, საეკლესიო საგანძური არის სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთობლივ მფლობელობაში.

შეთანხმებით, სახელმწიფო ადასტურებს მე-19 და მე-20 საუკუნეებში, განსაკუთრებით - 1921-90-იან წლებში, ეკლესიისთვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტს და, როგორც ჩამორთმეული ქონების ნაწილის დღეისათვის მფლობელი, აღიარებს ამ ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურების ვალდებულებას.

დოკუმენტი, ხელმოწერის შემდეგ, ექვემდებარება პარლამენტისა და წმიდა სინოდის მიერ დამტკიცებას.

## კომენტარი

**ერლომ ახვლედიანი, მწერალი:**

შეთანხმება ყველაზე ოპტიმალური გამოსავალია დღევანდელ არეულ ყოფაში. ბოლოს და ბოლოს, ეკლესიის უფლებები გაიმიჯნა სახელმწიფოს უფლებებისგან.

კონსტიტუციური შეთანხმება არავითარ შემთხვევაში არ გამოიწვევს ეკლესიის ჩათრევას პოლიტიკაში, პროცესი თავისთავად დარეგულირდება. ყოველ შემთხვევაში, წინასაწარ ამის განსჯა საჭირო არ არის – მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია. ეკლესია უდიდეს როლს ასრულებს ჩვენს ცხოვრებაში და საკითხის ამგვარად დასმაც კი უმართებულოდ მიმაჩნია. უკვე წავიდა ის დრო, როცა ტოტალურ სახელმწიფოს კორექტივები შეჰქონდა ეკლესიის ცხოვრებაში. ეს არის ცხოვრების ახალი ეტაპი და მას ასე ეჭვის ქვეშ ნუ დავაყენებთ.

**ლევან ბერძენიშვილი, ნაციონალური მოძრაობა:**

უმთავრესი ის არის, რომ უკვე ვერავინ იტყვის, კანონის არარსებობის გამო, ქვეყანაში რელიგიური საკითხი ვერ გვარდება და ადამიანის უფლებები ირღვევაო. ახლა უკვე შეთანხმება არსებობს, სამწუხაროდ, წესრიგი, ალბათ, კვლავ ვერ მიიღწევა, ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში კანონებს წამდაუწუმ არღვევენ.

მართალია, ხელოვნებათმცოდნეებისთვის კამათის საგნად იქცა, ვინ უნდა ყოფილიყო სიწმინდეების მეპატრონე, მაგრამ, ჩემი აზრით, საკითხი კომპრომისული ფორმით გადაწყდა და იგი არავისთვის დრამატული არ უნდა იყოს.

მივესალმები იმ ფაქტს, რომ სახელმწიფო იღებს ვალდებულებას ეკლესიისთვის წართმეული ქონების დაბრუნების შესახებ. ასე რომ, კონკორდატის ტიპის ეს შეთანხმება მაინც წინ გადადგმული ნაბიჯია. ეკლესიის და სახელმწიფოს ნება აღსრულებულია, ახლა საზოგადოების ინტერესებიც უნდა დავიცვათ. ეს იმას ნიშნავს, რომ უდა დავიცვათ კანონი, ყველა აღმსარებლობის უდიდესი კონსტიტუციური უფლება - თავისუფლება (ისე, მე თუ მკითხავთ, კანონის მიღება სულაც არ იყო საჭირო იმისთვის, რომ მამა ბასილისნაირი პროვოკატორები აღგვეკვეთა).

ხელშეკრულების მთავარ ღირსება ის არის, რომ ეკლესიას სახელმწიფოსგან მიჯნავს. აქამდე ძალიან ხშირად ვიღაცვიღაცები საპატრიარქოს სამინისტროს მსგავს უწყებად მოიხსენიებდნენ. ეკლესიას მეტი პატივისცემა სჭირდება. ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსგან, ეს არის ყველაზე დემოკრატიული მიღწევა სახელმწიფო მშენებლობის გზაზე.

სამწუხაროდ, ზოგიერთები მიიჩნევენ, რომ ეს არის გარდამავალი ხელშეკრულება და მომავალში საჭიროა, მართლმადიდებლობის გამოცხადება სახელმწიფო რელიგიად, რაც ყოვლად დაუშვებელია. სხვათაშორის, საბერძნეთის კათალიკოს-პატრიარქმა გვირჩია, ამგვარი ნაბიჯი არ გადადგათო.

მე არ მაქვს ილუზია, რომ შეთანხმების შემდეგ ყველაფერი კარგად იქნება. ბოლოს და ბოლოს, საქართველოში არსებობს კონსტიტუცია, რომელსაც არავინ იცავს.

**ვიტალი ხაზარაძე, ფრაქცია "მოქალაქის" თავმჯდომარე:**

ეს დოკუმენტი ერთდროულად მოუტანს სარგებელს ქვეყანასაც და ეკლესიასაც. თავისთავად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სახელმწიფომ ხელშეკრულება გააფორმა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან. საქართველოს ისტორიაში ეს იგივეა, რაც ეკლესიისთვის ავტოკეფალიის დაბრუნება.

ხელშეკრულების პირველსავე ნაწილში ცალსახად არის დაფიქსირებული, რომ ეკლესია დამოუკიდებელია სახელმწიფოსგან. ამდენად, მისი პოლიტიკური ზეგავლენის ქვეშ მოქცევა გამორიცხულია.

**ირინა სარიშვილი-ჭანტურია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე:**

ამ ფაქტზე ყველაზე კარგ კომენტარს ეკლესიის წარმომადგენლები გააკეთებენ. შემიძლია, ზოგადად გითხრათ: შეთანხმება ეკლესიას მისცემს იმდენს, რამდენადაც მონაწილეობდა იგი ამ დოკუმენტის შექმნაში და რამდენსაც მოელის შეთანხმებისგან. ვეჭვობ, შეთანხმებამ იმდენი მისცეს ჩვენს ეკლესიას, რაც სინამდვილეში ეკუთვნის. ამ შემთხვევაში მარტო მატერიალურ მხარეზე როდია საუბარი. ვერც ერთი კანონი და შეთანხმება სრულყოფილად ვერ განსაზღვრავს რელიგიის როლს ქვეყანაში, გამომდინარე იქიდან, რომ მართლმადიდებლობა და მართლმადიდებლური ეკლესია ამოსავალია თითოეული ქართველისთვის.

წარმოუდგენლად მიმაჩნია, რომ შეთანხმებამ ეკლესიას ზიანი მიაყენოს, ვთქვათ, იგი პოლიტიკაში ჩაითრიოს. პროვოკაციულად წიგნის გამოყენებაც შეიძლება თავში ჩასარტყმელად, მერე ის მკვლელობის იარაღად რომ იქცეს. შეთანხმება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტი, გაცილებით უფრო მაღალი რამ არის, ვიდრე უბრალოდ პოლიტიკაა.

**დავით ზურაბიშვილი (თავისუფლები ინსტიტუტი):**

ხელშეკრულება, რომელიც ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის გაფორმდა, უპირველესად ეკლესიისთვის ქონების დაბრუნების აღიარებას ნიშნავს. ეს ხელშეკრულება, გარდა ამისა, მთელ რიგ გარანტიებს აძლევს ეკლესიას.

ამგვარი დოკუმენტი უდავოდ საჭირო იყო. უნდა გამოვიდეთ რეალობიდან. როდესაც არსებობს მკალავიშვილის ფენომენი, რომელიც დარბის და სექტებს ებრძვის, ისმის ისტერია ზოგიერთი პოლიტიკოსისა, რომელიც ამ თემით სპეკულირებს, ასეთ შემთხვევაში საკონსტიტუციო შეთანხმება უფრო კომპრომისული ხასიათის მატარებელია. თუ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არ იქნა მიღწეული შეთანხმება, ეს თემა სულ იტრიალებს და იქნება სპეკულაციების საგანი. ასე რომ, თავისთავად იდეა აღნიშნული ხელშეკრულებისა დღევანდელმა რეალობამ გამოიწვია.

ეს ხელშეკრულება არ უკრძალავს ეკლესიას პოლიტიკაში ჩარევას და არც ავალდებულებს, სახელმწიფო საქმეებში ზედმეტად ჩაერიოს. ანუ ამ ხელშეკრულებით ამ მხრივ არაფერი იცვლება. ის, რომ სახელმწიფო ეკლესიის საქმეებში არ უნდა ჩაერიოს და პირიქით, ამის კანონმდებლობით დარეგულირება ძნელია.

აღნიშნული დოკუმენტით განმტკიცდება საპატრიარქოს პოზიცია, სახელმწიფო მასთან დებს ხელშეკრულებას და ამით ხაზს უსვამს მის განსაკუთრებულ როლს ქვეყნის ცხოვრებაში. საპატრიარქოსთვის ეს მნიშვნელოვანი მომენტია.

**კოტე კემულარია (ნაციონალური მოძრაობა):**

დადებული ხელშეკრულება ეკლესიას აძლევს რწმენას, რომ მას დაუბრუნდება ძველი უფლებამოსილებები, ავტორიტეტი. ეს კიდევ ერთხელ ხაზის გასმაა ჩვენი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალურობაზე, მართლმადიდებლობის განსაკუთრებულ როლზე ჩვენი ქვეყნისთვის. გაძლიერებული ეკლესია კი არის გარანტი საქართველოში სხვა კონფესიების მოქმედებისა. ამ ხელშეკრულებას კონსტიტუციური შეთანხმების ძალა აქვს.

არსებობდა აზრი, რომ ეს ხელშეკრულება გამოიწვევდა ეკლესიის ჩარევას პოლიტიკაში. მე ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ ვეთანხმები, პირიქით, ეს შეთანხმება დაიცავს ეკლესიას პოლიტიკისგან.

**ვალერი გელბახიანი (აღორძინება):**

ეკლესიისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი ხელშეკრულებაა. სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, ეკლესიას დაუბრუნოს კუთვნილი ქონება.

ამავე დროს, ეკლესიას ეძლევა საშუალება, შექმნას ისეთი სამსახურები, რომლებიც ეკონომიკური და სამეურნეო ნიშნით იფუნქციონირებენ.

ხელშეკრულებაში არ არის ნახსენები მართლმადიდებლობა, როგორც სახელმწიფო რელიგია, მაგრამ ის, რაც იქ წერია, პრაქტიკულად ამას გულისხმობს.

ეკლესია სულიერ მსახურებასთან, მორალთანაა დაკავშირებული, მაგრამ ეს თავისთავად არ გამორიცხავს პოლიტიკას. მრევლი, მეორე მხრივ, ელექტორატიცაა. მრევლთან ურთიერთობაში ეკლესიის მსახურებს პოლიტიკაზე საუბარი არ ეკრძალებად, მაგრამ ამას არეგულირებს შიდა კანონიკური სამართალი, რომლის თანახმადაც აღიარებულია, რომ ეკლესია პოლიტიკურ ცხოვრებაში არ უნდა ჩაერიოს. თუმცა, როცა სახელმწიფოს სჭირდება, ეკლესია ხშირად დგას ერისა და ქვეყნის ინტერესების დამცველად, ჩვენს ისტორიას ამის არაერთი მაგალითი ახსოვს.

კანონიკური სამართლის წესები არ მისცემს ეკლესიის წარმომადგენელს იმის უფლებას, რომელიმე პოლიტიკური პარტიის პროპაგანდა გასწიოს თავის მრევლთან. თუმცა, არც ის ეკრძალება, ამა თუ იმ პოლიტიკოსის თუ პოლიტიკური გაერთიანების მიმართ თავის სიმპატიას თუ გაამხელს.

# გამარჯვების საწინდარი ფრე

მიხაილ შეველიოვი
"მოსკოვსკიე ნოვოსტის" მთ. რედაქტორის მოადგილე
სპეციალურად "24 საათისთვის"



ვინ ელოდა საქართველო-რუსეთის მატჩის ასეთ დასასრულს?! იმის გათვალისწინებით, თუ რას წერდა რუსული პრესა ბოლო ერთი კვირის განმავლობაში, თამამად გეტყვით, რომ - არავინ. უამრავლესობას რუსეთის ნაკრების გამარჯვება სურდა, მცირე ნაწილი ფრეზეც ყაბულს იყო, მაგრამ მატჩის გადათამაშების იდეა არავის გახსენებია.

ყოველივე ეს კი ერთადერთ აზრს ადასტურებს: პროგნოზირების უნარი ერთობ ჩამორჩება ამ უმადური საქმისადმი ჩვენს მიდრეკილებას.

რატომ? - იმიტომ, რომ მატჩის ასეთი დასასრულის ალბათობა მაღალი თუ არა, სავსებით რეალური მაინც იყო. მაგრამ ეს არც სპორტული და არც საფეხბურთო პრობლემა არ გახლავთ. მითუმეტეს, არაფერ შუაშია პოლიტიკა. უბრალოდ, ეს არის სამუშაოს კარგად შესრულების უნარის, მობილიზებულობისა და პედანტურობის პრობლემა; არცოდნა იმისა, თუ როგორ უნდა მოემზადო მოვლენისთვის, რომელსაც თავადვე მიიჩნევ ლამის ისტორიულად. შაბათის მატჩმა დაამტკიცა, რომ, ჯერჯერობით, პედანტიზმი, მობილიზებულობა და სიზუსტე ქართული ხასიათის უძლიერესი მხარე არ გახლავთ. მაგრამ არც ეს გახლდათ არშემდგარი საფეხბურთო მატჩის მთავარი შედეგი.

ჩემი აზრით, არსებითი იყო რუსეთის საინფორმაციო საშუალებების რეაქცია. საერთო შეგრძნება - შვებით ამოსუნთქვა იმის გამო, რომ ყველაფერი, მართალია სასაცილოდ, მაგრამ მშვიდობიანად დამთავრდა. ქართველი გულშემატკივრის აგრესიულობაზე დეზინფორმაციის გავრცელების მცდელობაც, რაღაც უსუსურად გამოიყურებოდა და არავითარი განვრცობა არ მოჰყოლია. არავის, არც ერთ ჟურნალისტს, არც ერთ გამოცემას, გარდა იმ გამოცემებისა, რომელთა ხელში აღებაც სამარცხვინოა, აზრად არ მოსვლია, გაექილიკებინა საქართველო.

ეს სასიხარულოა ორი მიზეზის გამო.

პირველი: ჟურნალისტებს იმ ქვეყნისა, რომლის მთავარ სპორტულ არენაზეც დაბრეცილი საფეხბურთო კარებისთვის, ორიოდ წლის წინათ, არაერთი საერთაშორისო შედეგი გააუქმეს და, მინდვრის გათბობის გაუმართაობისთვის, რამდენიმე მატჩი გადაუტანეს; ქვეყნისა, რომლის სპორტსმენებიც ოლიმპიადაზე მუდმივად ეხვეოდნენ დოპინგსკანდალებში, არ ჰქონდათ უფლება ენამწარობისა აფეთქებული კაბელის გამო. და ის, რომ მათ ხელი არ წასცდათ, რუსულ ჟურნალისტიკაში და, მთლიანად, საზოგადოებაში თვითშეფასების ჯანსაღი გრძნობის არსებობაზე მიუთითებს.

მეორე: ასეთი თვითშეფასება პირველი ნაბიჯია სამყაროში საკუთარი ადგილის გათვითცნობიერებისკენ. ათ წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველო და რუსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოცხადდნენ, მაგრამ დამოუკიდებლობის გამოცხადება ჯერაც არ ნიშნავს, რომ ისინი ჭეშმარიტად ასეთად იქცნენ. ყოფილ საბჭოელებს, როგორც რუს, ისე ქართველ ხალხს, წინ გრძელი გზა აქვთ გასავლელი. ალბათ საბჭოელები უკვე აღარ ვართ, მაგრამ ევროპისგან დაახლობით ერთი და იგივე მანძილი გვაშორებს. "ვერ ვართ გერმანელები" - ეს დახასიათება, ერთი მხრივ სამართლიანია, მეორე მხრივ - საერთოა რუსებისთვისაც და ქართველებისთვისაც. თბილისის მატჩმა ეს დაამტკიცა. არც თუ ბობოქარმა რეაქციამ კი დაგვანახა, რომ სწორი გზით მივდივართ.

ოთხი წლის წინათ, საქართველო-რუსეთის პირველი ისტორიული საფეხბურთო მატჩი, წინდახედულმა ხალხმა დღისით, ბუნებრივი განათებით ჩაატარა. მეორის ჩატარება, როგორც "ზრდასრულებს" შეშვენით, ხელოვნური განათებით გადაწყვიტეს, მაგრამ ეს პური კუტი გამოვიდა. ჩვენს საერთო ღმერთს, როგორც რუსები იტყვიან, სამება უყვარს. მაშასადამე, შემდეგ მატჩში ყველაფერი რიგზე იქნება. იქნებ, ვინმემ გაიმარჯვოს კიდეც, მაგრამ მთავარი ხომ ეს არ არის.

# არეულობა რეზო შავიშვილის ახალ პარტიაში

ახლად შექმნილ ნეო-ლიბერალურ პარტიაში არეულობა უკვე დაიწყო. გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს - რეზო შავიშვილს, რომელმაც სულ ახლახან დასტოვა სააკაშვილის "ნაციონალური მოძრაობა," ახალი პარტიის შექმნის მიზნით, ამ პარტიის დატოვებაც მოუწევს. კონფლიქტი, როგორც ჩანს, შავიშვილის გუნდსა და პოლიტოლოგ სოსო ცინცაძის მომხრეებს შორის მოხდა. შავიშვილის გუნდის წევრმა - ვახტანგ ხმალაძემ კატეგორიულად უარყო ვერსია, თითქოს შავიშვილს პარტიიდან წასვლას აიძულებენ. **"ჩვენ ვრჩებით და გავაკეთებთ იმას, რისი გაკეთებაც გვქონდა ჩაფიქრებული. პარტია ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, ბევრი ადამიანი მოდის და მიდის,"** - განაცხადა ვახტანგ ხმალაძემ. მისი თქმით, წამსვლელთა რიცხვშია სოსო ცინცაძეც, თუმცა, ყველაფერი რამდენიმე დღეში გაირკვევა.

*"24 საათი"*

# ოპოზიციის სიძლიერე ჟვანია-სააკაშვილის ერთიანობაზეა დამოკიდებული

პირველი გვერდიდან

დღეს ანტისახელისუფლო ოპოზიციის ძირითად ღერძს რამდენიმე პარტია წარმოადგენს, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვან როლს "ნაციონალური მოძრაობა," "გაერთიანებული დემოკრატები" და, ნაწილობრივ, "ახალი მემარჯვენეები" და "ტრადიციონალისტებიც" ასრულებენ.

მაგრამ ამ ეტაპზე მთავარი მოქმედი გმირები მაინც "ნაციონალური მოძრაობა" და "გაერთიანებული დემოკრატები" არიან. ოპოზიციის ერთიანობასაც, ძირითადად, ამ ორი პარტიის ერთად დგომა განსაზღვრავს. შესაბამისად, ძალიან აქტუალურია კითხვა - რამდენად არის შესაძლებელი, რომ ამ პარტიების ლიდერებმა, თავის დროზე ერთი გუნდის წევრებმა, საკუთარი ამბიციები დაძლიონ და ერთად დადგნენ. წინაპირობების გათვალისწინებით, ამის შესაძლებლობა დღეს მინიმალურია.

გაერთიანება, რომელიც დემოკრატიული ფრონტის სახით ზურაბ ჟვანიასა და მიხეილ სააკაშვილს უნდა შეექმნათ, თავის დროზე არ შედგა. სამაგიეროდ, ასეთი გაერთიანება სააკაშვილმა ერთპიროვნულად მაშინ ჩამოაყალიბა, როცა პარლამენტის ყოფილი სპიკერი თურქეთში გახლდათ და აქედან დაიწყო პირველი გაუგებრობაც.

სააკაშვილისა და მისი თანაპარტიელების არგუმენტი მარტივია. ისინი აცხადებენ, რომ ჟვანიას გადაწყვეტილი არ ჰქონდა შევარდნაძისგან საბოლოოდ წამოსვლა; ამიტომ ეს ფრონტი სააკაშვილს დამოუკიდებლად რომ არ შეექმნა, მისი ბედი დღემდე გაურკვეველი დარჩებოდა.

სხვა არგუმენტი აქვს ჟვანიას. მისი თქმით, დემოკრატიული ფრონტის ჩამოყალიბება მისი იდეა იყო, სააკაშვილმა კი, ამ ფრონტის დამოუკიდებლად შექმნით, "სიურპრიზი" მოუწყო და აბსოლუტურად გაურკვეველ სიტუაციაში დატოვა.

თუმცა, ეს ურთიერთბრალდებები, ამ შემთხვევაში, მხოლოდ ტექნიკური დეტალია. მთავარი ის არის, რომ, ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ, ჟვანიამ და სააკაშვილმა, შევარდნაძის სახით, საერთო ლიდერი დაკარგეს და ამ ორი მკვეთრად გამოხატული პოლიტიკოსის ამბიციები ერთმანეთს დაეჯახა.

წლების განმავლობაში სახელისუფლო იერარქიაში ჟვანიას მეორე ადგილი ეკავა და დემოკრატიული ფრონტის არაფორმალურ ლიდერადაც ჩამოყალიბდა. ჟვანია შევარდნაძის მემკვიდრედაც ითვლებოდა და პარლამენტის ყოფილი სპიკერი თანდათან მიეჩვია იმ აზრს, რომ ქვეყნის პირველი პირი, შევარდნაძის შემდეგ, შეიძლება, თავად გამხდარიყო.

რაც შეეხება სააკაშვილს, ჟვანიას გუნდის ყოფილ წევრს, დიდი ხნის მანძილზე შემორჩა განსაკუთრებული დამოკიდებულება თავისი ყოფილი ლიდერის მიმართ. მაგრამ სააკაშვილი ჯერ კიდევ იუსტიციის მინისტრად დანიშვნის შემდეგ მიხვდა, რომ დამოუკიდებლი პოლიტიკის გატარება ჟვანიას კურატორობის გარეშეც შეეძლო. ხოლო მას შემდეგ, რაც მისი რეიტინგი გაცილებით მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე პარლამენტის ყოფილი სპიკერის, სააკაშვილს უკვე არა მარტო დამოუკიდებელი პოლიტიკური ლიდერის, არამედ პრეზიდენტობის სერიოზული ამბიციაც გაუჩნდა.

ერთ სკამზე კი ორი პოლიტიკოსი ვერ დაეტევა.

და რაც მნიშვნელოვანია, სააკაშვილი და ჟვანია, დამოუკიდებელი პარტიების შექმნის შემდეგ, აშკარად სხვადასხვა გზებით წავიდნენ. ადგილობრივი არჩევნების წინ პარლამენტის ყოფილმა სპიკერმა გათვლა ელიტარულ საზოგადოებაზე გააკეთა და მათი ხმების ხარჯზე საკმაოდ დიდ წარმატებასაც მიაღწია.

სამაგიეროდ, სააკაშვილის ელექტორატის უმრავლესობა ზვიადისტები ან ნათელაშვილის ყოფილი ამომრჩევლები არიან. ჟვანიასაგან განსხვავებით, "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი, პოპულარობის გაზრდის მიზნით, უკან არც მემარცხენე და პოპულისტური განცხადებების გაკეთებისაგან იხევს.

ასე რომ, ჟვანია, თანდათან, ელიტარულ, სააკაშვილი კი სახალხო პოლიტიკოსად ჩამოყალიბდა.

"ნაციონალური მოძრაობის" ლიდერის პოპულიზმი და მცდელობა, რომ ნათელაშვილის, შარაძის ან მათი მსგავსი დემაგოგების ნიშა დაიკავოს, ერთი მხრივ, შემაშფოთებელია, რადგან ქართულ საზოგადოებას დღეს ყველაზე ნაკლებად სჭირდება შარაძის ან ნათელაშვილისნაირი პოლიტიკოსების სიმრავლე.

"ნაციონალების" არგუმენტი, რომ ეს მხოლოდ პოლიტიკური ტაქტიკაა, რათა მარგინალი პოლიტიკოსების ადგილი ქართულ პოლიტიკაში აღარ დატოვონ და მათი ნიშა თვითონ დაიკავონ, შესაძლოა, დამაჯერებლადაც ჟღერდეს. თუმცა, საშიშროება იმისა, რომ, მარგინალების მიბაძვით, თავად ამ პარტიასაც დაეტყოს მარგინალობის ნიშნები, რეალურად არსებობს.

რაც შეეხება პარლამენტის ყოფილ სპიკერს, მისი ყველაზე დიდი სისუსტე, ჯერჯერობით, მასებთან ურთიერთობების დეფიციტია თუმცა, თავად ჟვანია ირწმუნება, რომ მას ესეც არ გაუჭირდება და საპარლამენტო არჩევნების წინ რეალურად აჩვენებს თავის შესაძლებლობებს.

მათ შორის პრობლემები რომ არსებობს, ამის შესახებ ღიად ჯერ არც ჟვანია და არც სააკაშვილი არ ლაპარაკობენ. თუმცა, ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით "გაერთიანებული დემოკრატების" "ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან" დაახლოების შემდეგ, მათი საუბრის ტონში აშკარად გაჩნდა დაძაბულობა და ფარული აგრესია. ამ დაძაბულობის გაღრმავებას მათი გარემოცვაც უწყობს ხელს, შესაძლოა, სრულიად პრაქტიკული მოსაზრებების გამოც, რათა ის, ვინც, მაგალითად, სააკაშვილის გუნდში მეორე ან მესამე ადგილს იკავებს, გაერთიანების შემთხვევაში, მეშვიდე ან მერვე არ გახდეს. მაგრამ ამ პარტიების გაერთიანება უკვე თითქმის გამორიცხულია. საპარლამენტო არჩევნების წინ საუბარი შეიძლება მხოლოდ ერთ ბლოკში ყოფნაზე იყოს, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ჟვანიაც და სააკაშვილიც ერთმანეთის მიმართ დაგროვილ უკმაყოფილებას გადალახავენ.

ერთი კი ფაქტია, შევარდნაძის ხელისუფლების ყველაზე დიდი გამარჯვება დღეს ამ ორი პარტიის ერთმანეთზე გადაკიდება იქნება, რადგან ამ ორი, ყველაზე გამოკვეთილი ლიდერის დაპირისპირების შემთხვევაში, ვინც არ უნდა გაერთიანდეს და როგორი მსხვილი ბლოკებიც არ უნდა შეიქმნას, შეუძლებელი გახდება ერთიან, ძლიერ ოპოზიციაზე საუბარი. ეს კი დღეს არც თვითონ ამ პოლიტიკოსების და, რაც მთავარია, არც ქვეყნის ინტერესებში არ შედის.

## მოკლედ

**თბილისი.** ევროკავშირმა საქართველოს, შეიძლება, საგანგებო ფინანსური დახმარება გაუწიოს. ეს დახმარება უკანონოდ პრივატიზებული სახელმწიფო ქონების დასაბრუნებლად პროგრამის შემუშავებაზე უნდა დაიხარჯოს. ევროკავშირის გეგმის შესახებ ჟურნალისტებს ფინანსთა მინისტრმა მირიან გოგიაშვილმა აცნობა.

საქართველოს კონსტიტუციის დარღვევით უკანონოდ პრივატიზებული ქონების - სტრატეგიული ობიექტების დაბრუნების აუცილებლობის შესახებ განცხადება პრეზიდენტმა შევარდნაძემაც გააკეთა. როგორც მინისტრმა აღნიშნა, ამ პროგრამის შესამუშავებლად ფინანსების გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილებას ევროკავშირი ამ დღეებში მიიღებს. მან გრანტის ოდენობა არ დააზუსტა. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** უახლოეს მომავალში სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოებისა და სააქციო საზოგადოებების დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოების წევრებისა და თავმჯდომარეების კონკურსი ჩატარდება. როგორც "კავკას-პრესს" ქონების მართვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის უფროსმა ოთარ სირაძემ განუცხადა, კონკურსის პროექტი სამინისტრომ მოამზადა და მისი პირობები უკვე შეთანხმებულია სხვადასხვა სამინისტროსა და უწყებასთან.

აღნიშნული ღონისძიება უკავშირდება იმას, რომ საწარმოთა უმრავლესობა ზარალით მუშაობს და კადრების გადარჩევას საჭიროებს. დაახლოებით, 1500 საწარმოდან 1000 მეტი არარენტაბელურია და ფინანსურ წელს ზარალით ამთავრებს.

"კონკურსანტის განაცხადი უნდა აკმაყოფილებდეს მიღებულ სტანდარტებს. კონკურსის მონაწილეს უნდა ჰქონდეს მაღალი პროფესიული დონე და მუშაობის გამოცდილება იმ სფეროში, რომელშიც სურს მუშაობა", - განაცხადა სირაძემ. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ავიაკომპანიებმა წლეულს, შარშანდელთან შედარებით, გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა და გადატანილი ტვირთის მოცულობა გაზარდეს. როგორც "კავკას-პრესს" საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტიდან აცნობეს, 2002 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოს ავიაკომპანიების თვითმფრინავებით გადაყვანილია 89 ათასი მგზავრი, რაც 23,3 პროცენტით მეტია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ამავე დროს, საჰაერო ტრანსპორტით გადატანილი ტვირთის მოცულობა - 54,8 პროცენტით, ხოლო ტვირთბრუნვა 22 პროცენტით გაიზარდა.

2002 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოს აეროპორტებიდან სულ გადაყვანილია 100 ათასი მგზავრი, მათ შორის, საქართველოს ავიაკომპანიების მიერ - 50 600, ანუ 50,6 პროცენტი (2001 წლის იანვარ-აგვისტოში 38,4 პროცენტი იყო). 2001 წლის პირველ რვა თვესთან შედარებით, ქვეყნის აეროპორტებიდან გადაყვანილი მგზავრების მთელი რაოდენობა - 8,8 პროცენტით, ხოლო საქართველოს ავიაკომპანიების მიერ გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა 43,6 პროცენტით გაიზარდა. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართველი ბიზნესმენების ოცნებას, ჰქონდეთ საკუთარი ბიზნეს-კლასის თვითმფრინავები, შესაძლოა, "თბილავიამშენმა" ხორცი შეასხას. როგორც "კავკას-პრესს" საწარმოს მთავარმა ინჟინერმა გოჩა გოგუაძემ განუცხადა, ამჟამად ჩამოსულია ამერიკული "მევერიკის" ტიპის ხუთადგილიანი ორი თვითმფრინავის აგრეგატები, რომლის აწყობა "თბილავიამშენის" ბაზაზე ხდება.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე წლის წინ "თბილავიამშენი" ექვსადგილიან "იაკ-58"-ს აწყობდა. თუმცა, მისი სერიული წარმოება ვერ მოხერხდა, ვინაიდან სახელმწიფო გამოცდები, რომელიც რუსეთის მხარემ უნდა ჩაიბაროს, შეჩერებულია.

გოჩა გოგუაძის თქმით, "მევერიკების" სერიული წარმოება მხოლოდ მას შემდეგ მოხდება, რაც ის გაივლის შესაბამის გამოცდებს და წარმატებულად ჩაატარებს საფრენოსნო ცდებს. მანვე აღნიშნა, რომ სერიული წარმოებისათვის თვითმფრინავის ძრავები და აერონავიგაციის სისტემები იმპორტირებული იქნება, სხვა დეტალების წარმოება კი ადგილობრივად მოხდება.

რაც შეეხება თვიმფრინავის ფასსა და მყიდველებს, ამაზე საუბარი, გოჩა გოგუაძის თქმით, ჯერ ნაადრევია. "ფასი მოგვიანებით დადგინდება, თუმცა ქართული ბიზნესის გარკვეულ წარმომადგენლებს სურთ, ჰქონდეთ საკუთარი თვითმფრინავი," - დასძინა მან. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** ირლანდიური კომპანია "ი-სი-ბი-აი", რომელიც საქართველოში "ელექტროდისპეტჩერიზაცია"-"გადაცემის" სამართავად შემოდის, საქართველოს მთავრობისაგან უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვს.

შეგახსენებთ, რომ ირლანდიური კომპანიის წარმომადგენლები აღნიშნული უწყებების სამართავად საქართველოში სექტემბერში უნდა ჩამოსულიყვნენ, თუმცა, ჯერჯერობით, მათი ჩამოსვლა იგვიანებს.. როგორც "კავკას-პრესთან" საუბარში სააქციო საზოგადოება "ელექტროგადაცემის" გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა თამაზ თხელიძემ განაცხადა, ირლანდიელებმა საქართველოს მთავრობას ორიოდე დღის წინ უსაფრთხოების გარანტიის მოთხოვნით მიმართეს.

როგორც თხელიძემ აღნიშნა, ირლანდიელების ანგარიშზე უკვე ირიცხება 1 175 000 ევრო და მათი ჩამოსვლისათვის ყველა პირობა შესრულებულია.

ცნობისათვის: საქართველოში "ელექტროდისპეტჩერიზაციისა" და "ენერგოგადაცემის" სამართავად ტენდერში გამარჯვებული ირლანდიური კომპანია "ი-სი-ბი-აი" 5 წლით შემოდის. პროექტის მიხედვით, კომპანია ამ ორ უწყებას გააერთიანებს და გააუმჯობესებს მენეჯმენტს. სულ პროექტისათვის მსოფლიო ბანკი 56 მილიონ დოლარს გამოჰყოფს. **"კავკას-პრესი"**

## იაპონიაში საწარმოები პანტაპუნტით იხურება

ეკონომიკურმა სტაგნაციამ იაპონიაში ასეულობით საწარმოს დახურვა გამოიწვია და ეს პროცესი მომავალშიც შემაშფოთებელი ტემპებით გაგრძელდება, - იუწყება ერთ-ერთი ადგილობრივი გაზეთის მიერ ჩატარებული გამოკვლევა. მიმდინარე წლის პირველი ცხრა თვის განმავლობაში დახურულ საწარმოთა რიცხვი, გასული წლის მაჩვენებელთან შედარებით, 50 პროცენტით გაიზარდა და 187-ს მიაღწია. ამ კრახის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ეროვნული ვალუტის - იენის მაღალი კურსია, რაც ექსპორტს აფერხებს. ამომავალი მზის ქვეყნის ეკონომიკა კი, მოგეხსენებათ, ძირითადად, სწორედ ექსპორტით საზრდოობს.

გამოკვლევაში მოხვდა ყველა კვოტირებული და არაკვოტირებული კომპანია, რომელთა გაყიდვებიც 100 მილიარდ იენს აღწევს. რაც შეეხება უფრო წვრილ ფირმებს, იქ ვითარება, ალბათ, კიდევ უფრო უარესადაა. იენის კურსის გარდა, სიტუაციას ამძიმებს იაპონელ მეწარმეთა საერთო სწრაფვა, საქმიანობის ადგილი უცხოეთში გადაიტანონ, სადაც უფრო იაფი მუშახელია.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 9 - 15 ოქტომბრის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6419 | 0.6337 | 0.0052 |
| US$ | 1.5579 | | 0.987 | 0.0081 |
| €uro | 1.578 | 1.0132 | | 0.0082 |
| ¥en | 193.41 | 124.16 | 122.55 | |

### 2002 წლის 15 ოქტომბრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1382 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.3872 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4621 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1670 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3250 ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1748 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0684 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4425 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.2375 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.0649 ლარი |

## "კოკა-კოლა" და "ეი-ი-ეს თელასი" ერთმანეთს სასამართლოში უჩივიან

პირველი გვერდიდან

**"საქართველოში, ისევე როგორც კოლუმბიაში, ხალხი ცდილობს, მოიპაროს ელექტროენერგია და არ გადაიხადოს მისი საფასური,"** - ირიბარენის აზრით, ეს ცუდი ტრადიციაა, რომელიც ძალიან აფერხებს ამერიკული კომპანიის საქმიანობის წინსვლას, რაც შემდგომ ისევ მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგებაზე აისახება. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, "თელასის" გენერალური დირექტორი, მოსახლეობაზე მეტად, მსხვილ გადამხდელებზეა განაწყენებული. ირიბარენის განცხადებით, ერთ-ერთი მსხვილი და ურჩი გადამხდელი კომპანია "კოკა-კოლაა", რომლის მიმართაც "ეი-ი-ესი" განსაკუთრებული ზომების გატარებას აპირებს. ამ მიზნით, "ეი-ი-ეს თელასი" "კოკა-კოლას" წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელს შეიტანს.





"კოკა-კოლაში" აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ, ჯერჯერობით, "ეი-ი-ესისგან" ოფიციალური შეტყობინება, სარჩელის შეტანის თაობაზე, არ მიუღიათ. როგორც "24 საათთან" საუბარში კომპანია "კოკა-კოლას" იურიდიული სამსახურის უფროსმა შალვა გიგაიამ განაცხადა, "ეი-ი-ესს" სასამართლოში სარჩელის შეტანის საბაბი არა აქვს, რადგან "კოკა-კოლა" ძალზე პატიოსანი გადამხდელია და მას "თელასისადმი" ერთი თეთრის დავალიანებაც კი არ გააჩნია.

სამაგიეროდ, "კოკა-კოლას" თავად აქვს "ეი-ი-ესის" წინააღმდეგ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში სარჩელი შეტანილი. სარჩელის შეტანის მიზეზი გახდა ის ფაქტი, რომ "კოკა-კოლამ" ელექტროენერგიის მიღების ალტერნატიული წყაროს მოძებნა გადაწყვიტა, რასაც "ეი-ი-ესი" კატეგორიულად შეეწინააღმდეგა. როგორც შალვა გიგაია აცხადებს, "კოკა-კოლას" ქარხანას, რომელსაც ამჟამად მხოლოდ "თელასი" აწვდის ელეტქროენერგიას ორი ფიდერით, ხშირად ეთიშება დენი. ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა უარყოფითად მოქმედებს ქარხანაში მიმდინარე საწარმოო პროცესზე, საერთო ჯამში, კი ეს "კოკა-კოლასთვის" ზარალის მომტანია. ამიტომ კომპანიამ გადაწყვიტა, დაუკავშირდეს სააქციო საზოგადოება "ელექტროგადაცემას" და ერთი ფიდერით მისგან მიიღოს დენი.

**"ჩვენ დავუკავშირდით "ელექტროგადაცემას" და მივიღეთ მისგან თანხმობა ელექტროენერგიის მოწოდების თაობაზე. აგრეთვე, ვესაუბრეთ ანტიმონოპოლიური სამსახურის წარმომადგენლებსაც, რათა გაგვერკვია, რამდენად დასაშვები იყო ალტერნატიული კვების მიღება. მათ გაგვიცხადეს, რომ ჩვენი უფლებაა, ვისგანაც გვინდა, იმისგან შევიძინოთ დენი,"** – აცხადებს შალვა გიგაია.

თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, "ეი-ი-ესი" წინააღმდეგია, "კოკა-კოლამ" ალტერნატიული წყაროსგან მიიღოს ელექტროენერგია. სწორედ ამიტომ, ამ უკანასკნელმა სასამართლოს მიმართა, რათა იძულების წესით მოხდეს კვების წყაროს ჩართვა.

## ნოემბრიდან სახელმწიფო წილებს საფონდო ბირჟა გაყიდის

*საფონდო ბირჟაზე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სააქციო საზოგადოებების ფასიანი ქაღალდების გაყიდვა ნოემბრიდან დაიწყება. თუმცა, ჯერჯერობით, საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი, პირველ ეტაპზე ბირჟაზე გასაყიდად რომელი საწარმოს აქციებს გაიტანენ. ქონების მართვის სამინისტროში მხოლოდ იმას აღნიშნავენ, რომ პირველ ეტაპზე ბირჟაზე, დაახლოებით, ოცი საწარმოს აქციები მოხვდება.*

სოფიკო ოხანაშვილი

დღეს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების გაყიდვა კონკურსის, იჯარა-გამოსყიდვის, აუქციონისა და პირდაპირი მიყიდვის ფორმით ხორციელდება.

ქონების მართვის სამინისტროსა და საბროკერო კომპანიებს, ასევე სამინისტროსა და საფონდო ბირჟას შორის გასაფორმებელ ხელშეკრულებებს ამჟამად ქონების მართვის უწყების იურიდიული სამსახური სწავლობს. ეს პროცესი, სავარაუდოდ, მიმდინარე თვის ბოლოსთვის დასრულდება და საწარმოების აქციების გაყიდვის ახალი მეთოდი ნოემბრის დასაწყისში ამოქმედდება. **"სამინისტროს, საფონდო ბირჟასა და საბროკერო კომპანიას შორის პრინციპულ საკითხებზე შეთანხმება მიღწეულია. ხელშეკრულებების საბოლოო ვარიანტი გამზადებულია, რომელიც ახლა იურიდიულ ექსპერტიზაზეა განსახილველად",** - განაცხადა ქონების მართვის მინისტრის მთავარმა მრჩეველმა კახა კაპანაძემ.

**"საფონდო ბირჟაზე მოხვდება როგორც მიმზიდველი, ასევე არამიმზიდველი საწარმოები, მაგრამ, ჩვენი სურვილია, გასაყიდად, ძირითადად, ისეთი აქციები გავიტანოთ, რომლის რეალიზებაც მოხდება. არავის არ უნდა შეექმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ქონების მართვის სამინისტრომ ბირჟაზე აქციები მხოლოდ ვალდებულების მოხდის მიზნით გაიტანა",** - განაცხადა სამინისტროს სახელმწიფო ქონების განკარგვის სექტორის უფროსმა გიორგი დავითაშვილმა.

საფონდო ბირჟაზე გასაყიდ საწარმოთა პირველ ნაკადში სააქციო საზოგადოება "ელექტროკავშირის" აქციების 15 პროცენტიც მოხვდება, რომელიც კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად და უფრო მეტი ეფექტიანობის მისაღწევად ბირჟაზე ლოტებად გაიყიდება. **"ეს 15 პროცენტი ერთბაშად კი არ გავა საფონდო ბირჟაზე, არამედ ლოტებად გადანაწილდება. 15 პროცენტის ერთდროულად გატანით ეფექტს ვერ მივიღებთ. ნაწილ-ნაწილ გაყიდვით კი კონკურენტული გარემო შეიქმნება, თან ჩვენც საშუალება მოგვეცემა, ბირჟის დინამიკა შევისწავლოთ. ამ ყველაფერს ანალიზი სჭირდება",** - აღნიშნა კახა კაპანაძემ.

"ელექტროკავშირის" საწესდებო კაპიტალი 85 მილიონ ლარს შეადგენს. ერთი აქციის ნომინალური ღირებულება ერთი ლარია. საფონდო ბირჟაზე გასატანი აქციების 15 პროცენტის საწყისი ფასი, დაახლოებით, 12 მილიონ 750 ათასი ლარია. ქონების მართვის მინისტრის მთავარი მრჩევლის ვარაუდით, **"ელექტროკავშირი" ერთ-ერთი მიმზიდველი საწარმოა და იგი, შეიძლება, საწყის ფასზე ძვირადაც გაიყიდოს".**

გიორგი დავითაშვილის ინფორმაციით, მიმდინარეობს აქტიური მუშაობა, რათა ისეთი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, რომლებსაც სოლიდური ქონება გააჩნიათ და შეიძლება რეალური მყიდველებიც გამოუჩნდეთ, სააქციო საზოგადოებებად გადაკეთდეს. **"კულუარებში უკვე ლაპარაკობენ რამდენიმე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სააქციო საზოგადოებად გადაკეთების შესახებ, რის შემდეგაც მათი აქციები საფონდო ბირჟაზე გავა და აქციების გაყიდვის მეშვეობით მოხდება ამ საწარმოების პრივატიზება",** - განაცხადა სახელმწიფო ქონების განკარგვის სექტორის უფროსმა.

ერთ-ერთი ასეთი საწარმო შპს "საქართველოს რკინიგზაა". მისი სახელმწიფო სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის იდეა მთავრობას თავად "საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა აკაკი ჩხაიძემ წარუდგინა. მან "24 საათთან" საუბარში განაცხადა, რომ **"სააქციო საზოგადოებად გარდაქმნილი რკინიგზა შეიძლება გაცილებით საინტერესო გახდეს მსხვილი ტვირთგადამზიდავებისთვის, რომლებთან პარტნიორობა ჩვენთვის მეტად ხელსაყრელი იქნება, მით უმეტეს, თუ მათთან ერთობლივ საწარმოებს შევქმნით. ასეთი დაინტერესება კი უკვე არსებობს."** ჩხაიძემ ასევე აღნიშნა, რომ **"საკონტროლო პაკეტი სახელმწიფოს ხელში უნდა დარჩეს. თუ ბირჟაზე მათი გამოტანა გადაწყდება, საუბარი, ალბათ, მხოლოდ 5-10 პროცენტზე იქნება."** უკვე არსებობს აუდიტორული შეფასება, რომლის თანახმადაც "საქართველოს რკინიგზის" საწესდებო კაპიტალი 360 მილიონ ლარად არის შეფასებული.

## ჰესების მშენებლობისთვის საგადასახადო შეღავათები წესდება

*სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო ჰესების მშენებლობისათვის საგადასახადო შეღავათების მინიჭების ინიციატივით გამოდის. საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი სამინისტროს უკვე მზად აქვს. სამინისტროს პოზიციით, ინვესტორები, რომლებიც საქართველოს ენერგეტიკის ჰიდროპოტენციალის გაზრდაზე იზრუნებენ, განსაკუთრებული პრივილეგიებით უნდა სარგებლობდნენ.*

მაია ურუშაძე
სოფო კვინტრაძე

სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის ნუგზარ უფლისაშვილის განცხადებით, **"ჰიდროელექტროსადგურების მშენებლებისათვის საგადასახადო შეღავათების მინიჭების შესახებ დადგენილების პროექტი, რომელიც სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ მოამზადა, უკვე წარუდგინეს პრეზიდენტსა და სახელმწიფო მინისტრს. უახლოეს მომავალში დოკუმენტი მთავრობის სხდომაზე გავა, შემდეგ კი პარლამენტს წარედგინება განსახილველად."**

ჰიდროენერგეტიკული ობიექტების მშენებლობისათვის საგადასახადო შეღავათების მინიჭების საკითხი პირველად 1999 წლის ბოლოს წამოიჭრა, როცა ჩინელი ინვესტორები, ხადორჰესის მშენებლობისას, პრობლემებს წააწყდნენ და საქართველოს პრეზიდენტს შეღავათები მოსთხოვეს. მოგვიანებით, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ მიზანშეწონილად მიიჩნია შეღავათების შემოღება არა მხოლოდ ერთი კონკრეტული ობიექტის მშენებლობისთვის, არამედ ზოგადად – ჰიდროენერგეტიკის დარგისთვის.

**"თუ ქვეყნის ეკონომიკისთვის მძლავრი ბაზისი გვინდა, პირველ რიგში, ენერგეტიკას უნდა მივხედოთ. ინვესტორს კი, ნორმალური პირობები თუ არ შევუქმენით, არ შემოვა. მშენებლობისას სხვადასხვა საჭირო მოწყობილობები და დანადგარები უცხოეთიდან ჩამოდის. ჩვენი საგადასახადო კოდექსი საკმაოდ მკაცრია, ამიტომ, თუ ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობას დამატებითი ღირებულებისა და იმპორტის გადასახადებისაგან გავათავისუფლებთ, ამით მშენებლობის მსურველებსაც წავახალისებთ და ტარიფის შემცირებასაც შევუწყობთ ხელს. თუ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა იაფი დაჯდება, ეს შემდგომ ტარიფზეც აისახება,"** – განუცხადა "24 საათს" პარლამენტის ენერგეტიკის ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ რეზო არველაძემ.

ჰიდროენერგეტიკული ობიექტების მშენებლობისათვის საგადასახადო შეღავათების მინიჭების აუცილებლობაზე თავის ყოველწლიურ მოხსენებაში პრეზიდენტმაც ისაუბრა.

**"მიმაჩნია, რომ დაბეგვრის ახალი რეჟიმი ჰესების მშენებლობის სტიმულირებას შეუწყობს ხელს,** - აცხადებს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ისაკაძე, - **თუმცა, ამან არ უნდა გამოიწვიოს ენერგეტიკის დარგიდან ბიუჯეტში თანხების შემცირება."**

ფინანსთა სამინისტროში სათბობ-ენერგეტიკის უწყების ინიციატივას ცალსახად არ უჭერენ მხარს. როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილე ვასილ გიგოლაშვილი აცხადებს, სადაგასახადო კოდექსში ყოველი შეღავათი საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებას იწვევს. თუმცა, გიგოლაშვილი იმასაც მიუთითებს, რომ, შესაძლოა, ამ ეტაპზე, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობების ხელშეწყობამ სამომავლოდ ქვეყანას უფრო დიდი შემოსავლები მოუტანოს. გიგოლაშვილი აგრეთვე მიუთითებს, რომ აღნიშნული ცვლილების მისაღებად საჭირო გახდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოსაზრების გათვალისწინებაც.

ამასთან, ფინანსთა მინისტრის მოადგილე ეჭვობს, რომ საგადასახადო შეღავათები, შესაძლოა, სამშენებლო კომპანიებმა, სხვადასხვა მაქინაციების წყალობით, გადასახადების დამალვის მიზნით გამოიყენონ. მსგავსი მოსაზრება გააჩნია პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელს რომან გოცირიძესაც.

**"საქართველოში საგადასახადო შეღავათების მინიჭება ცალკეული დარგისთვის ძალზე სახიფათოა, იმიტომ, რომ, როგორც კი ჩნდება შეღავათი, მაშინვე თავს იჩენს უზარმაზარი ხვრელიც. ამის უამრავი მაგალითი გვაქვს, გაიხსენეთ თუნდაც თბილისის "დინამო", რომელმაც, საგადასახადო შეღავათების წყალობით, 28 მილიონი ლარის კონსერვები, ლუდი და ქათმის ბარკლები შემოიტანა. ასე რომ, ზოგჯერ კარგი ინიციატივით ქვეყანას ძალიან დიდი ზიანი ადგება,"** – აცხადებს რომან გოცირიძე. საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელს მიაჩნია, რომ პარლამენტმა მხოლოდ კონკრეტული პროექტების ფარგლებში უნდა დაუჭიროს მხარი საგადასახადო შეღავათებს, ანუ იმ შემთხვევებში, როდესაც სადმე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა იწყება.

ასე რომ, სამთავრობო წრეები და ექსპერტები სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ინიციატივას არაერთგვაროვნად ხვდებიან.

## ჩინეთის ბაზარზე "ჰიუნდაიმაც" შეაბიჯა

*სამხრეთ კორეულმა ავტომწარმოებელმა "ჰიუნდაი მოტორსმა" მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ჩინეთში თავისი პოზიციების გამყარებისაკენ. როგორც კომპანიის ხელმძღვანელობა იუწყება, პეკინმა თანხმობა განაცხადა "ჰიუნდაის" მიერ ქვეყანაში გრანდიოზული პროექტის განხორციელებაზე. ეს იქნება კორეული კომპანიისა და ადგილობრივი ავტომწარმოებლის - "ბეიჯინგ აუტომოტივ ინდასტრი ჰოლდინგის" ერთობლივი საწარმო, რომელიც 2010 წლიდან უნდა ამუშავდეს და ყოველწლიურად 500 ათასი მანქანა გამოუშვას, კერძოდ კი - "ჰიუნდაის" "იეფ სონატასა" და "ელანტრა იქსდეს" მოდელები. ქარხანა პეკინის მახლობლად იქნება განთავსებული.*

თორნიკე შარაშენიძე

ასე რომ, "ჰიუნდაი," კორეის უმსხვილესი ავტომწარმოებელი, შეუერთდა იმ კომპანიათა საპატიო სიას, რომლებმაც უკვე მოიკიდეს ფეხი ჩინეთში – მსოფლიოს ამ უდიდეს ბაზარზე. ეს ავტოკომპანიებია: "ჯენერალ მოტორზი," "ფოლკსვაგენი," "ტოიოტა," "ნისანი," "ფიატი" და "პეჟო სიტროენი." "ჰიუნდაისათვის" ეს ისტორიული წარმატებაა, რადგან სამანქანო სექტორი გლობალური მასშტაბით კრიზისს განიცდის და ერთადერთ ქვეყნად, სადაც ავტოსაშუალებებზე მოთხოვნილება სტაბილურად იზრდება, სწორედ ჩინეთი გახლავთ. ასე რომ, ყველა კომპანია, რომელიც კი ამ ბაზარს მიღმა რჩება (ავტოგიგანტებიდან ესენი არიან: "ფორდი," "ჰონდა" და "ბეემვე." "დაიმლერკრაისლერი" "ჰიუნდაის" 10 პროცენტს ფლობს და ისიც გადის საქმეში, "რენო" კი "ნისანს" აკონტროლებს), შეიძლება, ახლო მომავალში დიდი პრობლემების წინაშე აღმოჩნდეს.

სპეციალისტთა ვარაუდით, მიმდინარე წელს ჩინეთის სამანქანო სექტორის 40 პროცენტით გაზრდაა მოსალოდნელი, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში, სულ მცირე, მილიონი მანქანა მაინც გაიყიდება. ასე რომ, აქაური ბაზარი კიდევ დაიტევს უცხოურ ინვესტიციებს, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩინეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას შეუერთდა. ამ უკანასკნელის წესდების თანახმად კი, ქვეყანამ მომავალი ორი წლის განმავლობაში უნდა მოხსნას ყველანაირი შეზღუდვა ერთობლივ საწარმოებზე.

"ჰიუნდაისა" და ჩინეთს შორის ისტორიული კონტრაქტის გაფორმება ორ ქვეყანას შორის ეკონომიკურ ურთიერთობათა გაღრმავების პერიოდს დაემთხვა. ერთი კვირის წინ ჩინეთის სიდიდით მესამე ავტომწარმოებელმა - "შანხაი აუტომოტივმა" გაკოტრებული "დეუ მოტორის" კუთვნილ სამ ქარხანაში 38,4 მილიონი დოლარის ინვესტირების შესახებ განაცხადა.

"ჰიუნდაი" ერთობლივ საწარმოში, საწყის ეტაპზე, 100 მილიონ დოლარს დააბანდებს, 2010 წლისათვის კი წილის 1,1 მილიარდ დოლარამდე გაზრდა აქვს ჩაფიქრებული. ზემოთ დასახელებული "სონატასა" და "ელანტრას" მოდელები შედარებით იაფიანი, ასე ვთქვათ, მცირებიუჯეტიანი მანქანებია. კომპანიის წარმომადგენელთა თქმით, ეს იმიტომ კეთდება, რომ ჩინეთში ავტოსაშუალებებზე მოთხოვნილების გაზრდა, ძირითადად, საშუალო და ღარიბი მოსახლეობის ხარჯზეა მოსალოდნელი. ამ ფენებზე მუშაობის გამოცდილება კი "ჰიუნდაის" საკმარისზე მეტი აქვს.

# გერმანიის დაზვერვის სამსახურის დოსიე: „ღამით მთელი ჩეჩნეთი ამბოხებულებს ეკუთვნით„



*10 ათასი დაღუპული რუსი ჯარისკაცი – ასეთია ჩეჩნური კამპანიის ფასი*

ლევან ღირსიაშვილი

*გუშინ გერმანულენოვნმა გავლენიანმა გაზეთმა "დი ველტმა" ფედერალური კანცლერისადმი გერმანიის დაზვერვის სამსახურის მიერ წარდგენილი მოხსენება გამოაქვეყნა. დოკუმენტი ჩეჩნეთში რუსეთის სამხედრო კამპანიას შეეხება.*

**"კონფლიქტის პოლიტიკური მეთოდებით მოგვარებისათვის გულწრფელი მზადყოფნა არ არსებობს. სამხედრო თვალსაზრისით, მდგომარეობა ძალზე რთულია,"** - ნათქვამია გერმანიის დაზვერვის დოსიეში. დოკუმენტის თანახმად, 65 ათასზე რუსი ჯარისკაცის პირისპირ მხოლოდ ორი ათასამდე ჩეჩენი იბრძვის. მიუხედავად ამისა, მათ მტრისათვის სათანადო წინააღმდეგობის გაწევა შეუძლიათ. დოკუმენტის ავტორები რუსეთის არმიის წარუმატებლობის მიზეზებს შორის **"უიმედო მდგომარეობას",** ამბოხებულებისადმი მოსახლეობის მხარადაჭერასა და ფედერალებს შორის **"უფლებამოსილებების არასწორად განაწილებას"** ასახელებენ, რაც განსაკუთრებით მტკივნეულად არმიის ტაქტიკური მოქმედების დონეზე აისახება. კერძოდ, სამხედრო კამპანიას, გაერთიანებული ხელმძღვანელობის გარდა, ჩეჩნეთის ტერიტორიაზე მოქმედი კიდევ ჩვიდმეტამდე გასამხედროებული ფორმირება წარმართავს. ჩეჩნეთში წარმოდგენილნი არიან შინაგან საქმეთა სამინისტროს, სასაზღვრო ჯარების, საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს, სარკინიგზო ჯარებისა და სხვა უწყებათა სამხედრო შენაერთები. თითოეული უწყების ხელმძღვანელი, ოპერაციების შტაბის მეშვეობით, ბრძანებებს აძლევს თავის ჯარისკაცებს. უფრო ხშირად კი ეს განკარგულებები შტაბის გვერდის ავლით, ადგილზევე გაიცემა. ამის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს ის, რომ რუსეთის არმიაში დიდი დანაკარგები სწორედ **"საკუთარი ცეცხლის"** წყალობით ხდება. დოსიეს მიხედვით, ჩეჩნეთში განთავსებულ რუსულ არმიაში ასევე დაფიქსირებულია **"მეტოქეობა საბრძოლო მოქმედებების ჩატარების დროს, შიში პასუხისმგებლობის წინაშე და საიდუმლო ინფორმაციის შენახვის უუნარობა."** ჩეჩნეთის ტერიტორიაზე დისლოცირებულ რუსეთის არმიაში უთანხმოებას და კორუფციას, რომ აღარაფერი ითქვას საკუთარი იარაღით ვაჭრობაზე, დასასრული არ უჩანს.

ოფიციალური მოსკოვი კი აცხადებს, რომ დეკემბერ-იანვარში ჩეჩნეთში, როგორც რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთი სუბიექტისთვის, მომზადდება კონსტიტუცია, რასაც შემდგომში მოსახლეობამ ხმა უნდა მისცეს. თუმცა, დოსიეში მოყვანილი მასალების მიხედვით, სამხედრო კამპანიის ახალი ტალღა 2003 წლიდან დაიწყება და ომი კავკასიის ამ რესპუბლიკაში გაგრძელდება: **"დიდი დანაკარგებისა და წარმოუდგენელი სისასტიკის თანხლებით."** პოლიტიკური მეთოდებით ომის დასრულება კი, დოკუმენტის ავტორების აზრით, ოცნების სფეროს განეკუთვნება.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ჩეჩნებს არ შეუძლიათ არც ერთი მსხვილმასშტაბიანი აქციის შეთანხმებულად განხორციელება, როგორიც იყო, მაგალითად, გროზნოზე შეტევა, ისინი მზად არიან, რუსეთის ფედერალურ ძალებზე "წერტილოვანი" დარტყმები ნებისმიერ მომენტში განახორციელონ და მათ რიგებში დიდი მსხვერპლი გამოიწვიონ. **"რუსი ჯარისკაცები კვლავ მოუქნელნი არიან იმისათვის, რათა ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ნებისმიერი გადაადგილებისათვის მზად იყვნენ. არ შეიძლება, არ აღვნიშნოთ ის საფრთხე, რაც რუსეთის სატრანსპორტო ავიაციას ემუქრება, რადგან ამბოხებულებს შეიარაღებაში საზენიტო კომპლქსებიც გააჩნიათ. ღამით მთელი ჩეჩნეთი, მკაცრად დაცული სამხედრო ობიექტების გარდა, ამბოხებულებს ეკუთვნით,"** - ნათქვამია დოსიეში. რუსეთის ოფიციალური ცნობების თანახმად, ჩეჩნეთში 4500 რუსი სამხედრო მოსამსახურე და 14 000 ჩეჩენი დაიღუპა. ამის საწინააღმდეგოდ გერმანიის დაზვერვის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ჩეჩნეთში სამხედრო კამპანიის დროს დაიღუპა 10 000 რუსი ჯარისკაცი და 80 000 ჩეჩენი ეროვნების მოქალაქე. ამავე დროს, დოსიე აფიქსირებს იმ ფაქტს, რომ ჩეჩნეთში აღდგენითი სამუშაოების დაწყების არანაირი ნიშანი არ შეიმჩნევა, არ არსებობს გადასახადების სისტემა, ეკონიმიკურ-პოლიტიკურ სიტუაციას კი ძველებურად კორუფცია განსაზღვრავს. 2002 წლის ბიუჯეტში ჩეჩნეთის აღსადგენად გამოყოფილი 4 მილიარდი რუბლი გაურკვეველი მიმართულებით არის გამქრალი. და ბოლოს, დაზვერვის დოკუმენტის ავტორები ასკვნიან, რომ ვითარების გამოსწორების იმედი არ ჩანს.

ძნელი დასაჯერებელია, რომ "დი ველტმა" გერმანიის დაზვერვის მიერ კანცლერისადმი გაგზავნილი დოკუმენტი, გრიფით "საიდუმლო," საკუთარი ძალებით ჩაიგდო ხელში. შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის დაზვერვამ პრესას ეს მასალა გამიზნულად გადასცა. ჩნდება კითხვა, რა მიზნით? ალბათ, იმისათვის, რომ აღნიშნულმა დოკუმენტმა დასავლეთში რუსეთის წინააღმდეგ საზოგადოებრივი კამპანიის ახალი ძალით აგორებას მისცეს ბიძგი. დასავლეთის პრესას ჩეჩნეთის სამხედრო კამპანიაზე ხომ დიდი ხნის განმავლობაში მორატორიუმი ჰქონდა გამოცხადებული. ალბათ, მოქმედების დაწყების დრო დადგა.

# აზერბაიჯანულ ჯარში გაწვევა ბაზრის კანონებით ხდება

*აზერბაიჯანი, ფაქტობრივად, ომის მდგომარეობაში მყოფი ქვეყანაა. ძლიერი არმიის მშენებლობა ქვეყნის ხელისუფლებამ უმთავრეს მიზნად გამოაცხადა და ამისათვის წელიწადში 100 მილიონ დოლარზე მეტს ხარჯავს. და მაინც, აზერბაიჯანის არმია სავალალო მდგომარეობაშია. მიზეზი – უზომო კორუფცია. ეს პრობლემა კი ისევე აწუხებს საქართველოს, როგორც აზერბაიჯანს.*

მამედ სულეიმანოვი
IWPR-ის კორესპონდენტი. ბაქო
სპეციალურად „24 საათისთვის„

*წელს, უკვე მეოთხედ, აზერბაიჯანს ჯარში გაწვევის ციებ-ცხელებამ გადაუარა. ქვეყნის შეიარაღებული ძალების შევსებას, ტრადიციულად, კორუფცია, ცრემლები და სკანდალები მოჰყვება.*

*ამ დღეში ახალგაზრდა მამაკაცები თავს ბაქოს მიდამოებში, ბილაჯარის რაიონში იყრიან, სადაც, რესპუბლიკური გასაწვევი პუნქტიდან, 18-35 წლის წვევამდელები სამხედრო შენაერთებში ნაწილდებიან.*

გასაწვევი პუნქტი ორი ნაწილისგან შედგება - გარეთა ეზოში მომავალი ჯარისკაცების აღელვებული ნათესავები ელიან ცნობას იმის შესახებ, თუ სად გაიგზავნება 18 თვით მათი შვილი, ძმა, დის ან ძმის შვილი.

აქვე უხვადაა განლაგებული სავაჭრო "წერტილები". არცთუ დიდ ეზოში, რამდენიმე ადგილას იწვება მწვადი, მოქმედებს ჩაიხანა. ნათესავებს შორის დაბალი წოდების ოფიცრები ტრიალებენ და მათ საშუამავლო მომსახურებას სთავაზობენ.

ამ მასალის ავტორს, რომელმაც ნათესავის ჯარში გაცილების დროს მოინახულა ეს ადგილი, 100 დოლარად შესთავაზეს "ადგილის შეძენა" ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში, სადაც პირობები, სხვა ნაწილებთან შედარებით, ოდნავ უკეთესია - ნაკლებადაა გავრცელებული ავადმყოფობები და ჯარისკაცებს უკეთესად კვებავენ. ასევე "ძვირადღირებულია" პოტენციურ კონფლიქტის ზონას - ყარაბაღს მოშორებულ ნაწილებში ჩარიცხვა.

აზერბაიჯანში, უბრალო მოქალაქეებით დაწყებული და მაღალჩინოსნებით დამთავრებული, ყველამ იცის სამხედრო ნაწილების ერთგვარი "რეიტინგის" არსებობის შესახებ. ბუნებრივი პირობებიდან, ადგილობრივი მეთაურების პატიოსნებიდან და ფრონტთან სიახლოვიდან გამომდინარე, არსებობს ვადიანი სამსახურის კარგი, ნორმალური და სახიფათო ადგილები.

ამასთანავე, ყოფილი მოსამსახურეების, მათი ნათესავებისა და უფლებადაცვითი ორგანიზაციების წარმომადგენელთა ნაამბობის შეჯამებით, გამოდის, რომ მესამე კატეგორიას სამხედრო ნაწილების აბსოლუტური უმრავლესობა განეკუთვნება.

ყველაზე პრესტიჟულად ითვლება სავალდებულო სამხედრო სამსახურის ბაქოში მოხდა, ხოლო ყველაზე არასასურველად - მუროვის მთებში მდებარე რეგიონში. ეს ადგილი ყარაბაღთან, ანუ პოტენციურ ფრონტის ხაზთან, უშუალო სიახლოვეს მდებარეობს. გარდა ამისა, იქ სიცივისა და ზვავებისგან ჯარისკაცები ყოველწლიურად იღუპებიან.

აზერბაიჯანულ ჯარში გამეფებული სრული განუკითხაობის კიდევ ერთი შედეგი იყო მზის დარტყმისგან ერთდროულად რვა ახალგაზრდის დაღუპვა, იმის გამო, რომ მეთაურები ჯარისკაცებს ძალიან ცხელ დღეებშიც კი ამუშავებდნენ.

განუკითხაობის პირობებში ყვავის კორუფცია, რომელშიც ჩათრეულნი არიან საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები. ყველაზე მცირე თანხაა გადასახდელი გასაწვევი პუნქტის შიდა ეზოში მოსახვედრად, სადაც მომავალ ჯარისკაცებს სამედიცინო შემოწმება უტარდებათ. ამ სტატიის ავტორი, ჯარისკაცმა, რომელიც შესასვლელს იცავდა, იქ ორ დოლარად შეუშვა.

შიგნითაც ასევე ჩაიხანები და სასადილოები აღმოჩნდა, სადაც ფასები 2-3-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე გარეთ. იქვე ქუჩის პატარა "რულეტკაც" მოქმედებდა, რომლის გარშემოც წვევამდელებს მოეყარათ თავი. ეს ფაქტი განსაკუთრებულ გაკვირვებას იწვევს, რადგან აზერბაიჯანში აზარტული თამაშები აკრძალულია.

ახალგაზრდა ნაილი იქ აზერბაიჯანის ჩრდილოეთიდან - ზაქათალის რაიონიდან ჩავიდა. **"პირველად შარშან გამიწვიეს, თუმცა, სამხედრო კომისარს 200 დოლარი გადავუხადე გადავადებისთვის, მაგრამ წელს ამ თანხის მოძიება ვერ მოვახერხეთ",** - გვითხრა მან.

არ გაუმართლა ბელაქანის რაიონის მკვიდრს - მაგომედს: **"ერთი თვის წინ კომისარიატში, ერთწლიან გადავადებაში, 150 დოლარი გადავიხადე, მაგრამ კომისარი მოულოდნელად მოხსნეს თანამდებობიდან. ფული ჩემთვის არავის არ დაუბრუნებია, ახლა კი ჯარში გამიწვიეს".**

ყველა წვევამდელმა და მათმა ნათესავებმა კარგად იციან სამხედრო სამსახურისგან სრული განთავისუფლებისთვის საჭირო თანხაც - გადაიხდი 900-1000 დოლარს და მიიღებ შენს სამხედრო ბილეთს, - ამბობენ ისინი.

კიდევ ერთმა ახალგაზრდამ - ლენქორანელმა სამირმა, რომელსაც სამედიცინო შემოწმება ჯერ კიდე არ გაუვლია, უკვე იცის, სად იმსახურებს: **"ჩვენი რაიონის კომისარს კონვერტით 150 დოლარი მივუტანეთ და დამპირდა, რომ ბაქოში დავრჩები".**

ჯარიდან თავის დაღწევა პირდაპირ ბილაჯარშიც არის შესაძლებელი. წვევამდელი ვუგარ ორუჯევის ნაამბობით, იგი იმათ შორის იყო, ვისაც ბეილაგანსკის რაიონში აგზავნიან, სადაც ცხელა, მძვინვარებს მალარია და შიმშილი. **"მე ერთ ოფიცერს 40 დოლარი მივეცი და მან სიიდან ამომშალა. ახლა მაგზავნიან ასტარაში, ირანის საზღვართან, სადაც გაცილებით უკეთესია",** - ამბობს იგი.

მრავალ ადამიანთან საუბრის შემდეგ, როგორც რესპუბლიკურ გასაწვევ პუნქტზე, ასევე მის გარეთ, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ბილიჯარამდე აღწევენ მხოლოდ ის წვევამდელები, ვისაც ან მართლა სურთ, იმსახურონ აზერბაიჯანულ ჯარში (ასეთები კი ძალიან ცოტანი არიან), ან ისინი, ვისაც ქრთამის გადახდის შესაძლებლობა არ გააჩნიათ.

თუმცა, ჯარში წამსვლელებსაც უწევთ ხარჯების გაღება. ადრე წვევამდელების რუსპუბლიკურ გასაწვევ პუნქტში მიყვანის თანხას სამხედრო კომისარიატები იხდიდნენ, ახლა კი ყველა იძულებულია, საკუთარი ხარჯებით იმგზავროს. საგზაო ხარჯები არა ნაკლებ 15 დოლარია, მაშინ, როდესაც პროვინციებში მცხოვრებთა საშუალო შემოსავალი თვეში, დაახლოებით, 20 დოლარს შეადგენს.

ბილიჯარში ჩამოსვლის შემდეგ კი, შესაძლებელია, მოხდეს ისე, რომ ამავე დღეს სამხედრო ნაწილში გადაყვანა არ მოხერხდეს. ამ შემთხვევაში მომავალი ჯარისკაცი იძულებულია, თავშესაფარი ეძებოს. აქვე დღეში ხუთ დოლარად ქირავდება პატარა ოთახები, ყოველგვარი საყოფაცხოვრებო პირობების გარეშე. ერთ-ერთი ასეთი "ოთახის" პატრონმა, რომელმაც საკუთარი ვინაობის დასახელება არ ისურვა, განაცხადა, რომ შემოსავლის ნახევარს ის სამხედრო კომისარს უნაწილებს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გაწვევის კამპანია აზერბაიჯანში წელიწადში ოთხჯერ ტარდება და 20 დღემდე გრძელდება, ბილაჯარელი სამხედროების "შავი" შემოსავლები საკმაოდ სოლიდურად ჩანს.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ფულის კეთების ასეთი სქემა თავდაცვის სამინისტროს გვერდის ავლით მოქმედებდეს, თუმცა სამინისტროში აღნიშნული ინფორმაცია კატეგორიულად უარყვეს. **"შეუძლებელია, ადგილი ჰქონდეს იმას, რაზეც თქვენ საუბრობთ,** - განაცხადა აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს პრეს-სამსახურის უფროსმა, პოლკოვნიკმა რამიზ მელიქოვმა, - **თუ თქვენ ფლობთ ფაქტებს, მომმართეთ წერილობით და ერთი მათგანიც რომ დადასტურდეს, უმკაცრეს ზომებს მივიღებთ".** განსხვავებული მოსაზრება აქვთ უფლებადამცველ ორგანიზაციებს: "სამხედრო სამსახურში გაწვევისას და ვალდებულების მოხდის პერიოდში არსებულ ყველა ამ დანაშაულს მე ახალგაზრდობის გენოციდს ვუწოდებ", - განაცხადა საზოგადოება "ჯარისკაცთა დედების" თავმჯდომარის მოადგილემ ტაისია გორდეევამ.

გორდეევა ამბობს, რომ იგი ფლობს მრავალ ფაქტს, რომლებიც ადასტურებენ სამხედრო სამსახურისთვის უვარგისი ადამიანების ჯარში გაწვევას. მაგალითისათვის მას მოჰყავს რომან ალიევის შემთხვევა, როცა წვევამდელის წონა ნორმაზე ნაკლები იყო და მალე იგი ჰოსპიტალში აღმოჩნდა დიაგნოზით - "კარდიალური ტიპის ნეიროცირკულატორული დიოქსია".

**"რისთვის სჭირდება არმიას ჯარისკაცი, რომელიც სამხედრო სამსახურს სამედიცინო ნაწილში იხდის და სამსახური მის სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის?"** - აღშფოთებას ვერ მალავს გორდეევა.

**"საუბრობენ პატრიოტიზმზე, მაგრამ ჯარში მსახურობენ მხოლოდ ღარიბები, ვისაც არა აქვს ფული ქრთამის მისაცემად",** - განაცხადა დამოუკიდებელმა ექსპერტმა ზარდუშტ ალიზადემ.

კერძო საუბრებში ბევრი უფლებადამცველი აცხადებს, რომ რესპუბლიკის სამხედრო კომისარი, გენერალი ალიაგა ჰუსეინოვი, პრეზიდენტის შვილის - ილხამ ალიევის ნდობით აღჭურვილი პირია და მათი კლანისთვის კოლოსალურ ფინანსურ შემოსავლებს უზრუნველყოფს. სამხედრო კომისარიატებში ამ პიროვნებას აბსოლუტური ხელისუფლება გააჩნია, ბევრი რაიონული სამხედრო კომისარი კი მისი ნათესავია.

## მოკლედ

**ერაყი.** ბაღდადის რაიონის აზამიას, დაახლოებით, ორასმა მცხოვრებმა სისხლი გაიღო, რათა ერაყის პრეზიდენტის არჩევნებისათვის სადამ ჰუსეინის მხარდამჭერი ლოზუნგები თავიანთი სისხლით დაეწერათ. არჩევნები დღეისათვის - 15 ოქტომბრისათვის არის დანიშნული, თუმცა, ასარჩევი არაფერია. პრეზიდენტის პოსტზე მხოლოდ ერთი კანდიდატი იყრის კენჭს. ეს კანდიდატი ამჟამინდელი პრეზიდენტი გახლავთ. ჰუსეინის მხარდამჭერმა დეპუტატმა, 70 წლის ხალილ ისმაილ ალ უბეიდმა ერაყის გაზეთთან - "ას-საურასთან" ინტერვიუში განაცხადა: "ჩვენი პრეზიდენტი ხალხისთვის თავს სწირავს. ამიტომ ჩვენ მას ჩვენი სისხლით ვეუბნებით: "დიახ". ერაყელთა სისხლით კი, დაახლოებით, 80-მდე საარჩევნო ლოზუნგი დაიწერა. მათ შორისაა: **"ერაყს და ჩვენს საყვარელ ლიდერს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დავიცავთ," "დიახ - სადამ ჰუსეინს! დიახ - მტრებისგან ერაყის დაცვას!"**



*დიქტატორული რეჟიმების სიმბოლო - ცხენზე ძლევამოსილად ამხედრებული მტარვალი*

■ ■ ■

**დიდი ბრიტანეთი.** ორშაბათს დიდმა ბრიტანეთმა ჩრდილოეთ ირლანდია თავის პირდაპირ მმართველობას დაუქვემდებარა. ლონდონმა ჩრდილოეთ ირლანდიის ასამბლეის – რეგიონის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მოქმედება შეაჩერა. ამის შესახებ ორშაბათს დიდი ბრიტანეთის ჩრდილოეთ ირლანდიის საქმეთა მინისტრმა ჯონ რიდმა ჰილსბოროს ციხესიმაგრეში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. ამ გადაწყვეტილების მიღების მიზეზად იქცა ჩრდილოეთ ირლანდიის ნაციონალისტური პარტიის "შინ ფეინისადმი" წაყენებული ბრალდება- თითქოს "შინ ფეინი" ტერორისტული ორგანიზაციის - ირლანდიის რესპუბლიკური არმიის სასარგებლოდ ირლანდიის ხელისუფლებაში საჯაშუშო საქმიანობას წარმართავს.

მას შემდეგ, რაც "შინ ფეინის" მაღალი თანამდებობის პირების ოფისებში საიდუმლო დოკუმენტები აღმოაჩინეს, პროტესტანტ იუნიონისტთა ლიდერმა და ჩრდ. ირლანდიის პირველმა მინისტრმა დევიდ ტრიმბლმა განაცხადა, რომ თუ ლონდონი სტორმონტიდან (ჩრდ. ირლანდიის ასამბლეა) "შინ ფეინს" არ გააძევებდა, მაშინ იუნიონისტები თავად დატოვებდნენ ასამბლეას.

კრიზისის დროებით გასამუხტად, ლონდონი იძულებული გახდა, საერთოდ შეეჩერებინა სტორმონტის მოქმედება.

ამ ნაბიჯმა "შინ ფეინის" ხელმძღვანელის ჯერი ადამსის პროტესტი გამოიწვია. მისი თქმით, ჯონ რიდი უპატიოსნოდ მოიქცა, როდესაც ოლსტერში "დემოკრატიული ინსტიტუტების მოქმედება შეაჩერა". აღსანიშნავია, რომ 1998 წლის "წითელი პარასკევის" შეთანხმების შემდეგ, ეს უკვე მეოთხე შემთხვევაა, როდესაც ლონდონმა ოლსტერში პირდაპირი მმართველობა შემოიღო.

■ ■ ■

**სერბეთი.** კვირას სერბეთში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე რაუნდი გაიმართა. ამომრჩეველთა დაბალი აქტივობის გამო, იგი ჩაშლილად გამოცხადდა. ურნებთან ამომრჩეველთა მხოლოდ 45,9 პროცენტი მივიდა. კონსტიტუციის თანახმად, არჩევნები ჩატარებულად რომ ჩაითვალოს, მასში ამომრჩეველთა ნახევარმა მაინც უნდა მიიღოს მონაწილეობა. კენჭისყრაში ქვეყნის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ვოისლავ კოშტუნიცამ დამაჯერებლად გაასწრო მეტოქეს, ვიცე-პრემიერ მიროლუბ ლობუსს. კოშტუნიცამ ამომრჩეველთა ხმების 67 პროცენტი მიიღო, ხოლო მისმა კონკურენტმა კი, რომელსაც პრემიერი ზორან ჯინჯიჩი უჭერდა მხარს – 31 პროცენტი.

აღსანიშნავია, რომ არჩევნების ჩაშლაში, რასაც ორივე კანდიდატმა "სერბეთის მსოფლიო მასშტაბით თავის მოჭრა" უწოდა, კოშტუნიცამ სწორედ ჯინჯიჩი დაადანაშაულა, რომელმაც არ შეადგინა ახალი საარჩევნო სიები და ათობით ათას ამომრჩეველს ხმის მიცემის საშუალება წაართვა. თუმცა, საერთო აზრით, პასიურობის ძირითადი მიზეზი მოსახლეობის მიერ პოლიტიკოსებით საყოველთაო გაწბილებაა.

არჩევნების ჩაშლა იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში ხმის ახლიდან მიცემა უნდა დაინიშნოს, ახლიდან წარადგინონ კანდიდატები და მათ ახალი საარჩევნო პროგრამები შეიმუშაონ. ერთი სიტყვით, ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს.

■ ■ ■

**გერმანია.** გერმანიის ხელისუფლებამ კრიმინალურ საკითხთა ფედერალური უწყების ექსპერტების ინდონეზიაში, კუნძულ ბალიზე გაგზავნა გადაწყვიტა. საუბარია ქვედანაყოფზე, რომელიც უახლოეს დღეებში კუნძულზე გაემგზავრება. დელეგაციის უმთავრეს მისიას კუნძულ ბალიზე ტერაქტის შედეგად დაღუპული ადამიანების იდენტიფიკაცია წარმოადგენს, რომელთა შორისაც, პირველადი მონაცემებით, ათი გერმანელია. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კუნძულზე მყოფ გერმანელ მოქალაქეებს ტერიტორიის სასწრაფოდ დატოვებისაკენ მოუწოდა. ბალიზე მომხდარ ტერაქტთან დაკავშირებით, გერმანიის საგარეო საქმეთა უწყებაში უკვე შექმნილია "კრიზისული ვითარების შტაბი," სადაც სატელეფონო "ცხელი ხაზი" მოქმედებს. თავისი ექსპერტები გააგზავნეს კუნძულზე აშშ-მ და ავსტრალიამაც.

■ ■ ■

**რუსეთი. "რუსეთი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა ერაყში სამხედრო ოპერაციის დაწყება არ დაუშვას,"** - ასეთი განცხადება რუსეთის ფედერაციის საბჭოს სპიკერმა სერგეი მირონოვმა ქუვეითის პარლამენტარებთან შეხვდრის დროს გააკეთა. მისი თქმით, მოსკოვი გაერო-ს ექსპერტების ერაყში დაბრუნებისათვის ხელის შეწყობას ცდილობს. "შემოწმების შემდეგ ინსპექტორები მოამზადებენ ოფიციალურ დასკვნას, სადაც დააფიქსირებენ, არსებობს თუ არა ქვეყანაში მასობრივი განადგურების იარაღი," - **აღნიშნა სპიკერმა. შეხვედრაზე ასევე განიხილეს 100 ქუვეითელი სამხედრო მოსამსახურის საკითხი, რომლებიც, როგორც ვარაუდობენ, ერაყში ტყვედ იმყოფებიან.** "რუსეთი, რომელიც ერაყთან მუდმივად აწარმოებს მოლაპარაკებებს, შეეცდება, ქუვეითს ამ საკითხში ყველანაირი დახმარება აღმოუჩინოს," - ხაზგასმით განაცხადა სერგეი მირონოვმა.

■ ■ ■

**პალესტინა.** პალესტინური წყაროების ცნობით, ბეთლემის მიმდებარე ტერიტორიაზე აფეთქების შედეგად დაიღუპა გავლენიანი ტერორისტი მოჰამედ აბაიათი. იგი ძლიერი პალესტინური კლანის - აბაიათების რიგებში იყო გაწევრიანებული. ისრაელის სპეცსამსახურების ცნობით, ისრაელის ტერიტორიაზე განხორციელებული ტერაქტების უკან სწორედ აბაიათების ფინანსები იდგა. ზოგიერთი მონაცემის თანახმად, 25 წლის მოჰამედ აბაიათი ასევე გაწევრიანებული იყო "ალ აქსის წამებულთა ბრიგადებში." ეს ორგანიზაცია მოძრაობა "ფათხისთან" მჭიდრო კავშირში იმყოფება.

## მოკლედ

**თბილისი.** გუშინ საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტმა თბილისში იმუნიზაციის მდგომარეობის შესწავლა დაიწყო. დეპარტამენტის უფროსის, რამაზ ურუშაძის განცხადებით, კვლევები დედაქალაქის ყველა რაიონში ჩატარდება. მისი მიზანია ქვეყანაში ვაქცინაციის მიმდინარეობის შემოწმება და მისი შედეგების სათანადო შეფასებაა. აქცია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ეგიდით ხორციელდება და მალე მთელ საქართველოს მოიცავს. **კავკას-პრესი**

* * *

**თბილისი.** პრეზიდენტის განკარგულებით, 300 ათასი ლარი მოხმარდება ქალაქ ზესტაფონში აგრარულ ბაზართან და კვალითის დასახლებასთან მისასვლელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებას. ეს გზა დედაქალაქისა და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისთვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ტრანსპორტირების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. მისი სავალი ნაწილი აგვისტო-სექტემბერში, ხანგრძლივი და ძლიერი წვიმების შედეგად გამოვიდა მწყობრიდან. პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტმა, 2002 წლის საგზაო ფონდში ზესტაფონის რაიონში გათვალისწინებული სამუშაოებისათვის შემოსული სახსრების ხარჯზე, კვალითის დასახლებასა და აგრარულ ბაზართან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები გამონაკლისის სახით უზრუნველყო. **კავკას-პრესი**

* * *

**თბილისი.** შემოდგომა-ზამთრის პერიოდის დაწყებასთან ერთად, დედაქალაქის ზოგიერთ უბანში ენერგეტიკული პრობლემები გაჩნდა. შაბათს, საღამოს, სულ ცოტა, ხუთჯერ მაინც, 10-30 წუთით ჩაბნელდა ვარკეთილის მასივი, ვაზისუბანი, აეროპორტისა და მე-9 ლეგიონის დასახლება. „ეი-ი-ეს თელასის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში ამის მიზეზად პიკის საათებში სიხშირის უკმარისობას ასახელებენ. სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში კი „მედია-ნიუსს" განუცხადეს, რომ თბილისს ელექტროენერგია „ეი-ი-ეს თელასის" განაცხადის შესაბამისად მიეწოდება და ენერგოსისტემა არაფერ შუაშია. პიკის საათებში დედაქალაქი დაახლოებით 300 მეგავატის სიმძლავრეს მოიხმარს. შექმნილი პრობლემების მიუხედავად, „ეი-ი-ეს თელასი" ჯერ არ აპირებს მეზობელი ენერგოსისტემიდან ელექტროენერგიის იმპორტს. როგორც კომპანიაში აცხადებენ, „ეი-ი-ეს მტკვრის" მეცხრე ენერგობლოკი ჩაირთვება, ისიც იმ შემთხვევაში, თუ მოგროვდება საწვავის შესაძენი თანხა - თვეში 3,5 მლნ ლარი. **მედია-ნიუსი**

* * *

**თბილისი.** თბილისობისთვის, როგორც წესი, დედაქალაქის ყველა რაიონში მოეწყობა სასურსათო ბაზრობები, რომლებზეც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოტანილი პროდუქტები გაიყიდება. თბილისის სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსის ჯუღული ახვლედიანის განცხადებით, ბაზრობებისთვის გამოყოფილი ტერიტორიები ამ დღეებში დამუშავდება. მისივე თქმით, ამ ბაზრობებზე პროდუქტების ყიდვა საშიში არ იქნება, რადგან ყველა პროდუქცია, ხორცის პროდუქტები და რძის ნაწარმი მკაცრ კონტროლს გაივლის. თბილისში ჩამოტანამდე ფერმერებმა თავიანთი პროდუქცია ჯერ რაიონების ვეტერინარულ ლაბორატორიებში უნდა შეამოწმონ და ვეტსამსახურის ცნობა აიღონ. თბილისში კი, ყველა ბაზრობაზე, პროდუქციის ხარისხს ქალაქის ვეტსამსახურის თანამშრომლები შეამოწმებენ. **მედია-ნიუსი**

* * *

**თბილისი.** დედაქალაქის ისნის რაიონის 5 ათასი აბონენტი ბუნებრივ აირს „თბილისობის" წინა დღეებში მიიღებს. „თბილგაზის" ტექნიკური დირექტორის თენგიზ არშიძის განცხადებით, ისნის მეტროს მიმდებარე ტერიტორიასა და მოსკოვის გამზირზე გაზის მიწოდება 24-25 ოქტომბერს აღდგება. მისივე თქმით, ინტენსიურად მიმდინარეობს გაზსადენის დაზიანებული მონაკვეთის აღდგენა, რისთვისაც დედაქალაქის მერიამ 50 ათასი ლარი გამოყო. როგორც არშიძე აცხადებს, ჩატარებული სამუშაოები იმის გარანტიას იძლევა, რომ შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ამ უბანზე ავარია აღარ მოხდება. შეგახსენებთ, რომ ამ უბანს გაზი აპრილის შემდეგ არ მიეწოდება. მისი ჩართვის შემდეგ დედაქალაქი სრულად იქნება დატვირთული. **მედია-ნიუსი**

* * *

**თბილისი.** 17-24 ოქტომბერს საქართველოს მწვანეთა მოძრაობა მდინარე მტკვრის დასუფთავების აქციას ჩაატარებს. მწვანეთა ინფორმაციით, აქცია გაერო-ს კვირეულის ფარგლებში, გაერო-ს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდება. ერთი კვირის განმავლობაში დაასუფთავებენ მტკვრის ორივე სანაპიროს. აქციაში მონაწილეობას მიიღებენ სამთავრობო სტრუქტურების, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების, მასმედიისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. მწვანეთა მოძრაობის სპეციალური პრიზი დაწესდა - 100 ლარით დაჯილდოვდება ის ჟურნალისტი, რომელიც აქციისა და მტკვრის დაბინძურების პრობლემაზე საუკეთესო სტატიას, ტელე და რადიორეპორტაჟს მოამზადებს. **მედია-ნიუსი**

* * *

**თბილისი.** თბილისის სკოლებისთვის საწვავის შემოტანაზე დედაქალაქის მერიამ საერთაშორისო ტენდერი გამოაცხადა. მერიის განათლების სამმართველოს სამეურნეო სამსახურის უფროსის მოადგილის ზურაბ ქოჩიაშვილის განცხადებით, კონკურსში გამარჯვებული 15 ნოემბრისთვის გამოვლინდება. გამარჯვებულმა საწვავის აუცილებელი მარაგი თბილისში ნოემბრის ბოლომდე უნდა შემოიტანოს, რომ სკოლების გათბობის სისტემები უკვე დეკემბერში ამოქმედდეს. შემოსატანია დაახლოებით 1,5 ტონა დიზელი, 400 ტონამდე ნავთი და 100 ათასი კუბური მეტრამდე შეშა. მერიის განათლების სამეურნეო სამსახურის უფროსის მოადგილის თქმით, გათბობის სეზონისთვის აუცილებელია სკოლებში გათბობის სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, რისთვისაც მერია 300 ათას ლარს გამოყოფს. სკოლები გათბობის სეზონისთვის მომზადებას მოასწრებენ. **მედია-ნიუსი**

* * *

**თბილისი.** "თბილსრესის" გენერალური დირექტორის თამაზ გზირიშვილის განცხადებით, "თბილსრესის" თანამშრომლებს მხოლოდ ერთი თვის სახელფასო დავალიანება დაუფარდათ, ხელშეკრულებებით გათვალისწინებული თანხა კი, დაახლოებით 250 ათასი ლარი, ჯერჯერობით, გადმოსარიცხია. "თბილსრესის" 200-მდე თანამშრომელმა, 3 თვის დავალიანების დაფარვის მოთხოვნით, გასული კვირის განმავლობაში ჯერ გამაფრთხილებელი ღონისძიებები, შემდეგ კი საპროტესტო აქციებს და დაუმორჩილებლობას მიმართა. გაფიცვის საკითხი კვლავ დღის წესრიგში დგას. 8 თვის განმავლობაში სახიფათო ბაზარს "თბილსრესის" თანამშრომლების მიმართ 1 700 000 ლარის დავალიანება დაუგროვდა. "თბილსრესის" თანამშრომელთა განცხადებით, დაუფინანსებლობის შემთხვევაში, ისინი თბილისს ელექტროენერგიის გარეშე დატოვებენ. გასულ ოთხშაბათს მათ უკვე გათიშეს თბილისისკენ მომავალი 6 ხაზი. ვითარების განსაკუთრებით გამწვავება მოსალოდნელია თვის ბოლოს, როდესაც დედაქალაქში ელექტროენერგიის ძირითადი მომწოდებლის - "თბილსრესის" ბლოკები ჩაირთვება. **კავკას-პრესი**

# იაპონიაში შვებულება რა არის, არ იციან

## თემურ მჭედლიძეს თბილისის გახსენებაზე ცივი ოფლი ასხამს

*დღევანდელი ცხოვრება ძნელი წარმოსადგენია ტელევიზორის, რადიოს, მობილური ტელეფონისა თუ მაგნიტოფონის გარეშე. გამოდის, რომ ჩვენი ყოფის ერთერთი მთავარი მონაწილე ნახევარგამტარები არიან, რადგან ისინი ნებისმიერი ელექტროაპარატურის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ. რა მოხდებოდა, ან სად ვიქნებოდით, ნახევარგამტარები რომ არ ყოფილიყო? ზოგადი პასუხის გაცემა შეუძლებელია, მაგრამ იმის თქმა კი ნამდვილად შეიძლება, რომ ქართველი ფიზიკოსი თემურ მჭედლიძე იაპონიაში არ აღმოჩნდებოდა.*

ნინო ბუჯაბიძე
*ვინიპეგი, კანადა*

თემურ მჭედლიძე სენდაიში ტოჰოკუს უნივერსიტეტთან არსებული ნივთიერებების კვლევის ინსტიტუტში კრისტალების დეფექტების ფიზიკის ლაბორატორიაში მუშაობს. იაპონიაში ჩასვლამდე ჩერნოგოლოვკაში (საბჭოთა კავშირის ერთერთი დახურული სამეცნიერო ცენტრი) მყარი სხეულების ფიზიკის კვლევით ინსტიტუტში მუშაობდა.

1990 წლის 3 ოქტომბერს გერმანიის მთლიანობის აღდგენამდე ერთი კვირით ადრე იგი იქ სამეცნიერო კონფერენციაზე იყო ჩასული. მოხსენებით მისი იაპონელი კოლეგები გამოვიდნენ. თემური საკითხით დაინტერესდა და დისკუსიაში ჩაება. მას კითხვებზე პროფესორი სუმინო პასუხობდა. სხდომის შემდეგ მათ გააგრძელეს დისკუსია, თემურმა მათი იდეების სისწორის შესამოწმებლად ახალი ექსპერიმენტების ჩატარება შესთავაზა. იაპონელები პასუხს წერილობით დაპირდნენ და კოორდინატები გამოართვეს. თუმცა, პასუხი შეაგვიანდათ და თემურმაც თითქმის დაივიწყა ეს ამბავი. მაგრამ, ორი წლის შემდეგ პროფესორი სუმინო ჩერნოგოლოვკაში ჩავიდა და თემურ მჭედლიძე მის ლაბორატორიაში სამუშაოდ მიიწვია.

მართალია, ნახევარგამტარები საკმაოდ კარგად არის შესწავლილი, მაგრამ ფიზიკის ამ დარგში გასაკეთებელი მაინც ბევრია. მით უმეტეს, რომ ასეთი ფართო მოხმარება აქვს. როგორც თემურ მჭედლიძე ბრძანებს, თვითონ საკმაოდ "პრაქტიკულ" საკითხებზე მუშაობს. იგი დეფექტების თვისებებს იკვლევს კაჟის (სილიკონის) კრისტალებში. **"დეფექტები - ფართო გაგებით მარტო ის არ არის, რაც ცხოვრებაში ხელს გვიშლის. როგორც სანელებლები ცვლიან კერძის გემოს, ისე დეფექტები მოქმედებენ ნახევარგამტარების თვისებებზე. თამამად შეიძლება ითქვას, დეფექტები რომ არ ყოფილიყო, ნახევარგამტარებს ვერ გამოვიყენებდით. საქმე სწორედ იმაშია, რომ ვიცოდეთ, რისთვის რანაირი დეფექტი გვჭირდება და რანაირიად "ჩავაქსოვოთ" ეს დეფექტი კრისტალში საჭირო ადგილას და საჭირო კონცენტრაციით,"** – თემურ მჭედლიძის თქმით, კულინარიასთან ანალოგია ძალიან დიდია, თანაც - ქართველებისთვის უფრო გასაგები. აქედან გამომდინარე, როგორც კულინარია იქნება უკვდავი, სანამ კაცობრიობას გემრიელი კერძები ენდომება, ასევე ნახევარგამტარების ფიზიკაც იცოცხლებს, სანამ კომპიუტერი, ტელევიზორი, მობილური ტელეფონი და მისთანები ესაჭიროება კაცობრიობას.

ერთი პერიოდი თემურ მჭედლიძეს უშუალოდ კაჟის (სილიკონის) კრისტალების მწარმოებელ ფირმაში – "ჰირაცუკა" მოუხდა მუშაობა. როგორც მან აღნიშნა, იმ პერიოდს სულ უფრო და უფრო აფასებს. სამეცნიერო დაწესებულებებში მომუშავესათვის ძნელი წარმოსადგენია, რა პრობლემის წინაშე დგას ის ხალხი, რომელიც თეორიულ იდეებს უშუალოდ კრისტალებში ზრდის. თემურ მჭედლიძეს აქაც კულინარიასთან მოყავს ანალოგია: **"ეს იგივეა, მაღალი კლასის ფრანგული რესტორნის კერძები მაკდონალდში რომ დაამზადო"**. სწორედ ამიტომ, იგი "მაღალი დონის რეცეპტების" უშუალოდ წარმოების ენაზე გადმოთარგმნას ცდილობს.

ამჟამად, თემურ მჭედლიძეს მუდმივი სამსახური აქვს ტოჰოკუს უნივერსიტეტში. მანამდე, როგორც ვახსენეთ, კრისტალების მწარმოებელ ფირმაში მუშაობდა, მაგრამ ისევ უნივერსიტეტში დაბრუნება ამჯობინა. მოგეხსენებათ, ეკონომიური კრიზისი იაპონიაშიც იყო და არის. ამის გამო მათი ფირმა რამდენიმე თვის განმავლობაში დაკეტვის ზღვარზე იდგა.



თემურ მჭედლიძე ოჯახთან ერთად

ბატონი თემური თბილისში ბოლოს ამ წლის აპრილში იყო. მანამდე კი, 1996 წელს ეწვია საქართველოს. **"იმის გარდა, რომ მგზავრობა ხუთი ადამიანისთვის - მეუღლე და სამი შვილი - ძალინ ძვირია, იაპონიაში შვებულება რა არის, არ იციან. მაქსიმალური შვებულება შვიდი დღეა. ამიტომ სპეციალური ნებართვის აღებაა საჭირო სამსახურიდან, რომ ერთი თვით გამოგიშვან,"** – ამბობს ქართველი ფიზიკოსი.

საქართველოშიც დაბრუნებაზე ფიქრი ნამდვილად რთულია ისეთი ადამიანისთვის, როგორიც თემურ მჭედლიძეა. უმუშევრად ყოფნა ადვილი არ არის პიროვნებებისთვის, რომლებიც აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევიან, რომ არაფერი ვთქვათ საქმის მატერიალურ მხარეზე.

ჩერნოგოლოვკის მერე, თემური რამდენიმე ხანი თბილისში ცხოვრობდა ოჯახთან ერთად. იმ დროის ხსენება და ცივი ოფლის დასხმა ერთია. მაგრამ როგორც წასულთა უმრავლესობისთვის, მისთვისაც მნიშვნელოვანია პასუხი კითხვაზე: საქართველოში რომ დავრჩენილიყავი, რამეს ხომ ვერ ვუშველიდი სამშობლოს?

თემურის აზრით, ყველა წასული იქ რომ იყოს და ზოგიერთი იქ მყოფი - არა, თან რუსეთ-ამერიკას თავი დაენებებინა ჩვენთვის, მაშინ ეშველებოდა რამე მდგომარეობას. მაგრამ, ეს იდეალური და ბევრისთვის სანატრელი სიტუაცია ზღაპარივით განუხორციელებელია. ამიტომ, ისეთი ხალხი, ვისაც შრომა უყვარს და ამისთვის ესაჭიროება ინფრასტრუქტურა, საქართველოში ვერ დაბრუნდება.

# 20 მილიონი ჩვენი ჯანმრთელობის გადასარჩენად

## ველოსიპედი გამოგონილია - სოფლებს ამბულატორიები და პოლიკლინიკები ექნება

*მომავალი წლიდან სოფლისა და მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობას საკუთარი ამბულატორიები და პოლიკლინიკები ექნება. ამას ითვალისწინებს პირველადი ჯანმრთელობის დაცვის პროექტი, რომელიც, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, 2003 წლიდან დაიწყებს განხორციელებას. პროექტის ღირებულება 20.300.000 ამერიკული დოლარია და ის 2007 წლამდე გაგრძელდება.*

ეთერ მამულაშვილი

პროექტი ორ ეტაპად განხორციელდება. როგორც ავტორები აცხადებენ, მისი მთავარი მიზანია ქვეყანაში პირველადი ჯანდაცვის ოპტიმალური მოდელის ფორმირება და ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსების სისტემის გაუმჯობესება. პირველ ეტაპზე აქცენტი გაკეთდება სოფლისა და მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობაზე, მეორე ეტაპზე კი იგი ქალაქის მოსახლეობასაც მოიცავს.

დაახლოებით, იგივე პროექტი საქართველოში ორი წლის დაიწყო და მან, მთიანი რეგიონის გარდა, ბარიც მოიცვა. ამ პროექტის ფარგლებში გარემონტდა რამდენიმე პოლიკლინიკა და თანამშრომლებს, სოფლის პირობებისთვის, მაღალი ხელფასებიც დაენიშნათ - მთაში 130 ლარი, ბარში 90 ლარი. მაშინ ეს პროექტი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური თანხებით დაფინანსდა.

პირველადი ჯანდაცვის სისტემის განვითარების მეორე პროექტი შედგება სამი კომპონენტისგან, რომელთაგან პირველი, პირველადი ჯანდაცვის ობიექტების, ამბულატორიებისა და პოლიკლინიკების რეაბილიტაციას ითვალისწინებს. ამავე კომპონენტის ფარგლებში მოხდება ხუთი რეგიონული რეფერალური ლაბორატორიის რეაბილიტაცია, რომელიც გახდება ინტეგრირებული ლაბორატორიული სისტემის საფუძველი.

პირველადი და უფრო მაღალი დონის სამედიცინო დახმარების სამსახურების ოპტიმალური ურთიერთქმედების პილოტირების მიზნით მოცემულ კომპონენტში განხორციელდება პირველადი ჯანდაცვის რეფერალური სისტემის პილოტირება იმერეთის რეგიონში.

პროექტის ავტორები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მოსახლეობის ინფორმირებას, შესაბამისი საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავებასა და დანერგვას. ეს ყოველივე პროექტის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

პროექტის მეორე კომპონენტი პირველადი ჯანდაცვის სისტემის ინსტიტუციონალურ განვითარებას გულისხმობს. **"საქართველოში მეტად მწირია რესურსები სისტემისთვის საჭირო ზოგადი პრაქტიკის ექიმების მოსამზადებლად. ამიტომ ამ კომპონენტში გაერთიანებულია ღონისძიებები, რომლებიც გულისხმობენ პირველადი ჯანდაცვის სწავლებისთვის შესაძლებლობათა გაზრდას. კერძოდ: ფაკულტეტის შექმნა, შესაბამისი ბიზნეს-გეგმისა და პროგრამების შემუშავება, პირველადი ჯანდაცვის გუნდების გადამზადება და ჯანდაცვის მართვის რეზიდენტურის პროგრამის შემუშავება",** - გვითხრა პროექტის ერთ-ერთმა ავტორმა დავით ყუფუნიამ.

ამავე კომპონენტის ფარგლებში დაგეგმილია ხუთი რეგიონული სასწავლო ცენტრის რეაბილიტაცია თბილისში, თელავში, ბათუმში, ქუთაისსა და ახალციხეში. ყუფუნიას თქმით, ყველა ეს ღონისძიება ოჯახის ექიმის ინსტიტუტის შექმნისა და განვითარებისკენ არის მიმართული.

პროექტის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმობა ჯანდაცვის სისტემის მართვის შესაძლებლობათა გაზრდას, რაც, პირველ რიგში, ჯანდაცვის სისტემისთვის საკანონმდებლო და მარეგულირებელი გარემოს შექმნას გულისხმობს. მომდევნო ეტაპზე დაგეგმილია ჯანდაცვის პერსონალის სერტიფიცირება-ლიცენზირება, სამედიცინო დაწესებულებების აკრედიტაციის ახალი სტანდარტებისა და პროცედურების მომზადება და პირველადი ჯანდაცვის დეპარტამენტის თანამშრომელთა წვრთნა.

პროექტის მნიშვნელოვანი ამოცანაა პირველადი ჯანდაცვის დაფინანსების რეფორმირების მხარდაჭერა. კომპონენტის ფარგლებში მოხდება ჯანდაცვის პოლიტიკის ერთეულის ჩამოყალიბება, რომელიც აწარმოებს სფეროს დაფინანსებაში მიმდინარე პროცესების უწყვეტ მონიტორინგს, ანალიზს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

პროექტის მესამე კომპონენტის ქვეშ გაერთიანებულია ყველა ის ღონისძიება, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ პროექტის წარმართვა არსებული გეგმის შესაბამისად. პროექტის მართვაზე პასუხისმგებელია საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი, რომელიც ინტენსიურად ითანამშრომლებს ყველა იმ ორგანიზაციასთან, რომელიც დაინტერესებულია საქართველოში პირველადი ჯანდაცვის სისტემის განვითარებით.

პროექტი უკვე განიხილა და მოიწონა მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭომ და ის წარედგინა საქართველოს პარლამენტს რატიფიცირებისთვის.

მიწის მესაკუთრეთა
უფლებების დაცვის ასოციაცია

აცხადებს კონკურსს საგამოძიებო ჟურნალისტიკაში

[illegible]

[illegible] 28 [illegible] 17.00 [illegible].

კონსულტაციები გაიმართება ყოველდღე, 15.00 საათზე ასოციაციის ოფისში:
[illegible] I [illegible], N8; [illegible]/[illegible]: 93-12-76, 93-16-81, 98-62-92

ელ-ფოსტა: office@aplr.org
ვებგვერდი: www.aplr.org

# რუსეთიდან გრიპიც გვემუქრება

*რუსი ეპიდემიოლოგები სერიოზულად არიან შეშფოთებულები ქვეყანაში მოსალოდნელი გრიპის ეპიდემიის გამო. მათი განცხადებით, რუსეთი გრიპის ახალი შტამის გამოცდის ზღურბლზე დგას.*

მაკა ჭაიანი

საუბარია 2002 წლის აგვისტო-სექტემბერში მადაგასკარზე დაფიქსირებულ გრიპის მსხვილ აფეთქებაზე, რომლის შედეგადაც 700 ადამიანი დაიღუპა. ამ შტამის გამოკვლევაზე დღეს დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერები მუშაობენ. მათი მიზანია ისეთი ვაქცინის გამოგონება, რომელიც დედამიწის მცხოვრებლებს გრიპის ეპიდემიის დაძლევის შესაძლებლობას მისცემს.

ფრანგი ეპიდემიოლოგების განცხადებით, ახალი შტამი გრიპის სხვა შტამებისგან დიდად არ განსხვავდება, მადაგასკარზე განვითარებული მოვლენები კი უფრო იმის ბრალია, რომ ბოლო წლებში კუნძულზე ცხოვრების დონე ბევრად დაეცა. მიუხედავად ამისა, რუსები ყველას განსაკუთრებული სიფრთხილისკენ მოუწოდებენ. ახალ შტამს მათ ქვეყნამდე ჯერ არ მიუღწევია - ეპიდემიოლოგიურ აფეთქებას იქ ნოემბერ-დეკემბერში ელიან. საკუთარ განცხადებებს რუსი ეპიდემიოლოგები იმით ამართლებენ, რომ მარტო მოსკოვში, გრიპით ყოველკვირეულად 50-60 ათასამდე ადამიანი ავადდება.

საქართველოსთვის რუსეთის მოსახლეობის ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობას წმინდა მეზობლური მნიშვნელობა აქვს. გრიპი ჩვენთან, ძირითადად, რუსეთიდან შემოდის. ასე რომ, იქ შემოკრული განგაშის ზარი ჩვენს ყურამდეც უნდა აღწევდეს. დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში კი მიაჩნიათ, რომ საგანგაშო არაფერია. ცენტრის დირექტორის, პაატა იმნაძის განმარტებით, ეპიდემიის გამოწვევა მხოლოდ გრიპის გავრცელებული შტამების მკვეთრ ცვლილებებს შეუძლია, რადგან მათზე იმუნიტეტი ადამიანებს გამომუშავებული არა აქვთ, რუსეთში ცირკულირებადი გრიპის შტამები კი უკვე სამ წელიწადს ითვლის.

ჩვენგან განსხვავებით, გრიპის სეზონი რუსეთში გაცილებით "მოსავლიანია". რამდენად მოსავლიანი იქნება იგი წლეულს და რამდენად გამართლდება იქაური ეპიდემიოლოგების შიში, უახლოეს თვეებში გაირკვევა. ნოემბრის ბოლოს გრიპის სეზონი ჩვენთანაც აიღებს სტარტს. მეზობელ რუსეთში გრიპის უცხო შტამის დაფიქსირების, მით უმეტეს, ეპიდემიის აფეთქების შემთხვევაში, ამ დაავადების უცნობი სახეობის გავრცელებას საქართველოშიც უნდა ველოდოთ. რა თქმა უნდა, იმ პირობით, რომ ეს აჟიოტაჟი "ახალი გრიპის" თაობაზე ვაქცინაციის კერძო რუსული ცენტრების ატეხილი არ არის. შესაბამისად, მოსახლეობის აცრებით ხელის მოთხობა მისი მიზანი არ უნდა იყოს.

# პოლიციელი პოლიციელის წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

დაზარალებულები მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილეს, ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ვაჟს, გიორგი გამსახურდიას და მის თანამშრომლებს, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაში ადანაშაულებენ. ორი მომჩივანიდან ერთ-ერთი თავადაც პოლიციელია.

**" უკვე გამოჩნდნენ შუამავლები, რომლებიც გვთხოვენ, რომ სარჩელი გამოვიტანოთ, მაგრამ ასეთი რამის პატიება წარმოუდგენელია, საუბარია ღირსებაზე და უფლებებზე, რომელიც შეგვილახეს. ის პოლიციელები, რომლებმაც სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მოგვაყენეს, მოძალადეები არიან, ამიტომაც, უნდა დაისაჯონ. პოლიცია ადამიანის უსაფრთხოებას უნდა იცავდეს და არა პირიქით, ის სადისტების თავშესაფარი არ უნდა იყოს,"** – ამბობს პოლიციელთა ძალადობის მსხვერპლი ხვიჩა კიკნაძე.

ხვიჩა კიკნაძისა და გურამ ჯავახიშვილის საჩივარი მთაწმინდა-კრწანისის პროკურატურამ გასულ ხუთშაბათს ჩაიბარა. პოლიციელთა მიერ შეურაცხყოფილი ორი მეგობრის საჩივრები შევიდა პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარისა და უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის რუსუდან ბერიძის კანცელარიაში, პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტში, სახალხო დამცველის, გენერალური პროკურორისა და შს მინისტრის აპარატში.

მთაწმინდა-კრწანისის პროკურატურამ 5 ოქტომბერს პუშკინის ქუჩაზე დაწყებულ, ხოლო შემდეგ კოლმეურნეობის მოედანზე მდებარე მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის ქვეგანყოფილებაში გაგრძელებულ ინციდენტზე მოკვლევის ჩატარება დაიწყო. ხვიჩა კიკნაძე და გურამ ჯავახიშვილი მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის ქვეგანყოფილების თანამშრომლებს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაში ადანაშაულებენ. დაზარალებულთა განცხადებით, მათ წინააღმდეგ საბრძოლველად დარაზმულ პოლიციელთა ჯგუფს ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილე, ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ვაჟი - გიორგი გამსახურდია ხელმძღვანელობდა. ამ ინციდენტში საინტერესო ისიცაა, რომ ერთ-ერთი დაზარალებული - გურამ ჯავახიშვილი თავადაც პოლიციელია, შსს-ს ავარიების განყოფილების ოფიცერი. სხვათა



*დაზარალებული ხვიჩა კიკნაძე*

შორის, იგი სწორედ სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა, როცა მას გიორგი გამსახურდია და მისი რაზმი დაესხა თავს.

**"5 ოქტომბერს, დაახლოებით, ღამის 12 საათი იქნებოდა, მეგობრებთან ერთად, ჩემი ავტომანქანით პუშკინის ქუჩაზე გავიარე. დავინახეთ, რომ პუშკინისა და ვერცხლის ქუჩების გადაკვეთაზე სამარშრუტო ტაქსი ხეს იყო შეჯახებული, მძღოლი, უგონო მდგომარეობაში, ქუჩაში ეგდო. მანქანა შემთხვევის ადგილზე გავაჩერეთ. ამასობაში მოვიდა სასწრაფო დახმარების მანქანა, დაზარალებული მანქანაში დავაწვინეთ და რადგან სამართალდამცველები იქ არ იყვნენ, გადავწყვიტეთ, მიგვეხედა დაზარალებულის მანქანისთვის, რათა არ გაძარცულიყო. მანქანა ჩავკეტეთ და გასაღები მძღოლს ჩავუდეთ ჯიბეში. გვინდოდა ნავაჭრი თანხისა და საბუთების ექიმებისთვის გადაცემაც, ამის შესახებ მოსაზრება იქ თავმოყრილ ხალხს გავუზიარეთ და ამ დროს სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა რამდენიმე ადამიანმა ყვირილი დაგვიწყო. გვეჩხუბებოდნენ, რატომ ვერეოდით საქმეში, ვინ გვეკითხებოდა დაზარალებულის ნავაჭრი თანხის ექიმებისთვის გადაცემას და ა.შ. ხვიჩა კიკნაძემ მათ უპასუხა, რომ დაზარალებულს თანხა, შესაძლოა, საავადმყოფოში დასჭირვებოდა, რაზეც მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. მოჩხუბრებს ჩემი პირადობის მოწმობა ვაჩვენე და ვუთხარი, რომ შსს-ს თანამშრომელი ვიყავი. ამან, პირიქით, მოჩხუბართა გაღიზიანება გამოიწვია და ფიზიკურ შეურაცხყოფაზე გადმოვიდნენ. მოგვიანებით გაირკვა, რომ ისინი პოლიციის თანამშრომლები იყვნენ. უკანონობის შეჩერების მიზნით მოვიკითხე ჯგუფის ხელმძღვანელი - იგი გიორგი გამსახურდია აღმოჩნდა, რომელიც უშუალოდ ღებულობდა მონაწილეობას ჩვენს სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაში,"** – ამბობს გურამ ჯავახიშვილი.

ხვიჩა კიკნაძის თქმით, გიორგი გამსახურდიამ დამხმარე ძალა გამოიძახა. შემთხვევის ადგილზე მისულმა მისმა თანამშრომლებმა მეთაურის ბრძანება შეასრულეს, ორი მეგობარი ძალის გამოყენებით მანქანებში ჩასვეს და პოლიციის ქვეგანყოფილებაში მიიყვანეს.

**"ცალ-ცალკე ოთახებში შეგვიყვანეს და ჩვენი შეურაცხყოფა ახლა იქ გაგრძელდა. რამდენიმე კაცმა გამაკავა, მუცლის არეში გამეტებით მირტყამდნენ, კუჭი ახლაც კი მტკივა. განყოფილებაში სამი საათი დავყავით. თავისა და მუცლის არეში წიხლებს გამეტებით გვირტყამდნენ, გვათრევდნენ დერეფანში, თან გვლანძღავდნენ და გვემუქრებოდნენ. ერთ მომენტში გურამმა მოასწრო და ჟურნალისტს დაურეკა. ჟურნალისტების ხსენებამ პოლიციელები შეაშინა, მხოლოდ მას შემდეგ დაგვანებეს თავი და დაგვიწყეს შემრიგებლური საუბარი. როცა ვიხსენებ, როგორ იქცეოდნენ, არა მგონია, ნორმალურები ყოფილიყვნენ. ახლაც ვერ გამიგია, რას გვერჩოდნენ და რა უნდოდათ ჩვენგან,"** – ყვება ხვიჩა კიკნაძე.

სამსაათიანი ტყვეობიდან ხვიჩა კიკნაძემ და გურამ ჯავახიშვილმა, ბოლოს და ბოლოს, თავი დაიხსნეს, დაიბრუნეს წართმეული მობილური ტელეფონებიც, მაგრამ, როგორც აცხადებენ, პოლიციელთა აგრესიის კვალი გურამ ჯავახიშვილის მანქანას ახლაც ატყვია – მისი კარი დაზიანებულია. პოლიციის შენობიდან თავდაღწეულებს მოპარული დახვდათ მანქანის სარკეც.

იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ბიუროში ხვიჩა კიკნაძესა და გურამ ჯავახიშვილს მეორე დღესვე ჩაუტარდათ ექსპერტიზა, რომელმაც სხეულზე მიყენებული დაზიანებების არსებობა დაადასტურა. დაზარალებულებს ექსპერტიზა ჩაუტარა მთაწმინდა-კრწანისის პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამაც, რომლის პასუხიც უახლოეს დღეებში მზად იქნება.

**"გამორიცხულია, კომპრომისზე წავიდეთ. იმ პოლიციელებს ჩვენს შეურაცხყოფას არავითარ შემთხვევაში არ ვაპატიებთ, ისინი დამნაშავეები არიან და უნდა დაისაჯონ. თანაც, როგორც გვითხრეს, გიორგი გამსახურდიასთვის ეს არ ყოფილა პირველი შემთხვევა. ამიტომაც, ბოლოს და ბოლოს, მან უნდა ისწავლოს ადამიანებთან მოქცევის წესები; უნდა იცოდეს, რომ ადამიანის სამოქალაქო უფლებების შელახვისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება. იმედი გვაქვს, პროკურატურა საქმეს ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანს,"** – ასეთია დაზარალებულთა განწყობა.

მთაწმინდა-კრწანისის პროკურორმა თენგიზ მარჯანიშვილმა დაგვიდასტურა, რომ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით პროკურატურა შემოწმებას ატარებს. "მიმდინარეობს წინასაგამოძიებო შემოწმება, ვნახოთ რა გამოიკვეთება," – განაცხადა ჩვენთან საუბრისას თენგიზ მარჯანიშვილმა.

## მოკლედ

**თბილისი** შს სამინისტროში არ გამორიცხავენ, რომ დევნილის სტატუსს ამოფარებული ჩეჩენი ბოევიკები და უცხოელი დაქირავებულები კვლავ იმალებოდნენ პანკისის ხეობაში..

შს მინისტრის კობა ნარჩემაშვილის განცხადებით "პანკისის ხეობაში სრული წესრიგის დასამყარებლად ჯერ კიდევ აუცილებელია სამუშაოების ჩატარება, რასაც რამდენიმე თვე დასჭირდება". ამავე დროს, მინისტრის ცნობით, ხეობაში ბოევიკთა მსხვილი რაზმები არ შეინიშნება. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**ნაზრანი.** გასულ შაბათ-კვირას საქართველოს მოსაზღვრე ინგუშეთის ერთ-ერთ რაიონში რუსმა მესაზღვრეებმა ბოევიკთა სადგომი აღმოაჩინეს. სადგომის მიმართულებით მათ საარტილერიო ცეცხლი გახსნეს.

როგორც რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონული სამმართველოს პრეს-სამსახურის უფროსმა სერგეი ლივანცოვმა განაცხადა, კოცონების კვამლის მიხედვით სადგომი, ნაზრანის სასაზღვრო რაზმმა შეამჩნია.

"ბოევიკთა ადგილსამყოფელის კოორდინატების დაზუსტების შედეგად სასაზღვრო რაზმის არტილერისტებმა ცეცხლი გახსნეს", - აღნიშნა მან. ვინ ხელმძღვანელობდა ბოევიკთა ჯგუფს, ცნობილი არ არის.

შეგახსენებთ, რომ 9 ოქტომბერს რუსეთის 58-ე არმიის შტაბის უფროსმა ვლადიმერ ჩირკინმა განაცხადა, რომ ჩეჩენ ბოევიკთა რაზმი, რომელიც ინგუშეთში საქართველოდან გადავიდა, მთლიანად განადგურებულია. მისი თქმით, ამის გამო ინგუშეთის ტერიტორიაზე ყველა ოპერაცია და საცეცხლე დარტყმები შეწყვეტილია. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ყველა მოსამართლე 2003 წლის 31 მარტისთვის დაასრულებს ტრენინგების ციკლს, რომელიც სამოსამართლო ეთიკის სწავლებას ეძღვნება.

ამ კურსს აფინანსებს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო, ხოლო ახორციელებენ ამერიკის იურისტთა ასოციაცია,"ცენტრალური ევროპისა და ევრაზიის სამართლებრივი ინიციატივა" და საქართველოს სამოსამართლო სწავლების ცენტრი.

ეთიკის კურსი 85-მა მოსამართლემ უკვე გაიარა (საქართველოში 300-მდე მოსამართლეა). ტრენინგებს ატარებენ აშშ-ში სპეციალურად მომზადებული მოსამართლე-ექსპერტები.

ქართველმა მოსამართლეებმა ეთიკის კოდექსი 2001 წელს, მოსამართლეთა მეორე კონფერენციაზე მიიღეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** . 13 ოქტომბერს გორის რაიონის სოფელ ორთაშენში გამართულ ქორწილში დაუპატიჟებელ სტუმრობას მკვლელობა მოჰყვა. გორის რაიონის პროკურატურის გამომძიებლის გიორგი ღამბაშიძის თქმით, ქორწილში დაუპატიჟებლად მისული ზურაბ სულაძე მამა-შვილმა ბალიაშვილებმა გინებ-გინებით სახლში გააგდეს, ღამის 3 საათისათვის კი შინ მიუვარდნენ. სულაძემ მომხდურები დანით მოიგერია. ჩხუბის დროს დაიღუპა მამა — აკაკი ბალიაშვილი, ძმები ვახტანგ და კახაბერ ბალიაშვილები კი დაიჭრნენ. თავად სულაძე დაკავებულია. მას სხეულზე დაბეჟილობები აღენიშნება..

გამომძიებლის თქმით, საქმე თავიდან განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა, მაგრამ მოგვიანებით ის შეიცვალა "აუცილებელი მოგერიების გადამეტების" მუხლით. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ახმეტის რაიონის პოლიციის ყოფილი უფროსი ავთანდილ თურქიაშვილი აცხადებს, რომ ერთი თვის წინ ახმეტის საავადმყოფოდან დაჭრილი ჩეჩნის - ისა მურადოვის გაპარებაში მას ბრალი არ მიუძღვის.

თურქიაშვილის თქმით, მომხდარი ფაქტის დროს მას არც სამსახურებრივი უფლებამოსილებისათვის გადაუმეტებია და არც სხვა რაიმე დანაშაული ჩაუდენია.

იგი იმედოვნებს, რომ მის წინააღმდეგ აღძრული საქმე უახლოეს დღეებში შეწყდება, რადგან მას გამოძიებამ ბრალი ვერ წაუყენა და ვერც შეძლებს ამის გაკეთებას მისი უდანაშაულობიდან გამომდინარე.

ავთანდილ თურქიაშვილის მტკიცებით, დაჭრილი ჩეჩენი საავადმყოფოდან კი არ გაპარულა, არამედ სახლში წავიდა, როცა მის პალატასთან დაცვა არ იდგა.

თურქიაშვილის თქმით, გამოძიებითაც ირკვევა, რომ, ვინაიდან დაჭრილის ოჯახის წევრებს საავადმყოფოში ფულის გადახდის საშუალება არ ჰქონდათ, მისი სახლში გადაყვანა ამჯობინეს. ხოლო შემდეგ, როცა გაიგეს, რომ პოლიციის უფროსი ამ ფაქტის გამო დააპატიმრეს, შეეშინდათ და გადამალეს.

როგორც თურქიაშვილი აცხადებს, თავდაპირველად დაცვა დაჭრილის პალატასთან იდგა, მაგრამ შემდეგ იგი შეთანხმებულად მოიხსნა, რადგან მისი იქ დარჩენის საფუძველი აღარ არსებობდა. "იმ დილითვე გარკვეული იყო, რომ ეს პიროვნება არც შეტაკების მონაწილე, არც ძებნილი და, მით უმეტეს, არც ეგრეთ წოდებულ "ახმადოვების ჯგუფთან" ყოფილა კავშირში".

მიუხედავად მომხდარი ინციდენტისა, ახმეტის რაიონის პოლიციის ყოფილი უფროსი აცხადებს, რომ მას შს მინისტრის მიმართ არანაირი წყენა არა აქვს, რადგან მაშინ გაუგებრობა მოხდა.

ამასთან, ავთანდილ თურქიაშვილს სჯერა, რომ შს სისტემაში აუცილებლად დარჩება, თუმცა სად გააგრძელებს, მუშაობას ჯერ არ იცის. **პრაიმ-ნიუსი**

# დაპატიმრებული ჩეჩნების ბედს საბოლოოდ ევროსასამართლო გადაწყვეტს

სოფიკო ჩხაიძე

საქართველოს საზღვრის უკანონო გადმოკვეთისთვის დაკავებული რვა ჩეჩენი აუცილებლად გადაეცემა რუსეთს, ოღონდ გარკვეული ფორმალობების მოგვარების შემდეგ – დაახლოებით ასეთი გახლავთ საქართველოს პრეზიდენტის ვერდიქტი, უფრო ზუსტად, რადიოინტერვიუში გამოთქმული აზრი. თუმცა, პრეზიდენტის მიერ ჩამოთვლილი ფორმალობები იმდენად მნიშვნელოვანია და შესასრულებლად იმდენად დიდ დროს მოითხოვს, რომ საპყრობილეში მყოფ რვა ჩეჩენს, ჯერჯერობით, შეუძლია, ქართული ციხის ნარებზე მშვიდად იძინოს. ედუარდ შევარდნაძის თქმით, მათი რუსეთისთვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა დადასტურდეს, რომ მათ რუსეთის ტერიტორიაზე ნამდვილად აქვთ ჩადენილი მძიმე დანაშაულები; ამის შემდეგ ექსტრადირების საკითხის განხილვა ორმხრივი ქართულ-რუსული შეთანხმებების გათვალისწინებითა და საერთაშორისო ნორმებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს; ამასთან, აუცილებელია ევროსასამართლოს იმ რეკომენდაციების გათვალისწინებაც, რომლის თანახმადაც საქართველომ ჩეჩნების ექსტრადირება გარკვეული ვადით უნდა შეაჩეროს. ეს ვადა კი მხოლოდ მას შემდეგ ამოიწურება, როცა არა მარტო ქართველი, არამედ რუსი სამართალდამცველებიც ევროსასამართლოს დაარწმუნებენ, რომ საქართველოდან ექსტრადირებულ პირთა უფლებები არ დაირღვევა და მათ მიმართ საგამოძიებო მოქმედებები არსებული კანონმდებლობის საფუძველზე განხორციელდება.

სხვათა შორის, ამის მტკიცება უკვე სცადეს ქართველმა სამართალდამცველებმა. უფრო სწორად, იუსტიციის სამინისტრომ ვადა არ დაარღვია და, ევროსასამართლოს მოთხოვნის საფუძველზე, სტრასბურგში უკვე გააგზავნა ჩეჩნების ექსტრადიციის თაობაზე შეკრებილი მასალები. სტრასბურგში შეუძლიათ, ჩათვალონ, ან არ ჩათვალონ რომ ქართული მხარისგან, 300 გვერდამდე შემცველობის დოკუმენტის სახით, მათ სრულყოფილი ინფორმაცია მიიღეს ჩეჩნების დაკავების, მათი საქმის გამოძიების, რუსეთიდან მოწოდებული მასალებისა და იმავე რუსეთიდან მიღებულ ექსტრადირებულთა უსაფრთხოების გარანტიების შესახებ. ახლა უკვე ევროსასამართლოზეა დამოკიდებული, გადაწყვეტს თუ არა საბოლოოდ იმ თერთმეტი ინდივიდუალური საჩივრის განხილვას, რომელიც ბოლოს ერთ საქმედ გაერთიანდა და სახელიც ერთი ეწოდა: "აბდულ შამაევი და ათი სხვა საქართველოს წინააღმდეგ".

ერთ-ერთი დაკავებული ჩეჩნის ადვოკატი გოგიტა გაბაიძე აცხადებს, რომ სტრასბურგის სასამართლოს სამდივნომ აღნიშნულ სარჩელს ნომერი უკვე მიანიჭა და დღეს, მხარეების დაუსწრებლად, მისი განხილვის თარიღიც დაზუსტდება.

იუსტიციის სამინისტროში ამის თაობაზე არაფერი იციან. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში საქართველოს გენერალური წარმომადგენლის სამსახურის უფროსის ლაშა ჭელიძის თქმით, 13 ოქტომბერს სტრასბურგიდან მოთხოვნილი ინფორმაციის გაგზავნის შემდეგ ევროსასამართლოდან არავითარი ცნობა აღარ მიუღიათ.

# ექსტრემისტთა ვინაობა ცნობილია

## ბალიზე პანიკა არ ცხრება

ინდონეზიის ხელისუფლებამ უკვე დაადგინა იმ ბოროტმოქმედთა ვინაობა, რომლებმაც კუნძულ ბალიზე მომხდარი აფეთქების ორგანიზებაში მიიღეს მონაწილეობა. მათ დადგენაში პოლიციას ადგილობრივი მოსახლეობა დაეხმარა.

კუნძული საზარელი აფეთქების ხმამ შაბათს შესძრა. აფეთქების შედეგად დაიღუპა 187 და დაიჭრა 309 ადამიანი. აქამდე მხოლოდ რამდენიმე დაღუპულის ვინაობაა დადგენილი. დაღუპულთა უმეტესობა კი ისეა დამწვარი, რომ მათი ამოცნობა შეუძლებელია. ტრაგედიის გამოძიებაში ჩაერთვნენ ამერიკის ფედერალური საგამოძიებო ბიუროს წარმომადგენლები და ავსტრალიელი სპეციალისტები. ისინი ინდონეზიელ სამართალდამცველებს აფეთქების ადგილიდან ამოღებული მასალების გაანალიზებაში ეხმარებიან.

გამოძიებაში დახმარება ინდონეზიის ხელისუფლებას კიდევ რამდენიმე ქვეყანამ შესთავაზა, თუმცა, ადგილობრივი პოლიციის განმარტებით, ახლა მათ ყველაზე მეტად სჭირდებათ სპეციალური კონტეინერები, რომლებშიც ჯერ კიდევ ამოუცნობ გვამებს შეინახავენ.

უკვე ცნობილია, რომ აფეთქებას უმეტესად ემსხვერპლნენ ის უცხოელი ტურისტები, რომლებიც აფეთქების მომენტში ღამის კლუბში იმყოფებოდნენ. დაღუპულთა დიდი ნაწილი ავსტრალიელია. სხვადასხვა ქვეყნების ხელისუფლების პირველი პირები სამძიმარს, ინდონეზიის პრეზიდენტთან ერთად, ავსტრალიის მთავრობასაც უცხადებენ. ამასთან, ისინი დამნაშავეების მკაცრად დასჯის იმედს გამოთქვამენ. ამერიკის პრეზიდენტმა ბალიზე განხორციელებულ ტერაქტს საზარელი უწოდა და მთელს საერთაშორისო საზოგადოებრიობას მის ორგანიზატორთა წინააღმდეგ მოქმედებისკენ მოუწოდა.



*აფეთქების შემდეგ*

ჯერჯერობით, ბალის ტერაქტზე პასუხისმგებლობა არც ერთ ტერორისტულ დაჯგუფებას არ აუღია საკუთარ თავზე. მიუხედავად ამისა, ეჭვობენ, რომ ეს ისლამური გასამხედროებული ორგანიზაციის - "ჯემაა ისლამიას" საქმე უნდა იყოს. მათ ბოლო წლებში საგრძნობი გავლენა მოიპოვეს ინდონეზიაში.

სხვათა შორის, ინდონეზიის პრეზიდენტის მეგავატი სუკარნოპუტრის ხელისუფლება, სწორედ სამართალდამცველი ორგანოების უსუსურობის გამო, არაერთხელ გამხდარა კრიტიკის სამიზნე. მათ ამ შემთხვევაშიც ვერ მოიხადეს ჯეროვნად თავიანთი ვალი. როგორც აღმოჩნდა, ბალიზე აფეთქება ბევრისთვის სულაც არ ყოფილა მოულოდნელი. მაგალითად, ჯაკარტაში ამერიკის ელჩი რალფ ბოისი ამბობს, რომ არაერთხელ ჰქონია ადგილი ანონიმურ მუქარას ინდონეზიაში დასავლურ წარმომადგენლობებსა და ორგანიზაციებზე თავდასხმის შესახებ.

**"სექტემბრის დასაწყისიდან სრულ მზადყოფნაში ვიმყოფებით,** — თქვა ბოისმა, — **ხოლო იმის გამო, რომ მუქარები თანდათან უფრო რეალურ ხასიათს იძენდა, 10 სექტემბერს ჩვენი საელჩო ჯაკარტაში მთელი ერთი კვირით დაიხურა".**

ტრაგედიიდან ორი დღის შემდეგ ბალიზე პანიკა ჯერ კიდევ არ ჩამცხრალა. კუნძულზე შემორჩენილი ტურისტები გასამგზავრებლად მზად არიან – მათ ბალიზე ველარაფერი მოუბრუნებს გულს. შესაბამისად, კუნძულმა, მორალურის გარდა, დიდი მატერიალური დარტყმაც მიიღო. თანაც ისეთი, რომლის აღდგენას ერთი და ორი წელი არ ეყოფა –ცხადია, ბალის არაჩვეულებრივი სილამაზეც კი ვერავის აიძულებს, იქ დასასვენებლად წასვლა გარისკოს.

სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს – „ხალხის პირისპირ". ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

ინსტრუქცია კითხვის შედგენისათვის:

შეკითხვის ტექსტი:

პასუხის ტექსტი:

სახელი და გვარი:

ბინის მისამართი:

საფოსტო ინდექსი:

ბინის ტელეფონის ნომერი:

სამსახურის ტელეფონის ნომერი:

მობილური ტელეფონის ნომერი:

# ქართული მენტალობა ანაქრონულია თანამედროვეობის მოთხოვნებთან

## მოსაზრებები ქართული საზოგადოების ცნობიერების გასაჭირზე

***"საქართველო ჰერმეტულად შენახული უგემრიელესი ძველი კონსერვის ქილაა, რომელიც, გახსნისთანავე, გარემოსთან შეხებით აყროლდება და უმსგავს ლაფად იქცევა,"*** *- ათიოდე წლის წინათ თქვა ოთარ იოსელიანმა და ამ შეფასებასა თუ წინასწარმეტყველებას ჩვენი საზოგადოება არ გამოხმაურებია. ჩაიარა.*

***"არსებითია, რომ ჩვენი საზოგადოებრივი ბედოვლათობა მუდამ სახეზეა,*** *- სულ ახლახან, გულწრფელი დანანებით გვითხრა ცივილიზაციათა ურთიერთობის საერთაშორისო ცენტრის საკოორდინაციო ჯგუფის წევრმა ლელა ჯეჯელავამ, -* ***ყოველთვის დიდხანს გვძინავს ყურზე. ამასთან, საზოგადოებაში და სამეცნიერო წრეებშიც არის ორი რადიკალური მოსაზრება: ან უსასრულოდ მივტირით წარსულს და, შესაბამისად, ველარ ვხედავთ საქართველოს განვითარებას მე-12 საუკუნის შემდეგ, ან განახლების რევოლუციური განწყობით ხელაღებით უარს ვამბობთ საკუთარ ისტორიაზე. ჭეშმარიტება შუაშია – წარსული ჩვენია და ის კარგად უნდა გავიაზროთ, რომ არსებული გამოცდილება წინსვლისთვის გამოვიყენოთ."***

*ჩვენ კი, რას ვქმნით? მნიშვნელოვანს - არაფერს. თუ ვცდებით, მხოლოდ გაგვეხარდება.*

***შენდება, ინგრევა თუ "საყინულეში" შენახული საქართველო? რატომ დაეუფლა საქართველოს მოსახლეობას საყოველთაო გულგრილობა და უიმედობა? რატომ ვერ ვითარდება ჩვენ ქვეყანაში ცხოვრების, აზროვნებისა და მეწარმეობის ტრადიციული თუ ახალი მიმართულებები? ვინ არის ავად – საზოგადოება, სახელმწიფო თუ ორივე ერთად? რით ვუწამლოთ ჩვენს ჩამორჩენილობას?***

*გაზეთი "24 საათი" ამ კითხვებზე პასუხს მოელის ჩვენი საზოგადოების გონიერი წევრებისგან.*



გიორგი ჩაგელიშვილი

*საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი*

საქართველოში არსებული პრობლემები იმდენად ყოვლისმომცველია, რომ ჩვენი ცხოვრება - თითოეული ადამიანისა და მთლიანად საზოგადოების - ფაქტობრივად, ჭაობში ჩაფლობის ტოლფასია. პრობლემები აბსოლუტურად იპყრობენ ჩვენს ყოფასა და ცნობიერებას. ბუნებრივია, თითოეული ჩვენგანის მიერ ხდება მათი სხვადასხვა კუთხით გააზრება და სხვადასხვა სიღრმით მიზეზების ჩამოყალიბება: დამნაშავეა ოჯახის უქნარა წევრი; დამნაშავეა უნიათო უფროსი სამსახურში; დამნაშავეა ჩვენი მთავრობისა თუ ხელისუფლების უუნარობა და კორუმპირებულობა, კლანური და არაალმშენებლური მოქმედება; დამნაშავეა რუსეთის ხელისუფლება და სამხედროები; მიზეზია ეკონომიკური პოლიტიკისა და ეროვნული იდეოლოგიის უქონლობა და ა.შ..

შეიძლება ითქვას, რომ ჩამოთვლილი ფაქტორები ჩვენი პრობლემების მიზეზებს მხოლოდ ზედაპირული გააზრების დროს წარმოადგენენ. სინამდვილეში კი, წარმოადგენენ მხოლოდ სიმპტომებს და იმ ავადმყოფობის ერთ ნაწილს, რაც ჩვენს საზოგადოებას სჭირს:

**ქართული მენტალობა (აზროვნების ტიპი) ანაქრონულია და შეუსაბამობაშია იმ მოთხოვნებთან, რასაც თანმედროვეობა უყენებს კაცობრიობას.**

რა არის ამ ანაქრონიზმის მიზეზი და არსი? რაში გამოიხატება ჩვენი საზოგადოების მენტალური შეუსაბამობა დღევანდელობასთან და საითკენ მივყავართ მას?

როდესაც ადამიანის ჯანმრთელობასთან გვაქვს საქმე, ბუნებრივია მოქმედებათა თანმიმდევრობა: ჯერ მოხდეს იმ ფაქტის გაცნობიერება, რომ ადამიანი ავად არის, შემდეგ დაისვას შეძლებისდაგვარად სწორი, ძირეული დიაგნოზი და დაიწყოს თანამიმდევრული მკურნალობა. მხოლოდ ამის შედეგადაა მოსალოდნელი ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესება. ასევეა ჩვენი საზოგადოებისა და ქვეყნის შემთხვევაში. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა (თუკი გვიან არაა) გაცნობიერდეს ფაქტი, რომ ვართ ავადმყოფი საზოგადოება. შეიძლება, ამ ფაქტის გაცნობიერება იმდენად არ ჭირს, რამდენადაც - მასთან შეგუება. სწორედ ჩვენი საზოგადოების ავადმყოფობის ძირეული მიზეზის გარკვევას შეუძლია ამ სენის სიმპტომებისა თუ გამოვლენების კლასიფიკაციის საფუძველი შექმნას და ჩვენი საზოგადოების გამოჯანმრთელების იმედი ჩაგვისახოს.

საქართველო, ქრისტიანული რელიგიისა და, ნაწილობრივ, გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ევროპასთან არის ასოცირებული. ასე ვთქვათ, ევროპასთან, დასავლეთთან ერთად ვარსებობთ - ეს ფაქტია და არა მოსაზრება. ამ პირობებში, ჩვენი ცხოვრების, რამდენადმე მაინც, ჰარმონიულობისთვის აუცილებელია მეტნაკლები ჰარმონია გარემომცველ სამყაროსთან. ჩვენი ცხოვრების წარმართვისას საჭიროა ვიყენებდეთ დასავლური ტიპის კატეგორიებსა და ცნებებს, რაც თავისთავად გულისხმობს დასავლეთთან მენტალურ ანუ აზროვნების მსგავსებას.

დასავლური მენტალობა სათავეს ძველბერძნული ცივილიზაციისგან იღებს. სწორედ იმ ანტიკურმა ცივილიზაციამ - მისტიციზმისა და რაციონალიზმის შეზავებით - ჩაუყარა საფუძველი თვისებებს, რამაც მეტწილად უზრუნველყვეს ***დასავლური მენტალობის მუდმივი განვითარება.*** ამჟამად, ცხადია - უფრო სრულყოფილი სახით, **ისინი ჩამოყალიბდნენ დასავლური მენტალობის ძირითად დამახასიათებელ თავისებურებებად. ამ თავისებურებებში მოიაზრება:**

**- ცოდნის სიყვარული;**

**- სიახლეებისადმი ლტოლვა;**

**- კრიტიკული აზროვნებისადმი მიდრეკილებები;**

**- თანამიმდევრულობა;**

**- მოწესრიგებულობისაკენ ლტოლვა, რაც კანონის უზენაესობის წინაპირობაა;**

**- მოქმედების დაწყებამდე პრობლემის მაქსიმალურად გააზრების ჩვევა.**

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ეს თავისებურებები ჩვენი ცნობიერებისათვის დამახასიათებელი არ არის.

დასავლური აზროვნების მუდმივი განვითარების პროცესი წარმოადგენს მენტალურ ფორმაციათა ჯაჭვს. ჩვენთან მიმართებაში ამ ფორმაციებიდან უნდა გამოიყოს რენესანსი, რეფორმაცია, მეცნიერული რევოლუცია, განმანათლებლობა და, რაც ჩვენთვის მთავარია, ის არაჩვეულებრივი დრო, რომელიც დასაბამს იღებს მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან. დრო, რომელშიც ვცხოვრობთ, არაჩვეულებრივია, რამდენადაც დასავლური აზროვნება განიცდის ეპოქალურ ცვლილებებს - ყველაზე მნიშვნელოვანს თავის ისტორიაში.

ბუნებრივი და მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოება: მენტალობის ფორმაციათა მონაცვლეობასთან ერთად, ცხოვრების დასავლურ ორგანიზაციასა და საზოგადოების ფუნქციონირებაში სულ უფრო იკვეთებოდა, იზრდებოდა აზროვნების როლი და ის დომინანტური გახდა (დასავლეთში და არა ჩვენთან) ჩვენს დროში - ახალი მენტალური ფორმაციის პირობებში. ჩვენი განვითარება კი, დასავლურს ფეხაწყობით ვერ მიყვებოდა და მიუყვება. სამწუხაროდ, ჩვენ გვერდი აგვიარა დასავლური მენტალობის ზემოთ ჩამოთვლილმა, განვლილმა ფორმაციებმა. რაც მთავარი და საბედისწეროა, ჩვენს მიღმა, ჩვენგან აბსოლუტურად გაუცნობიერებლად ხდება დასავლური მსოფლმხედველობის ახლანდელი რევოლუციური ცვლილებები - ***კაცობრიობა ნიუტონისეული მექანიკური მსოფლმხედველობის სანაცვლოდ იარაღდება ღია რთული სისტემების მსოფლმხედველობით.***

ღია რთული სისტემების აღმწერი ცოდნა შემოვიდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებიდან და ამჟამად კაცობრიობის ცნობიერებაში ზოგადდება მსოფლმხედველობად - ყალიბდება ის უმნიშვნელოვანესი იდეები და ქმედითუნარიანი პრინციპები, რომლებიც არა მარტო ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური სისტემების შინაგანი კანონზომიერებების გააზრების საშუალებას იძლევა, არამედ საზოგადოებისა და ეკონომიკის ფუნქციონირებებისაც. დასავლეთში, მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან, ***ღია რთული სისტემების მსოფლმხედველობა*** ყალიბდება იმ ზოგადი იდეებითა და პრინციპებით, რომლებიც ადექვატურად გაიაზრებენ თანამედროვე ურთულეს, მრავალშრიან სამყაროს.

დასავლური მენტალობის ფორმაციებმა რომ გვერდი აგვიარა, ამას, ცხადია, ობიექტური მიზეზებიც გააჩნია. მაგრამ, ახლა ეს ჩვენი ყოფისათვის პრინციპული აღარ არის. მიწიერი ცხოვრება რეალობით, ფაქტიბრივი მდგომარეობით განისაზღვრება და არასრულყოფილების მიზეზებზე (მათ შორის - ობიექტურზეც კი) შეღავათებს არ იძლევა. ცხოვრება, თავისი მკაცრი კანონებით, სრულად მოგვიზღავს ჩვენი აზროვნების არასრულფასოვნების და ცხოვრების მოთხოვნებთან მისი შეუსაბამობის საზღაურს.

დასავლური აზროვნების ჩამოყალიბების პროცესთან აცდენამ, უბრალოდ, ჩვენი მენტალური ანაქრონიზმის გაზრდა განაპირობა ისტორიის მანძილზე და **ჩვენში ცნობიერების სხვადასხვა კონკრეტული მენტალური სიმახინჯეების ჩამოყალიბებასა თუ გაღრმავებას შეუწყო ხელი. კერძოდ:**

**- ზედაპირულობას;**

**- არათანმიმდევრულობას;**

**- აგრესიულ უპასუხისმგებლობას;**

**- მოვლენათა არსში წვდომის უნარისა და სურვილის დაკარგვას;**

**- წიგნთან მწყრალად ყოფნას.**

ამას ემატება ყველაზე დიდი საშინელება – დამახინჯებული აზროვნების ეს თაიგული იწვევდა და იწვევს ზნეობის დაცემას, რაც ასე ცხადად გამოიკვეთა ჩვენში მეოცე საუკუნის ბოლოს.

ამ ფონზე ჩვენ წინააღმდეგობაში მოვდივართ დასავლური მენტალობის დამახასიათებელ თავისებურებებთან. უფრო მეტიც, თვალნათელია (ყოველ შემთხვევაში დასავლელ მოაზროვნეთათვის) ჩვენი პრინციპული შეუთავსებლობა. ალბათ, ეს მოსაზრება გაახმოვანა საქართველოსთან დაახლოებულმა და კეთილგანწყობილმა ამერიკელმა მეცნიერმა რიჩარდ პაიფსმა ორიოდე წლის წინ ერთ-ერთი ქართული გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში. მისი აზრით, **"ქართველებს ძალიან ცოტა საერთო გვაქვს დასავლურ ფასეულობებთან. ამდენად, საქართველოს ევროპისაკენ ლტოლვა რამდენადმე ხელოვნურია და მისი ევროპასთან ორგანული შერწყმა - მეტად პრობლემატური"**.

სწორედ, ეს მენტალური ანაქრონიზმი არის პრობლემების იმ კასკადის ძირეული მიზეზი, რასაც დღეს ვაწყდებით ჩვენის სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ცხოვრების "ორგანიზებისას". ცხადია, სიტყვა ორგანიზება ბრჭყალებში უნდა ჩაისვას - ამ მხრივ ჩვენს აქტივობას უფრო შეესაბამება სიტყვები – დეზორგანიზება, ნგრევა, ვიდრე – ორგანიზება, შენება. მენტალური ანაქრონიზმით დღევანდელობასთან გამოწვეული შეუთავსებლობების გამო, ჩვენი საზოგადოების აღმშენებლობითი აქტივობა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ნულზეა დასული. ადამიანთა მოქმედების ძირითად ფორმებად მისი პირველყოფილი და პრიმიტიული ფორმები - პარაზიტობა და მტაცებლობა - გვევლინება. შედეგად - ქვეყნის სიმდიდრე არათუ იზრდება, მისი უკანასკნელი ნარჩენებიც კი ნადგურდება. მეტიც, მოვლენათა ასეთი მსვლელობით, ჩვენი საზოგადოება საერთოდ დაკარგავს ოდნავ მაინც ფასეულ მომავალს. გარანტირებულად და საბოლოოდ დავიმკვიდრებთ ადგილს პრიმიტიული არსებობისათვის (რეგენერაციისათვის) განწირულ, ცხოვრებიდან "ჩამოწერილ" ქვეყნებს შორის.

აქ საუბარია ჩვენ მენტალურ ანაქრონიზმზე - საზოგადოების კონკრეტულ ავადმყოფობაზე - და არა საზოგადოების საერთოდ უვარგისობაზე. ჩვენი ერი იყო მნიშვნელოვანი ღირსებების მატარებელი. მას თავისი წვლილი შეუტანია მსოფლიო კულტურის საგანძურში. ახლაც არის დარჩენილი ფასეული "კუნძულები" ჩვენს სამეცნიერო და კულტურულ ცხოვრებაში. ჩვენ, ქართველები, ჩვენს ერს მივიჩნევთ ნიჭიერად. ეს მოსაზრება დღევანდელი თვალსაწიერიდან, ალბათ, ფრიად საეჭვოც არის. თუმცა, მე მჯერა ჩვენი ერის ნიჭიერებისა და, *მენტალური ავადმყოფობის დაძლევის შემთხვევაში*, ჩვენში შემოქმედებითი და ქმნადი ცხოვრების აღზევების.

**თანამედროვე ეპოქალური ცვლილებები ხასიათდება არნახული ტემპით და დიდ დროს არ გვიტოვებენ "გამოსაჯანმრთელებლად." თუკი ჩვენს საზოგადოებას შემორჩა თვითგადარჩენის ინსტნიქტი, მას ამოქმედების შეზღუდული დრო აქვს! პრობლემებს განსაკუთრებით აღრმავებს ის გარემოება, რომ ქართული საზოგადოება არათუ ცდილობს მენტალური ანაქრონიზმის/არასრულფასოვნების აღმოფხვრას, არამედ რეალურად გააზრებულიც კი არ აქვს ამ სენის არსებობა. ფენა, რომელიც იქნებოდა ჩვენი საზოგადოების თვითგადარჩენის ინსტინქტის მატარებელი, არ გამოჩენილა და, მითუმეტეს, არ ჩამოყალიბებულა.**

**P.S.** *ცხადია, აქ საუბარი არ არის რაიმე პოლიტიკურ მოძრაობასა თუ პარტიაზე. ფაქტია, რომ პოლიტიკური პარტიების აგრესიული ურთიერთდაპირისპირება უფრო თიშავს საზოგადოებას, ვიდრე აერთიანებს რაიმე საერთო პრობლემის გასააზრებლად. და რაც უფრო მნიშვნელოვანია, მენტალური პრობლემების გააზრება არ არის მოთავსებული პოლიტიკური აქტივობის სივრცეში. (პოლიტიკოსთა მხოლოდ ზეპოლიტიკური და ზეპარტიული ინიციატივები და აქტივობა შეიძლება გამოდგეს პროდუქტიული.)*

***გარძელება იქნება***




ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

სამართლის პროგრამა
აცხადებს კონკურსს
კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობაზე

კონკურსის მიზანია:
- საზოგადოებაში კორუფციის მიმართ უარყოფითი კლიმატის შექმნა, ანტიკორუფციული პროპაგანდის ხელშეწყობა
- სახელმწიფოს მიერ ანტიკორუფციული ღონისძიებების გატარების მონიტორინგი
- კონკრეტული კორუფციული საქმიანობის წინააღმდეგ მიმართული/გეფუერისა საქმიანობის მხარდაჭერა. მაგ.: კორუფციასთან დაკავშირებული, საზოგადოებისათვის მტკივნეულ საკითხებზე სახელმწიფო ორგანოების მიერ შესაბამისი მოქმედებებისა და გადაწყვეტილებების ლობირება; სამთავრობო სექტორში კორუფციული საქმიანობის წინააღმდეგ მიმართული სარჩელის მომზადება და სასამართლოში წარდგენა და სხვა.

კონკურსში მონაწილეობა:
კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ რეგისტრირებულ, არამომგებიან არასამთავრობო ორგანიზაციას.

კონკურსზე პროექტების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2002 წლის 18 ნოემბერი

ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობა

კონკურსის მიზანია:
- სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვის უზრუნველყოფის ხელშეწყობა
- ადამიანის უფლებებათა დარღვევების მონიტორინგი პოლიციისა და პენიტენციალური სისტემის დაწესებულებებში

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ რეგისტრირებულ არასამთავრობო, არამომგებიან ორგანიზაციას.

კონკურსზე პროექტების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2002 წლის 5 ნოემბერი 16.00 საათი

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ ფონდს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭოველიძის (ყოფილი ბელინსკის) ქუჩა №10, ტელ.: 25 05 92; 93 89 99

www.24hours.ge 24 B

სპორტი

## უეფა "ლოკომოტივზე" მომხდარი ინციდენტის გამოძიებას აპირებს

არ ცხრება ვნებათაღელვა საქართველოსა და რუსეთის მატჩში მომხდარი ინციდენტის ირგვლივ. უეფა საქმეს შეუდგა და ამ ფაქტის გამოძიებას აპირებს. უეფა-ს გადაწყვეტილების საფუძველი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის კობა ნარჩემაშვილის განცხადება გახდა. მინისტრის განმარტებით სტადიონზე დენის გამორთვა შეიძლება საბოტაჟს უკავშირდებოდეს. ამის პასუხად უეფა-ს ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ აუცილებლად გაარკვევს დენის გათიშვის ჭეშმარიტ მიზეზს.

თუმცა, უეფა მარტოოდენ სტადიონის პრობლემით არ შემოიფარგლება. ევროპული ფეხბურთის ბოსები იმასაც გაარკვევენ, თუ რატომ არ ასრულებს რუსული მხარე უეფა-ს მიერ დაწესებულ ნორმებს და არ სურს ქართველთა წინააღმდეგ შაბათს ითამაშოს.

შეგახსენებთ, რომ "ლოკომოტივის" სტადიონზე დენი პირველად მატჩის 43-ე წუთზე გაიმართა. პირველი ტაიმის შემდეგ კი საბოლოოდ ჩაქრა.

## ვენა გამოსწორებული კაცის წინააღმდეგ

### "აუსტრიას" ფანებს კრისტოფ დაუმი არ მოსწონთ

*ვალტერ შახნერმა ხუთშაბათს, საღამოს, ვენის "აუსტრიას" თავკაცის რანგში დაიძინა, პარასკევს, დილით კი, უმუშევარმა გაიღვიძა. ყველასთვის მოულოდნელად, კლუბის მილიარდერმა სპონსორმა, 71 წლის ფრანკ შტრონახმა გადაწყვიტა, "აუსტრიას" მთავარ მწვრთნელად მიეწვია სკანდალურად ცნობილი კრისტოფ დაუმი, რომელსაც კოკაინთან დაკავშირებული სასამართლო პროცესის შემდეგ დიდ ფეხბურთში დაბრუნება ოცნებად ჰქონდა გადაქცეული.*

ნინო პირველი
*ვენიდან*

ნარკოტიკების მოხმარებაში მხილებულმა დაუმმა საჯაროდ დაიფიცა, კოკაინს ცხოვრებაში აღარ გავეკარებიო, მაგრამ გერმანიაში შელახული რეპუტაცია ვერაფრით აღიდგინა. სახელის გატეხვას თავის გატეხვა ჯობსო, - ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი. სახელგატეხილი დაუმი არც ერთმა გერმანულმა კლუბმა არ მიიღო, მაგრამ ყველას და, მათ შორის, თავად დაუმსაც, სჯეროდა: ადრე თუ გვიან, დაუმი და ფეხბურთი ისევ დაუკავშირდებოდნენ ერთმანეთს, რადგან ავსტრიული "შტურმის" ხელმძღვანელობა არ მალავდა, რომ დაინტერესებული იყო "ბაიერის" ექსთავკაცის კანდიდატურით. "შტურმი" ჩემპიონთა ლიგაში ვერ მოხვდა და ხორვატმა ივიცა ოსიმმა სამუშაო დაკარგა, მაგრამ მის ადგილზე გრაცელებს დაუმი არ მიუწვევიათ. გერმანელი სპეციალისტის დასაქმება ვენის "აუსტრიამ" ითავა.

ავსტრიის მაქსბუნდესლიგაში ვენური კლუბი წარმატებით გამოდიოდა. დაუმის მისვლამდე "აუსტრია" პირველ ადგილზე იყო ეროვნულ ჩემპიონატში. ვენელები უეფას თასის შემდეგ ეტაპზეც გავიდნენ, მაგრამ ვალტერ შახნერს ვერც ამან უშველა. კლუბის პატივმოყვარე მფლობელები მადაზე მოვიდნენ - უცებ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა მოინდომეს. ჩვენ გვსურს, კლუბმა მუდამ შეძლოს, სულ ცოტა, მეოთხედფინალში გასვლა", - მედიდურად განუცხადა "კრონენცაიტუნგს" ფრანკ შტრონახმა.

ჰოდა, რაკი ავსტრიელები განდიდების მანიამ შეიპყრო, კრისტოფ დაუმს თავის გამოჩენის შანსი მიეცა. ყველამ იცის, რა კარგი სპეციალისტია დაუმი, მისი ამბიციური ნატურა მაჩანჩალობას ვერ ეგუება, რომელ კლუბშიც დაუმი მივა, იმ გუნდმა აუცილებლად მაღალი მიზნებისთვის უნდა იბრძოლოს. გერმანელი მუდამ გამარჯვებისა და პირველობისკენ მიილტვის. ახლაც ასეა. დაუმი ჯერ წესიერად არც კი გასცნობია გუნდს და უკვე მსოფლიოს დაპყრობაზე ლაპარაკობს. "მე აქ გასართობად არ ჩამოვსულვარ. "აუსტრია" რომ ჩემპიონთა ლიგაში მოხვდება, ამაზე ორი აზრი არც შეიძლება არსებობდეს. ჩვენ ლიგის აღმოჩენად უნდა ვიქცეთ", - აცხადებს დაუმი.

გაგრძელება B7 გვერდზე

## "ძმური" წაგება



ქართველი და რუსი რაგბისტები ბანკეტზე

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*რამდენიც უნდა თქმულიყო, საქართველოს ნაკრები კლასით რუსებზე მაღლა დგას და გამარჯვების უფრო დიდი შანსი აქვსო, რუსეთში თავიანთი ნაკრების მარცხს ცოტა ვინმე თუ ელოდა. ასეა თუ ისე, წააგეს, მაგრამ წაგებაც არის და წაგებაც. მატჩის შემდეგ რუსმა მორაგბეებმა ალალად თქვეს, ქართველებმა დაგვჯაბნესო. აი, რუსმა ჟურნალისტებმა კი...*

"პოლიტიკური დაპირისპირების მიუხედავად, ჩვენი ქვეყნები კვლავაც რჩებიან ძმურ მართლმადიდებელ ქვეყნებად. ეს ძმობა გუშინ რუსმა მორაგბეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომლებმაც ცხოვრება არ გაურთულეს ქართველებს და, პირველად ისტორიაში, მსოფლიო თასზე ასპარეზობის საშუალება მისცეს". რას იზამ, რუსეთის რაგბის კავშირის ოფიციალურ ვებგვერდზე ასეთ ინფორმაციას ამოიკითხავ და ბევრმა იქნებ დაიჯეროს კიდეც. მთავარია, ჩვენ, ქართველებს, ალალად გვჯერა ჩვენი მორაგბეების ვაჟკაცობისა და თავდადებისა. ჩანს, რუსმა ჟურნალისტებმა არ იციან, რომ მოედანს გარეთ ძმობა მოედანზე არ ვრცელდება.

რუს მორაგბეებზე მოგახსენეთ და, მატჩის შემდგომ გამართულ ბანკეტზე, ქართველთა სიძლიერე, ვისაც კი საშუალება მიეცა, ყველა მორაგბემ აღნიშნა. ოფიციალური ცერემონიის შემდეგ, რომელიც სტუმარ-მასპინძელთა საჩუქრების გაცვლით, რაგბის კავშირის ხელმძღვანელთა და გუნდის კაპიტანთა სამადლობელი სიტყვებით შემოიფარგლა, ნამდვილი ქართული ქეიფი გაიმართა, ისეთი, რომ ირლანდიელი, შოტლანდიელი და ფრანგი სტუმრები გაოგნებული დარჩნენ.

**სერგეი სერგეევი** *(რუსეთის ნაკრების კაპიტანი):* "თუ გახსოვთ, ჯერ კიდევ მატჩამდე გითხარით, რომ დღევანდელ მატჩში გადამწყვეტი დამრტყმელთა სიზუსტე აღმოჩნდებოდა. სამწუხაროა, რომ ურჯუკაშვილი უფრო ზუსტი აღმოჩნდა. სამწუხაროა - რუსეთის ნაკრებისთვის, თორემ, ალბათ, ასე უნდა ყოფილიყო, რადგან დღეს საქართველოს ნაკრებმა აჯობა რუსეთის ნაკრებს. თქვენ ძალიან კარგი თავდამსხმელები გყავთ. მსაჯმა დღეს ბევრჯერ დაგვაჯარიმა, რამაც შედეგზე იმოქმედა. ამით იმას კი არ ვამბობ, რომ მსაჯობა არაობიექტური იყო. პირიქით, ირლანდიელი არბიტრი მშვენივრად ერკვეოდა ვითარებაში, მაგრამ ქართველებს ძალიან კარგი ფორვარდები გყავთ. სწორედ მათი აქტიურობის გამო მსაჯი ჩვენ გვაჯარიმებდა. არბიტრისთვის ზედახორაში უფრო ადვილია, იმ გუნდის სასარგებლოდ დასტვინოს, რომლის მორკინალებიც უკეთესად თამაშობენ. დღევანდელ მატჩში ასეთები ქართველები იყვნენ. გულითადად გილოცავთ ამ გამარჯვებას და იმედი მაქვს, რომ ავსტრალიაში ჩვენც ჩამოვალთ...

ერთი დიდი შეცდომა მომივიდა და ამისთვის ქართველებს ბოდიშს ვუხდი. წესით და რიგით, მატჩის შემდგომ დერეფანი უნდა გაგვეკეთებინა და გამარჯვებული ისე გაგვეცილებინა. მართალია, მე მივულოცე ბიჭებს, მაგრამ, როგორც კაპიტანს, ასეთი შეცდომა არ უნდა მომსვლოდა, დერეფანი უნდა გაგვეკეთებინა".

**ვიაჩესლავ გრაჩოვი:** "ძალიან გულდაწყვეტილი ვარ. წაგებაზე არც კი ვფიქრობდი, თუმცა, ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, დღეს გამარჯვების მეტი შანსი ქართველებს ჰქონდათ. ყველაფერთან ერთად, ბევრი შეცდომა მოგვივიდა, ბევრჯერ დავჯარიმდით. ამ ჯარიმებმა ბოლო მოგვიღო, თორემ, ვფიქრობ, ურიგოდ არ გვითამაშია. ახლა ერთადერთი შანსი რეპეშაჟში გამარჯვებაა. საამისოდ სამი მეტოქე უნდა დავამარცხოთ. ვფიქრობ, მსოფლიო თასზე ჩვენსა და ამერიკას შორის გამარჯვებული ითამაშებს. მე მგონი, თქვენც ჩვენი გასვლა გირჩევნიათ".

კულტურა

# ცხოვრება ნამდვილად მშვენიერია

### ყველაზე ძვირადღირებული იტალიური კინოპროექტი

*ვის ეშინია ცხვირის დაგრძელების? მას, ვინც ტყუილს ამბობს. კარლო კოლოდის ამ ფილოსოფიის გათვალისწინებით რობერტო ბენინი ბავშვობიდან ცხვირის გაზრდაზე ოცნებობდა. ჯერ ბევრს ცრუობდა, დილას კი, გაღვიძებისთანავე, სარკეში იხედებოდა, მაგრამ კოლოდის დაპირება დაპირებად რჩებოდა, რობერტოს ცხვირი პინოქიოსას მაინც არაფრით ემსგავსებოდა... გავიდა ხანი, მაგრამ ერთხელაც, ამ უცნაური ოცნებებიდან 30-40 წლის შემდეგ, ბენინიმ საგრიმიორო ოთახის სარკეში ჩაიხედა და რა დაინახა? მას ზუსტად ისეთივე ცხვირი ჰქონდა, როგორიც მთელი მსოფლიოს უსაყვარლესს ხის თოჯინას, გრძელცხვირა პინოქიოს... ამ სასწაულის მოწმე თქვენც გახდებოდით, იტალიაში ჩასვლა და 900-იდან ერთ-ერთ კინოთეატრში მოხვედრა რომ შეგეძლოთ. იქ, დიდ ეკრანზე, რობერტო ბენინი თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესს როლს ასრულებს – დურგალ ჯეპეტოს მიერ გამოჩორკნილ ხის თოჯინას.*

თამარ ბაბუაძე

ბავშვობიდან გამოყოლილი სურვილის ასრულებას რობერტო ბენინიმ ზუსტად 45 მილიონი დოლარი შეალია. მან გადაიღო ფილმი, რომელიც იტალიური კინემატოგრაფის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული კინო-პროექტი გახდა. "პინოქიოს" იტალიური პრემიერა შაბათკვირას გაიმართა. და მე-19 საუკუნის ზღაპარი-კლასიკაც "ბეჭდების მბრძანებელზე" გადართულმა საზოგადოებამ კიდევ ერთხელ გაიხსენა და შეიყვარა.

"პინოქიოს" კინო-ეკრანიზაციის შექმნა ფრენსის ფორდ კოპოლასაც სურდა და ფედერიკო ფელინისაც. ეს უკანასკნელი დარწმუნებული იყო, რომ მის ფილმში მთავარ როლს რობერტო ბენინი შეასრულებდა. ფელინიმ თავის საყვარელ მსახიობს მეტსახელად "პინოქიეტოც" (პატარა პინოქიო) შეარქვა და თავისუფალ დროს ესკიზებსაც ხატავდა – ბენინი ხის თოჯინის როლში. თუმცა, ფელინის პროექტისა და თავისი ბავშვური ოცნების განხორციელება ბენინის დამოუკიდებლად მოუხდა. მან ფილმში მრავალი ცნობილი სახე მიიწვია: საკუთარი მეუღლე - ნიკოლეტა ბრაში (ის ცისფერი ფერიას როლს ასრულებს), სახელგანთქმული კომპოზიტორი ნიკოლა პიოვანი, ოპერატორი დანტე სპინოტი. რაც შეეხება სცენარს, ის რობერტო ბენინისა და ვიჩენზო ჩერამის ეკუთვნით (ჩერამისთან ერთად დაწერა ბენინიმ "ცხოვრება მშვენიერიას" სცენარიც)...

გრანდიოზული პრემიერის შემდეგ ბენინი შედეგით კმაყოფილია. "ფილმზე ასეთი მოთხოვნა იშვიათად შემინიშნავს. გმადლობთ, ხალხო. ჩვენ ამ ნამუშევარში აბსოლუტურად ყველაფერი ჩავდეთ, მატერიალურიც და სულიერიც", - აცხადებს ის.

პრემიერამდე ჩატარებულმა გრანდიოზულმა სარეკლამო კამპანიამ ნამდვილად გაამართლა (ფილმის გამოსვლამდე რამდენიმე ხნით ადრე იტალია "პინოქიოს" ბილბორდებით და სუვენირებით – მაისურებით, თოჯინებით, რეზინის ცხვირებით და კეპებით გაივსო). პირველმა ჩვენებამ, რომელიც 900-მდე კინო-თეატრში გაიმართა, სრული ანშლაგით ჩაიარა. საზოგადოება ისე დაინტერესებული ჩანდა, რომ კინო-თეატრებში ორი სეანსი დაამატეს და "პინოქიოს", ოთხის ნაცვლად, დღეში ექვსჯერ აჩვენებდნენ. სამდღიანი ჩვენების შემდეგ ფილმმა გრანდიოზული მოგება მოიტანა – 7.9 მილიონი დოლარი. ანუ, მან "ბეჭდების მბრძანებლის", "კაციობობისა" და "ჰარი პოტერის" იტალიური რეკორდიც მოხსნა. მან გადაუსწრო ბენინის წინა ბლოკბასტერის პირველ შედეგებსაც: ფილმ "ცხოვრება მშვენიერიას" პირველი უიკ-ენდის შემოსავალი მხოლოდ 2.7 მილიონი დოლარი იყო.

ერთი სიტყვით, მე-19 საუკუნის ზღაპარი-კლასიკა იტალიაში შემოდგომის მთავარ მოვლენად იქცა. საზოგადოება წიგნის მაღაზიებსაც შეესია და კარლო კოლოდის ნაწარმოებზე მოთხოვნა 50 პროცენტით გაიზარდა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ "პინოქიოს" პრემიერა ჰოლივუდურ სტილში, დიდი პომპეზურობით მაინც არ გამართულა. ბენინის ოჯახის წევრებმა და მეგობრებმა ფილმი შინ, ვიწრო წრეში ნახეს. კინო-თეატრები კი მხოლოდ უბრალო იტალიელებით გაივსო. ერთადერთი გამონაკლისი იტალიის პრეზიდენტისთვის დაუშვეს. სენიორ ჩიამპი ბენინის "პინოქიოს" მოწონებით შეხვდა.




უოლტ დისნეის პინოქიო

"ბიბლიისა და ყურანის შემდეგ, "პინოქიო" მსოფლიოში მესამე ყველაზე ცნობილი და ყველაზე ხშირად თარგმნილი წიგნია. არაფერია უფრო ლამაზი, ვიდრე პინოქიო. კითხულობ და თან გეტირება, გეცინება. ის იმდენად ძლიერი სიხარულის მიზეზია, რომ შეუძლია, სულიერება დედამიწის ყოველ კუნჭულში გააცოცხლოს", - ასეთი მჭერმეტყველი იყო აღელვებული ბენინი, როდესაც ის პრეს-კონფერენციაზე თავის საყვარელ გმირზე საუბრობდა. მის თითოეულ სიტყვას ჟურნალისტები დიდი მონდომებით იწერდნენ, რადგან ფილმის გამოსვლამდე ბენინი პრესასთან ურთიერთობას ერიდებოდა. მეტიც, რომში გამართულ პრეს-კონფერენციაზე საგანგებოდ არ დაუშვეს უცხოელი ჟურნალისტები – ფილმის საზღვარგარეთულ პრემიერამდე მის დისტრიბუტორებს სურთ, რომ "პინოქიოს" შესახებ ყველაფერი სიურპრიზად დატოვონ.

მიუხედავად ასეთი ბუმისა, ფილმი იტალიელმა კინო-კრიტიკოსებმა მეტ-ნაკლები მოწონებით მიიღეს. ჟურნალ "პანორამას" რედაქტორი კარლო როსელასთვის ბენინის ნამუშევარი "ბოლო ორმოცი წლის მანძილზე ყველაზე ლამაზი ფილმი" აღმოჩნდა – "ნამდვილი შედევრი, რომლითაც იტალიურმა კინომ უნდა იამაყოს". თუმცა, იქვე მეორე კინოკრიტიკოსი ირწმუნებოდა, რომ ფილმის მიმდინარეობის პროცესში რამდენჯერმე ჩაეძინა. სხვები კი დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, რომ ბენინის "პინოქიო" უოლტ დისნეის კლასიკად ქცეულ მულტფილმს ვერაფრით აჯობებს. მათი თქმით, ანიმაციური "პინოქიო" გაცილებით უფრო შთამბეჭდავი იყო, ვიდრე ბენინის მიერ გაცოცხლებული ხის თოჯინაა.



ბენინის ამერიკული ტრიუმფი

REUTERS

დანარჩენები ბენინის კომიკურ ტალანტს აფასებენ და აცხადებენ, რომ მსახიობი ახერხებს, გრძელცხვირა თოჯინის როლი დამაჯერებლად შეასრულოს. ზღვა ენერგია, სტოკატოებით სავსე სწრაფი საუბარი, დაბნეული კაცისთვის დამახასიათებელი სიარულის მანერა და ბავშვურობა – აი, ის ჩვევები, რითაც ბენინი თავის გმირს სიხალისეს მატებს.

რომის უნივერსიტეტის პროფესორი ფრანკო ფერაროტი ბენინის პერსონაჟს ძალზე მნიშვნელოვან ფუნქციასაც აკისრებს: "პინოქიო ზუსტ დროს დაიბადა. მაშინ იტალია ახალი გაერთიანებული იყო. წიგნმა იტალიური ცხოვრების კომიკური მხარე გადმოსცა. პინოქიო მარტო სკოლის მოსწავლე კი არ არის, იტალიური ცხოვრების მეტაფორაცაა".

ჯერჯერობით რობერტო ბენინის ტალანტით მხოლოდ იტალია ტკბება. ფილმის ამერიკული პრემიერა კი 25 დეკემბერს, კათოლიკური შობის დღეს იგეგმება. შტატებში ფილმის დისტრიბუციის ექსკლუზიურ უფლებას "მირამაქსი" ფლობს. ინგლისურ ვერსიაში თავის გმირს თავად ბენინი გაახმოვანებს, ცისფერ ფერიას კი მისი ცოლი - ნიკოლეტა ბრაში. ეს განსაკუთრებულად გაართობს მათ, ვისაც ბენინის მკვეთრი ინგლისური აქცენტი სმენია. "მირამაქსის" მესვეურებიც იმედოვნებენ, რომ ინგლისურენოვან საზოგადოებას, ბენინის კომიკურ ტალანტთან ერთად, მისი ძალზე იტალიური ინგლისურიც გულიანად გააცინებს. ზოგიერთი კინო-კრიტიკოსი უკვე ვარაუდობს, რომ ამ როლისთვის აშშ-ს კინო-აკადემია იტალიელს 2003 წლის "ოსკარზეც" წარადგენს. აი, მაშინ კი ბენინისთვის ცხოვრება მართლაც მშვენიერი იქნება...

B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 სპეცსამსახურები B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

## მალხაზ ხარბედიას სვეტი



# კიდევ ერთხელ მარკესის შესახებ

*რამდენიმე დღის წინ (9 ოქტომბერს) The New York Times-ში წერილი გამოქვეყნდა გაბრიელ გარსია მარკესის შესახებ. დიდი არაფერი, ავტორი უბრალოდ შეგვახსენებდა, რომ გაბო ცოცხალია და რომ კოლუმბიაში მისი მოგონებების წიგნიც გამოვიდა. "იცხოვრო, რათა მოყვე", ასე ჰქვია მის ბოლო წიგნს, რომელზეც, უფრო დაწვრილებით შემდგომში მოგითხრობთ, ახლა კი შევეცდები კიდევ ერთხელ გავაქარწყლო ის ყალბი მითი, რომელიც ბოლო წლებში მარკესის გარშემო შეიქმნა და რომელიც განსაკუთრებით ქმედითი საქართველოში აღმოჩნდა. კიდევ ერთხელ, რადგან ადრე უკვე მქონდა ამგვარი "გაქარწყლების" ცდა, ეს გასულ წელს იყო, "ქომაგის" ფურცლებზე, დღეს კი მინდა უფრო ფართო წრეს გავაცნო მარკესთან დაკავშირებული უცნაური ამბები, რადგან როგორც რამდენიმე დღის წინ დავრწმუნდი, ხალხში ჯერ კიდევ ცოცხალია იმ პატარა, ყალბი ტექსტის ხიბლი, ტექსტისა, რომელიც შარშან ლამის ყველა ქართულ გაზეთში გამოქვეყნდა.*

სიკვდილი, მოგეხსენებათ, ისეთი რამეა, რაც მხოლოდ სხვებს ემართებათ ხოლმე, ამიტომაც ე.წ. ანდერძებს ყოველთვის სევდიანი ხალისითა და მწუხარე აღტაცებით კითხულობს ხალხი. შესაძლოა ცოტა უცნაურადაც ჟღერდეს ეს ჩვენი "სევდიანი ხალისი", მაგრამ რას იზამ, ასეთია სიკვდილის რიტორიკა, ხალხმა სწორედ რომ აღტაცებით მიიღო 2001 წლის დასაწყისში გამოქვეყნებული მარკესის ე.წ. ანდერძი კოდური სახელწოდებით "ჩალის თოჯინა".

ვილაცა შემომედავება, კაცი კვდება, მკითხველს ეთხოვება, შენ კიდე დამდგარხარ და კაიფობო. იმასაც იტყვის, "კოდური სახელწოდება" რაღა შუაშიაო.... არა მეგობარო, მე სულაც არ მეხუმრება, უბრალოდ იმის თქმა მინდა, რომ ეს "ანდერძი" კარგად შესრულებული ლიტერატურული ხრიკი აღმოჩნდა და მეტი არაფერი, საერთაშორისო მასშტაბის ოპერაცია, რომელიც ნამდვილად იყო იმის ღირსი, რომ მისთვის კოდური სახელწოდებაც მოეფიქრებინათ (თავის დროზე მეც წამოვეგე ამ ხრიკზე, მაგრამ სევდანარევი აღტაცებით აღვსილს ცივი წყალი გადამასხა ერთ-ერთმა ესპანურმა სააგენტომ).

მოდით თანმიმდევრულად მივყვეთ მოვლენებს:

ფილტვის კიბოზე პირველი ოპერაცია 1992 წელს გაუკეთდა მარკესს; ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, მაგრამ უკვე 1999 წელს ექიმებმა მას ლიმფომაც აღმოუჩინეს და სწორედ ამ პერიოდშივე გავრცელდა პირველი ჭორიც მისი გარდაცვალების შესახებ. ლოს ანჯელესის ონკოლოგიურ კლინიკაში ჩატარებულმა კურსმა შედეგი გამოიღო, მარკესი გამოჯანმრთელდა და თავისი მოგონებების პირველი ტომის გამოქვეყნებასაც დაპირდა მკითხველს. არ გასულა რამდენიმე თვე, რომ პერუანულ გაზეთ La Republica-ში დაიბეჭდა და მყისვე ინტერნეტითაც გავრცელდა ზემოხსენებული ტექსტი მარკესის ხელმოწერით, რომელიც 2000 წლის 8 დეკემბრით იყო დათარიღებული. ეს ტექსტი ტონითაც და სტილურადაც საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურებოდა, რადგან, როგორც მოგახსენეთ, ასეთია სიკვდილის ყალბი რიტორიკა და მასთან შედარებით კონკრეტული მწერლის სტილური თავისებურებები ძალას კარგავენ. ერთი სიტყვით, სიკვდილის რიტორიკამ მთლიანად გადაფარა მარკესის მიერ გამოგონილი სიკვდილის შემთხვევები, წაშალა მთელი მისი შემოქმედება და ავტორის სახელსა და გვარს თავისი სიუჟეტი მიაბა.

მაშ ასე, გაბრიელ გარსია მარკესი წარმოგიდგენთ თავის ბოლო ნამუშევარს.....

***"ნეტა წამით მაინც დაევიწყებინა ღმერთს, რომ ჩალის თოჯინა ვარ, მაშინ ხომ არ ვიტყოდი ყველაფერს, რასაც ვფიქრობ და უფრო მეტს ვიფიქრებდი მასზე, რასაც ვამბობ.***

***საგნებს ღირებულებით კი არა, მნიშვნელობის მიხედვით შევაფასებდი.***

***ნაკლებს ვიძინებდი, მეტს ვიოცნებებდი და მეცოდინებოდა, რომ ყოველი თვალდახუჭული წუთით სინათლის სამოცწამიან მონაკვეთს ვკარგავთ.***

***ვივლიდი, როცა სხვები თავს შეიკავებდნენ ამისგან, გავიღვიძებდი, როცა სხვებს ეძინებოდათ, მოვისმენდი სხვათა საუბრებს. და რომ იცოდეთ, როგორ ვისიამოვნებდი შოკოლადის ნაყინით.***

***ღმერთს რომ ცოტაოდენი ცხოვრება ებოძებინა, უბრალოდ ჩავიცვამდი, მზის პირველ სხივთან ერთად წამოვდგებოდი, სხეულის გარდა სულსაც გავიშიშვლებდი.***

***ღმერთო ჩემო, გული რომ მქონოდა, ზიზღს ყინულის ბორკილებში მოვაქცევდი და მზის ამოსვლას დაველოდებოდი. ვარსკვლავების შუქზე ვხატავდი, როგორც ვან გოგი, ვიოცნებებდი ბენედეტის პოემაზე, სერას სიმღერა კი ჩემი მთვარის სერენადა იქნებოდა. ვარდებს ცრემლებით დავალტობდი, რათა მათი ეკლების ჩხვლეტა მეგრძნო და ფურცლების ცეცხლოვანი ამბორის ღირსი გავმხდარიყავი.***

***ღმერთო ჩემო, მე რომ ცოტაოდენი სიცოცხლე დამრჩენოდა....დღეს არ გამოვტოვებდი, რათა მეთქვა ძვირფასი ადამიანებისთვის, თუ როგორ მიყვარან ისინი. დავარწმუნებდი ყველა ქალსა და მამაკაცს, რომ ისინი ჩემი მიჯნურები არიან და ვიცხოვრებდი ასე, სიყვარულში სიყვარულით.***

***დავუმტკიცებდი ადამიანებს, თუ როგორ ცდებიან, როცა ფიქრობენ, რომ სიბერესთან ერთად სიყვარულსაც კარგავენ: არადა პირიქითაა, ისინი იმიტომ ბერდებიან, რომ აღარ უყვართ.***

***ბავშვს ფრთებს მივცემდი, მაგრამ ვასწავლიდი თავისით ეფრინა.***

***მოხუცებს ვასწავლიდი, რომ სიკვდილი სიბერისგან კი არა დავიწყებისგან მოდის.***

***რამდენი რამ ვისწავლე თქვენგან, ადამიანებო....***

***მივხვდი, რომ ყველას მთის მწვერვალზე სურს ცხოვრება, იმას კი ვერ ხვდებიან, რომ ჭეშმარიტი ბედნიერება მათ დაღმართისას ელით.***

***მივხვდი, რომ როცა ახალშობილი პირველად მოიქცევს მამის თითს თავის პაწია მუჭში, იგი მას აღარასდროს გაუშვებს ხელს.***

***მივხვდი, რომ ადამიანს მხოლოდ მაშინ აქვს უფლება ზემოდან უყუროს სხვას, როცა ფეხზე წამოდგომაში ეხმარება მას.***

***მე ამდენი რამ ვისწავლე თქვენგან, მაგრამ სიმართლე ითქვას, ეს ცოდნა ვერაფერს მშველის, რადგანაც ყველაფერ ამით აღვსილი, მე, სამწუხაროდ, ვკვდები."***

მარტში მარკესს 73 წელი შეუსრულდა, ანუ როგორც დიდი კუბელი, ხოსე ლესამა ლიმა იტყოდა, Tristicia Caducitatis-ის ასაკში შეაბიჯა, ჩვენებურად კი სიბერის სევდა შემოეპარა. წარსულის მაქსიმუმისა და მინიმალური მომავლის პირობებში მისგან მართლაც მოსალოდნელი იყო რაღაც აღსარება, მაგრამ არა ასეთი. ასე მხოლოდ მისი პერსონაჟები ლაპარაკობენ, გახსოვთ ალბათ სანტიაგო ნასარის ბოლო სიტყვები "გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკიდან": "მომკლეს, დეიდა ვენე! მომკლეს!" - ამბობდა იგი და ნაწლავებიდან მიწას იფერთხავდა....

"სამწუხაროდ ვკვდები"....ამ სიტყვებს გაბო არაფრის დიდებით არ დაწერდა, ნუთუ წარმოსადგენია, რომ სიკვდილთან ასე გაშინაურებულ კაცს აგრერიგად დაემცირებინა მისი დიდებულება; ან ეს ფრთები და ვარდები რაღა შუაშია. ერთი კია, მისტიფიკატორმა გაითვალისწინა, რომ სიცოცხლე (ცოცხალი მარკესი) ვერ მოახერხებდა თავისი სიკვდილის აფიშირებას და რომ მომაკვდავი მწერალი იძულებული გახდებოდა ისევ და ისევ სიცოცხლის ტრიუმფზე მოეთხრო რამე და მხოლოდ შემდეგ მომკვდარიყო. მან ისიც ზუსტად გათვალა, რომ თავად მარკესიც სულ "წინასწარგამოცხადებულ" სიკვდილებზე წერდა მთელი ცხოვრება. ზემოთ ნახსენები მოთხრობის გარდა "მარტოობის ასი წელი" და "სიყვარულს მოფარებული გარდაუვალი სიკვდილიც" შეგვიძლია გავიხსენოთ: "სენატორი ონესიმო სანჩესს ექვსი თვისა და თერთმეტი დღის სიცოცხლეღა დარჩენოდა, თავის საოცნებო ქალს რომ შეხვდა...." - ასე იწყებდა თხრობას გაბო.

არავინ იცის კიდევ რამდენ ხანს იცოცხლებს მარკესი, მაგრამ საბედნიეროდ იგი ჯერ კიდევ ცოცხალია და ესპანური El Pais-ის მკითხველი უკვე გაეცნო კიდეც ფრაგმენტებს დაპირებული მოგონებებიდან. და რაც მთავარია, გამოირკვა ანდერძის ავტორი, ეს ადამიანი გახლდათ ვინმე აბელ პარენტინი, არგენტინის ელჩი პერუში.

*2001, დეკემბერი*

# საქართველო ავსტრიელებისათვის

## ქართული კულტურის დღეები ვენაში

*სექტემბერ-ოქტომბერში ვენაში რომ ქართული კლუტურის დღეები იყო დაგეგმილი, ეს მშვენივრად მახსოვდა, თუნდაც იმიტომ, რომ სექტემბრის დასაწყისში მეც ავსტრიული ვიზის მოლოდინში ვიყავი და აქედან გამომდინარე, ძალიან ამაღელვა ქართველი ხელოვნების მოღვაწეთა პრობლემებმა, რომელთაც საელჩო ვიზას უგვიანებდა. ვენაში ჩასვლისთანავე, პირველივე ქართველი ვინც იქ ვნახე, ქართული კულტურის დღეებზე მიმავალი ბატონი გიორგი ხაინდრავა აღმოჩნდა, რომელიც 6 ოქტომბერს თავისი ფილმის, "ოცნებების სასაფლაოს" ვენურ ჩვენებას უნდა დასწრებოდა ვოტივკინოში. ბატონი გიორგი თურმე ჩვენთან ერთად ჩამოფრენილა "აუსტრიან ერალაინზის" თბილისი-ვენის რეისით და ჩვენი არ იყოს, ისიც ამაოდ ელოდება დამხვდურებს შვეხატის აეროპორტში. დილის შვიდის ნახევარზე ჩასულებმა, აეროპორტიდან ცხრა საათისთვის ძლივს გავაღწიეთ, ბატონი გიორგი კი, რომელსაც რატომღაც არც ავსტრიელთაგან დახვდა ვინმე და არც ქართველთაგან, მოთმინებით ელოდა გათენებას. ამ დილაადრიან ვის დავადგე თავზეო, მორიდებით ამბობდა.*

ნინო პირველი

მოკლედ, ვენაში რომ მშობლიური კულტურის დღეები ტარდებოდა, ერთხანს კი მახსოვდა, მაგრამ მერე ერთბაშად იმდენი პრობლემა დამიგროვდა, რომ ქართული დღეები სულ ამომივარდა თავიდან. ვენაში გადარეული ცხოვრების რიტმში ჩართულს, ავსტრიელთა სამსჯავროს წინაშე წარდგენილი ქართული კულტურა, ალბათ, კიდევ დიდხანს არ გამახსენდებოდა, თავად ავსტრიელებს რომ არ ეთქვათ, რა კარგ დროს ჩამოხვედი, ახლა ხომ ვენაში ქართულ ფილმებს უჩვენებენო. ვენის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ბიუროს თანამშრომლებს დიდად ვუმადლი, სირცხვილი რომ არ ვჭამე და დროზე გამახსენდა ქართული კულტურის ერთთვიანი ზეიმი. მართალი გითხრათ, არ ველოდი, ეს ღონისძიება ავსტრიელთათვის ასე საინტერესო თუ აღმოჩნდებოდა. ზემოთ ხსენებული ვენის უნივერსიტეტის ერთმა თანამშრომელმა სევდიანად შემომჩივლა - ქართული ხალხური სიმღერები ძალიან მიყვარს, კომპაქტდისკებზეც მაქვს ჩაწერილი, ოღონდ ნოტები ვერაფრით ვერ ვიშოვეო. ამის გაგონებაზე სასტიკად შევწუხდი. ეს რომ ადრე მცოდნოდა, სულ ადვილად შემეძლო ქართული კულტურის ავსტრიელი მოყვარული გამეხარებინა და სახლიდან მისთვის ნოტებით ჩაწერილი ქართული ხალხური სიმღერები ჩამეტანა. რა გაეწყობა, სხვა დროისთვის იყოს!

რაკი ვენაში მხოლოდ 1 ოქტომბერს ჩავედი, კულტურის დღეების პირველ ნაწილს ვერ მივუსწარი და მხოლოდ ქართული კინოთი მომიწია დაკმაყოფილება. ფილმების ჩვენებასთან ერთად, ქართველებმა და ავსტრიელებმა ერთობლივი ძალებით შვიდსაათიანი სიმპოზიუმიც მოაწყვეს, რომელიც ვენის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში გაიმართა. იმის მიუხედავად, რომ ოთხშაბათს საღამოს მუსიკფერაინში ვიყავი გუსტავ მალერის მეორე სიმფონიის მოსასმენად და სახლში გვიან დაბრუნებულს, ხუთშაბათს დილით სასტიკად მეზარებოდა რვა საათზე ადგომა, მაინც თავს ძალა დავატანე და ათი საათისთვის უკვე ვენის მუზეუმების კვარტალში გახლდით, სადაც იმდენი გალერეა და მუზეუმია, რომ ქუჩებსაც პირდაპირ ასე ეწოდება - მუზეუმის ქუჩა, მუზეუმის მოედანი...



*ვენა - ბაღები*

სიმპოზიუმი საქრთველოში, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ავსტრიის ელჩის, ქალბატონი ჰაიდემარია გიუერერის მისასალმებელი სიტყვით გაიხსნა. ქალბატონ გიურერთან მე პირადად შესანიშნავი მოგონებები მაკავშირებს, თუნდაც იმიტომ, რომ ავსტრიული სტიპენდიის მისაღებად მასთან მომიწია გასაუბრებაზე გასვლა და და მის დანახვაზე, მინდა თუ არა, ყოველთვის ვენა მახსენდება, მაშინაც კი, როცა ვენაში ვარ. შემდეგ მოვისმინეთ ავსტრიის ორიენტალისტიკის საზოგადოების პრეზიდენტის, ბატონ ვალტერ დოსტალის გამოსვლა, რომელმაც დასავლეთის და აღმოსავლეთის აუცილებელ მეგობრობაზე ისაუბრა,ოღონდ მთლად ზუსტად ვერ მივხვდი,ვის გულისხმობდა ბატონი პრეზიდენტი აღმოსავლელებში, რადგან ძნელია, საქართველოს ცალსახად ვუწოდოთ აღმოსავლეთი. ასე მაგალითად, ჩემი იტალიელი მეგობრისთვის, რომელიც იაპონისტიკას სწავლობს, აღმოსავლეთი, უპირველეს ყოვლისა, ჩინეთ-იაპონიაა და არა საქართველო ...

თერთმეტ საათზე კონფერენციის საზეიმო ნაწილი დასრულდა და საქმიანი დაიწყო. საზოგადოებამ დიდი ინტერესით მოისმინა ქართველი პოლიტოლოგის, გია ნოდიას ინგლისურენოვანი მოხსენება თემაზე " აქტუალური პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში". ბატონ ნოდიას ხანგძლივ რეფერატს ნამდვილად არაფერი დაეწუნებოდა. ავტორმა მსენელებს დაუზარებლად გააცნო საქართველოს ამჟამინდელი პოლიტიკური ვითარება, არც ეთნოკონფლიქტები გამორჩენია და არც პოლიტიკურ პარტიათა შორის არსებული დაპირისპირება.

შესვენების შემდეგ საზოგადოების წინაშე წარდგა ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და მსახიობი (როგორც კონფერენსიემ განაცხადა) ლაშა ბაქრაძე, რომელიც შეეცადა, ავსტრიელებისათვის თანამედროვე საქართველოზე ზოგადი წარმოდგენა შეექმნა. ავსტრიელებმა რუსეთ-საქართველოს მტერ-მოყვრული ურთიერთობის ირგვლივაც მიიღეს ინფორმაცია და ქალწულობის კომპლექსის შესახებაც. ისიც აღინიშნა, რომ ქართველებმა ზუსტად არ იციან, ევროპელები არიან თუ აზიელები და საკუთარ თავს არც ევროპას მიაკუთვნებენ და არც აზიას.

ამის შემდეგ სიმპოზიუმზე მიუნხენში მცხოვრები ქართველი ხელოვანის, გია როგავას გამოსვლა იყო დაგეგმილი, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ოთხის ნახევარზე ჩემს ავსტრიელ პროფესორს უნდა შევხვედროდი, მესამე ნაწილზე ვეღარ დავრჩი და უნივერსიტეტში წავედი. მართალი გითხრათ, ძალიან მაინტერესებდა, როგორი იქნებოდა სიმპოზიუმის მესამე და მეოთხე ნაწილები.

ვენაში ქართული კლუტურის დღეები კვლავაც გრძელდება. დარჩენილ ერთ კვირაში ავსტრიელები კომპოზიტორ გია ყანჩელს შეხვდებიან, რამდენიმე ფილმს ნახავენ და ქართული "ტაბლაც" ამით დასრულდება.

**P.S. ჩემს პროფესორთან შეხვედრის შემდეგ, რომელმაც ასევე ბევრი რამ იცოდა საქართველოს შესახებ, სახლში იმ განწყობით დავბრუნდი, რომ ამ ერთ თვეში ავსტრიამ ქართული სამყარო კარგად გაიცნო და სიამოვნებით მიიღო. კმაყოფილებას ვგრძნობდი ამის გამო, მაგრამ ყოვლად ბულვარულმა გაზეთმა "ექსპრესმა" ეს სიხარული მაშინვე ჩამიშხამა. გადავშალე თუ არა გაზეთი, მაშინვე თვალში მეცა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ვენის ერთ-ერთ მაღაზიაში ქურდობის გამო დააკავეს 51 წლის იურისტი მამაკაცი და მისი 46 წლის თანმხლები ქალი, ქართველები, რა თქმა უნდა. ჯერ ძალიან შემრცხვა და გავბრაზდი, მერე კი შემეცოდა ორივე დაპატიმრებული. ამ ასაკში ასეთ სულელურ ქურდობას იშვიათად ჩადიან, ვინ იცის, როგორ უჭირდათ და რამ გადააწყვეტინათ ასეთ დანაშაულზე წასვლა... რაც არ უნდა სიმპოზიუმები ატარო და ლამაზი სიტყვებით თავი იქო, იმას ვერსად გაექცევი, რომ საქართველოში, სოციალურთან ერთად, ზნეობრივი კრიზისიცაა...**

# გია გუგუშვილის საიუბილეო გამოფენა

გუშინდელი დღე განსაკუთრებულად სადღესასწაულო იყო გია გუგუშვილისთვის. მხატვარმა ერთდროულად აღნიშნა სვეტიცხოვლობა, 50 წლის იუბილე და თბილისში პირველი "სერიოზული" გამოფენა გალერეა "უნივერსიში".

"დღევანდელი დღე ჩემთვის მართლაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია; ეს არის პირველი გამოფენა თბილისში, სადაც ჩემი 20 თუ 30 წლიანი შემოქმედებითი გზა, ასე თუ ისე, სრულყოფილადაა ასახული", - მოკლედ მიესალმა სტუმრებს გამოფენის ავტორი. სამაგიეროდ, საპატიო სტუმრები აღმოჩნდნენ მჭევრმეტყველნი. სტუმრებს კი გალერეა ძლივს იტევდა. მხატვრის ნათესავახლობლებთან ერთად იყვნენ ბიზნესიდან თუ ხელოვნებიდან საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი ადამიანები: მცხეთის კონკორდატიდან დაბრუნებულები: ჯანსულ ჩარკვიანი და მამუკა ხაზარაძე; ნინო ზაალიშვილი და თემურ გოცაძე, ვის გარეშეც თბილისში იშვიათად თუ იხსნება გამოფენები.

თბილისში საკუთარი ნამუშევრები, პერსონალური გამოფენის სახით, გია გუგუშვილმა მესამედ წარმოადგინა; დამთვალიერებელმა მისი გამოფენა უკანასკნელად გალერეა "უნივერსიში" ნახა. მხატვრის ნამუშევრები გაცილებით ხშირად გამოიფინება უცხოეთში. 1982 წლიდან მოყოლებული მისი ნამუშევრებს აქტიურად მასპინძლობს მოსკოვის, ტალინის, პარიზის, ნიუ-იორკის, ციურიხის, ანკარისა და სხვა ქალაქების გალერეები. მხატვარი მონაწილეობს როგორც ჯგუფურ, ასევე პერსონალურ გამოფენებში.

ამჯერად გია გუგუშვილმა სხვადასხვა კერძო კოლექციებში გაფანტულ ნამუშევრებს მოუყარა თავი და საიუბილეო ექსპოზიციაზე გამოიტანა. "გამოფენამ ჩემში ნოსტალგია გამოიწვია; მხატვრის სახლის ნოსტალგია; ამ ნამუშევრებს გია, ოცი წლის წინათ, სწორედ იქ ქმნიდა; ახალგაზრდებს კი ფერთან და ხაზთან მუშაობას ასწავლიდა", - გაიხსენა მხატვარმა თემურ გოცაძემ. პოეტმა ჯანსულ ჩარკვიანმა გუგუშვილების ოჯახზე და ქართულ კულტურაში მათ მიერ შეტანილ წვლილზე შეაჩერა სტუმართა ყურადღება: "ძალიან მიხარია, რომ ამ ოჯახთან ახლო ურთიერთობა მაქვს", - ასე დაასრულა პოეტმა საკუთარი გამოსვლა.

თავის მხრივ, გამოფენა განსაკუთრებულად შეაფასა გალერეის დიასახლისმაც: "ასეთი სახის გამოფენა ჩვენთან პირველად იმართება. დამთვალიერებელს სულ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა უწევს, მხატვრის დიდი ტრანსფორმაციის მომსწრე რომ გახდეს". პირველი, რასაც დამთვალიერებელი შენიშნავს, მხატვრის შემოქმედების გარკვეული ეტაპებია. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მისი 80-იან წლების ფერწერა; 90-იანი წლების შემოქმედება ბიბლიური თემების სიუხვით გამოირჩევა; სრულიად განსხვავებულია მხატვრის ფერწერული სერია: "დაღლილი ალპინისტის საღამო"; "იერუსალიმის კარი" "მარტივი იდეა," "ანარეკლი", "დავით გარეჯი", "საღამო" –ამ ნამუშევრებში ავტორი განწყობას, თითქმის გამოსახულების გარეშე, მხოლოდ ფერებით ქმნის.



ვახო ჯაჯანიძის ფოტო

*მერაბ კოკოჩაშვილი და გია გუგუშვილი*

"უფროსი" გია გუგუშვილის მხატვრობის მოყვარულებს "უნივერსი" კიდევ რამდენიმე დღის განმავლობაში უმასპინძლებს.

# პრეზენტაცია უნივერსიტეტში

თამარ სუხიშვილი

კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტმა სულ ახლახანს ორი წიგნის ("ჰელიკონი" და ქართული პოეზიის ანთოლოგია) პრეზენტაციით გაგვახარა, 12 ოქტომბერს კი ქართული საზოგადოება ახალი წიგნის პრეზენტაციაზე იყო მიწვეული. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII კორპუსში, ინსტიტუტის სამკვიდრებელში, აუდიტორიას რისმაგ გორდეზიანის "ბერძნული ლიტერატურა" წარუდგინეს (წიგნი გამომცემლობა "ლოგოსმა" გამოსცა).

ანტიკური ლიტერატურის ისტორიის კურსი ქართულ ენაზე რამდენჯერმე გამოსცა აკადემიკოსმა სიმონ ყაუხჩიშვილმა. "ჩვენი მიზანი ტრადიციის გაგრძელება იყო," – აღნიშნა ინსტიტუტის დირექტორმა, ბატონმა რისმაგ გორდეზიანმა. ქრესტომათიული ნაშრომი (წიგნი 568 გვერდს შეიცავს) პირველი ტომია ბერძნული და რომაული ლიტერატურის სახელმძღვანელოსი, რომლის გამოცემაც სამ ტომადაა დაგეგმილი. I ტომში შესულია ელინური პერიოდის ეპოსი, ლირიკა და დრამა, II ტომი მხატვრულ პროზასა და მეცნიერებას დაეთმობა, III ტომში კი რომაული ლიტერატურა იქნება განხილული. წიგნის რედაქტორია პროფესორი ნანა ტონია. წიგნი არა მარტო სპეციალისტებისთვისა და სტუდენტებისათვის, არამედ ანტიკური ლიტერატურით დაინტერესებული ფართო მკითხველისთვისაც არის განკუთვნილი.

პრეზენტაციის დღის წესრიგი ერთგვარად ორიგინალური იყო. ავტორმა, პროფესორმა რისმაგ გორდეზიანმა წაიკითხა მოხსენება "ავანგარდისტული ტენდენციები კლასიკურ ბერძნულ ლიტერატურაში". სიტყვით გამოვიდნენ ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი გუჩა კვარაცხელია და მწერალი ბაჩანა ბრეგვაძე.




მილეტის ფილოსოფიური სკოლის დამაარსებელს, თალესს ჰკითხეს, "რა უფრო უდიადესიაო? მიუგო: რაზეც შენ დგახარ, იმიტომ, რომ შენც იმას უტვირთავხარ და თვითონაც იქ არის." ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირის ღირსება მისი საქმით ფასდება. საქმეა მისი საყრდენიცა და წინსვლის საფუძველიც. კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტთან არსებული გამომცემლობის, "ლოგოსის" მიერ მკითხველისთვის ნაჩუქარი ბერძნულ-რომაული ლიტერატურის ბიბლიოთეკა მოწმობს, რომ ეს ინსტიტუტი მყარ საფუძველზე დგას.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

მისამართი:

საფოსტო ინდექსი:

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

ასაკი:

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

ოჯახური მდგომარეობა:

დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

შვილები: (თუ გყავთ)

განათლება:

საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

პროფესია:

სამუშაო ადგილი

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევასაც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

## აშშ-ს სპეცრაზმი ავღანეთში ცსს-ს მეთოდებით იმოქმედებს

ავღანეთში მოქმედმა ამერიკის შეერთებული შტატების კომანდოსმა, ვაშინგტონიდან მიიღო ინსტრუქცია, ცსს-ს მეთოდებით მოქმდების დაწყების თაობაზე. ამის შესახებ ინფორმაცია "ვაშინგტონ პოსტმა" გაავრცელა. აშშ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლის განცხადებით უკანასკენლ ხანებში აშშ-ს კომანდოსმა საიდუმლო ოპერაციის დაწყების ნებართვა მიიღო. ოპერაციის კოდური სახელწოდებაა **"წყარო."** ოპერაცია ცსს-ს მიერ არის დამუშავებული და ითვალისწინებს მოწინააღმდეგის ბანაკში აგენტების გადმობირებას და მათთან მჭიდრო კონტაქტების საფუძველზე ინფორმაციების მოპოვებას. როგორც ჩანს, ცსს-მ თალიბანის და ალ–ქაიდას წრეებში შეღწევა განიზრახა. აშშ–ს სამხედრო ხელმძღვანელობის შეფასებით, ავღანეთში ჯერ კიდევ მოქმედებს ბინ ლადენის 1000–1500 ტერორისტი. ოპერაცია "წყარო" ასევე ითვალისწინებს სხვა სახის ტაქტიკური ხასიათის საიდუმლო სპეცოპერაციების განხორციელბასაც. თუმცა გა-


*აშშ–ს კომანდოსი ავღანეთში*

ზეთი, რა თქმა უნდა ვერ აკონკრეტებს თუ რა ღონისძიებებზეა საუბარი. სავარაუდოა, რომ ოპერაციის დროს განხორციელდება აგენტების გადმობირების პროცესი. ასევე შესაძლოა ციხიდან გაათავისუფლონ დატყვევებული ტერორისტები დეზინფორმაციების გავრცელების მიზნით. **"ცსს აპირებს აშშ–ის სპეცრაზმის ზოგიერთი უნიკალური შესაძლებლობების გამოყენებას. საუბარია გარკვეულ უნარ–ჩვევებზე, რომლიც ფართო საზოგადოებისათის ცნობილი ვერ იქნება,"** განაცხადა პენტაგონის ერთ–ერთმა მაღალჩინოსნმა წარმომადგენელმა. ნებისმიერი სახის ინფორმაცია გაიგზავნება ცსს–ს შტაბ-ბინაში. ცსს–ს ოფიცრები უკვე ჩავიდნენ ავღანეთში, რათა ადგილზე მოახდინონ ოპერაციის მსვლელობის კონტროლი.

## "სიცრუის დეტექტორი" ცრუობს



*სიცრუის დეტექტორი*

ამერიკელ მეცნიერთა ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ "სიცრუის დეტექტორი" არ წარმოადგენს ჯაშუშთა გამოვლენის საშუალებას. მეცნიერები მისი გამოყენებით, მრავალი წლის განმავლობაში ამოწმებდნენ აპარატის სისწორეს სხვადასხვა უწყებათა თანამშრომლებზე. პროექტი ნაციონალური კვლევების საბჭოს მიერ იყო დაფინანსებული. ჯგუფის ხელმძღვანელის, პიტსბურგის კარნეგი მელონის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორის სტივენ ფაინბერგის აზრით, სიცრუის დეტექტორზე მოსამსახურეთა შემოწმების ჩატარების გასამართლებლად არასაკმარისი სამეცნიერო ბაზა არსებობს. **"ეროვნული უსაფრთხოება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ის ამ უხეშ ინსტრუმენტს არ უნდა დაეყრდნოს,"** ნათქვამია გამოკვლევაში. ამასთანავე, მეცნიერები თვლიან, რომ სიცრიუს დეტექტორის, იგივე პოლიგრაფის, გამოყენება სასარგებლოა სისხლის სამართლის საქმეების გასახსნელად, როდესაც ეჭვმიტანილს უსვამენ კონკრეტულ კითხვებს დანაშაულის ამა თუ იმ დეტალთან დაკავშირებით.

პირველად სიცრუის დეტექტორი, რომელიც აფიქსირებს ადამიანის ორგანიზმის ფიზიოლოგიური პარამეტრების (არტერიული წნევის, პულსის და ა.შ) ცვლილებებს შეკითხვების დროს, პირველი მსოფლიო ომის დროს ჰარვარდის უნივერსისტეტის ფსიქოლოგმა უილიამ მულტონ მარსტონმა გამოიყენა.

სიცრუის დეტექტორის ფართოდ გამოყენება აშშ–ში უკვე ცივი ომის დროს დაიწყეს, როდესაც დაპირისპირებული ბანაკიდან ქვეყანაში აგენტების შეღწევის საფრთხე გაიზარდა. დღემდე, აშშ-ის სხვადასხვა უწყებების ათი ათასობით თანამშრომელი ყოველწლიურ შემოწმებას გადის სიცრუის დეტექტორზე.

ერთი პერიოდი მისი გამოყენება კერძო სექტორშიც დაიწყეს, თუმცა 1988 წელს აშშ-ში გამოვიდა კანონი, რომელმაც კერძო მეწარმეებს და ინდივიდუალურ პირებს სიცრუის დეტექტორით სარგებლობა აუკრძალა.

## ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო: სადამი პირველი არ დაგვარტყამს

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს აზრით, იმის ალბათობა, რომ სადამ ჰუსეინი პირველი გამოიყენებს ქიმიურ ან ბიოლოგიურ იარაღს, საკმაოდ ნაკლებია. თუმცა, ცსს-ს წერილში სენატის სადაზვერვო საკითხების კომიტეტისადმი, აღნიშნულია, რომ აშშ-ის ერაყზე თავდასხმის შემთხვევაში ეს ალბათობა მკვეთრად გაიზრდება. ცსს-ის დირექტორი ჯორჯ ტენეტი, ამ წერილის მიუხედავდ ამტკიცებს, რომ მისი უწყების პოზიცია არ ეწინააღმდეგება პრეზიდენტ ბუშის განცხადებას, რომლის თა-


*ჰუსეინის მხარდამჭერი მიტინგი ბაღდადში*

ნახმად, ერაყს ნებისმიერ დღეს შეუძლია ტერორისტებს გადასცეს მასობრივი განადგურების იარაღი და განახორციელოს ტერორისტული აქტები ამერიკის ტერიტორიაზე. "ვაშინგტონ პოსტის" აზრით, ცსს-ს სენატის კომიტეტისადმი გაგზავნილი წერილი იძლევა ახალ არგუმენტებს, როგორც ბუშის პოლიტიკის მომხრეთა, ასევე მის მოწინააღდეგეგთა სასარგებლოდ.

# გერმანიის ფედერალური დაზვერვის სამსახური (ფდს)

Bundesnachrichtendienstes (BND)


*გერმანიის ფედერალური დაზვერვის სამსახურის შტაბ–ბინა*

***შექმნის თარიღი*** – 1956 წ
***შტაბ-ბინა*** - პულაჰი, მიუნხენი
***პირადი შემადგენლობა*** - 6 300
***პრეზიდენტი*** – დოქტორ აუგუსტ ჰანინგი

### ისტორია-გელენის ორგანიზაცია

გერმანიის ფედერალური დაზვერვის წინამორბედი სამსახური თავდაპირველად მოიხსენიებოდა, როგორც გელენის ორგანიზაცია.

გენერალ-მაიორი ***რეინჰარდ გელენი*** მესამე რეიხის სამხედრო დაზვერვის - "აბვერის" აღმოსავლეთ მიმართულების ძალებს მეთაურობდა. მისი კომპეტენციის სფეროს უშუალოდ სსრკ-ს წინააღმდეგ მიმართული ოპერაციების დაგეგმვა და განხორცილება წარმოადგენდა. 1945 წლის 22 მაისს გენერალ-მაიორი გელენი თავისი რაზმით აშშ-ს სამხედრო კონტრდაზვერვის ძალებს ჩაბარდა.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ აშშ-ს ადმინისტრაციამ გააცნობიერა, რომ ევროპის ტერიტორიაზე სსრკ-ს წინააღმდეგ არ გააჩნდათ არანაირი სადაზვერვო შესაძლებლობები. მათ გელენის და მისი ჯგუფის გამოყენება განიზრახეს და ეს ჩანაფიქრიც მალე სისრულეში მოიყვანეს. ამ დანაყოფს გელენის ორგანიზაცია ეწოდა.

იმ დროისათვის გელენის დაქვემდებარებაში 350-ზე მეტი მოქმედი აგენტი აღმოჩნდა. რეინჰარდ გელენი ევროპის ტერიტორიაზე აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს თვალი და ყური გახდა. მის უპირველეს ფუნქციად ევროპაში კომუნიზმის გავრცელების შეჩერება და კონტრზომების მიღება განისაზღვრა.

გელენის ორგანიზაციის შტაბ-ბინა ცენტრალურ გერმანიაში, სპესარტის მთებში მდებარეობდა. აშშ-ის ძალისხმევით და გელენის რეკომენდაციით ტყვეობიდან გათავისუფლდა ასობით გერმანელი ჯარისკაცი და ესესის ოფიცერი, რომლებიც დაუყოვნებლივ ჩაირიცხნენ გელენის ორგანიზაციაში. როდესაც ორგანიზაციის პირადმა შემადგელნობამ 3000-ს მიაღწია, გელენმა შტაბ-ბინა მიუნხენთან ახლოს, პულაჰის დასახლებაში გადაიტანა. ორგანიზაციის ფორმალური სახელწოდება იყო "სამხრეთ გერმანიის ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია."

50-იანი წლებისათვის გელენის ორგანიზაციაში 4000-მდე პროფესიონალი მზვერავი ირიცხებოდა. საბჭოთა ბლოკის ქვეყნებში კი უკვე მოქმედებდა ამაზე კიდევ უფრო მეტი აგენტი.

1948 წელს გელენის ორგანიზაციამ მჭიდრო კონტაქტები დაამყარა პოლონეთის ანტიკომუნისტურ იატაკქვეშა დაჯგუფებასთან, რომელიც მოქმედებდა კოდური სახელწოდებით-"გამარჯვება". ორგანიზაცია გელენის სტრუქტურის დახმარებით წარმართავდა ძირგამომთხრელ მუშაობას პოლონეთში არსებული საბჭოთა არმიის წინააღმდეგ და დასავლელ მოკავშირეებს სადაზვერვო ინფორმაციით ამარაგებდა. თუმცა ეს კავშირი შეწყდა, როდესაც 1952 წელს გელენის ორგანიზაციიდან პოლონეთის ტერიტორიაზე "გამარჯვების" დასახმარებლად გადასული ჯგუფი უკვალოდ გაუჩინარდა. პოლონეთის იატაკქვეშა ორგანიზაცისთან თანამშრომოლობა სარისკო გახდა. გელენის ორგანიზაციაში ჩათვალეს, რომ ჯგუფი საბჭოთა დაზვერვამ გაშიფრა. იმავე წელს პოლონეთის კომუნისტურმა მთავრობამ რადიოთი გადასცა ინფორმაცია იმის შეახხებ, რომ ჯგუფი "გამარჯვება" თავიდანვე საბჭოთა დაზვერვის მიერ იყო შექმნილი და დასავლეთის სპეცსამსახურების ანკესზე წამოგებას ისახავდა მიზნად. აღმოჩნდა, რომ ე.წ. იატაკქვეშა დაჯგუფების მიერ მოწოდებული ყველა ინფორმაცია სინამდვილეში დეზინფორმაციას წარმოადგენდა.

1956 წლის აპრილში გელენის ორგანოზაციას ეწოდა გერმანიის ფედერალური დაზვერვის სამსახური - **ფდს (BND)**. გელენი ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელად დარჩა 1968 წლამდე, როდესაც ის თანამდებობიდან გადადგა.

### საკანონმდებლო ბაზა

დღევანდელი ფედერალური დაზვერვის სამსახურზე კონტროლს გერმანიის პარლამენტის დაზვერვის საკითხების სპეციალური კომისია ახორციელებს. ფედერალური დაზვერვის სამსახურის ფუნქციონირება გასაზღვრულია დანაშაულთან ბრძოლის კანონით, რომელიც 1994 წელს მიიღეს. კანონი ფედერალურ დაზვერვას უფლებას აძლევს, განსაკუთრებული დანაშაულის არსებობის შემთხვევაში, აწარმოოს სატელეფონო მოსმენები. ეს დანაშაულები შეიძლება იყოს ნარკობიზნესი, იარაღით ვაჭრობა ან ტერორიზმი.

### ოპერაციები

ფედერალური დაზვერვის სამსახურის ინტერესის არეალში მსოფლიოში არსებული თითქმის ყველა ქვეყანა შედის. სამსახურის რეზიდენტურები მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში მოქმედებს. ფდს-ს რეზიდენტი გერმანიის საელჩოს მეორე პოლიტიკური ოფიცრის საფარით მოქმედებს. ფდს-ს ქვედანაყოფები და რეზიდენტურები სპეციალიზებულია შემდეგი სფეროების წინააღმდეგ მუშაობაზე: საერთაშორისო ნარკობიზნესი, ურანიუმით და პლუტონიუმით ვაჭრობა, ტერორისტული ორგანიზაციების შეიარაღება, არაკონვენციური იარაღის გავრცელება და საერთაშორისო სავაჭრო მაგისტრალების საფრთხეები.

ფდს რეგულარულად ახდენს სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლას გერმანიის სხვა სპეცსამსახურებთან და სამართალადმცავ სტრუქტურებთან. ამასთანავე ფდს ყოველდღიურად უგზავნის სადაზვერვო ინფორმაციას ცენტრალურ მთავრობას. გერმანიის ფედერალური დაზვერვა ევროპაში იარაღის კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ კოორდინატორადაც მოიაზრება. ფდს-ს აგენტები აქტიურად მოქმედებენ გერმანიაში და ევროპაში არსებული ისლამური ორგანიზაციების შიგნით, რითიც გერმანიის დაზვერვა საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხეების შემცირებას ცდილობს.

ანალიტიკოსები ფდს-ს ოპერაციებიდან ყველაზე მეტად შემდეგ ისტორიას გამოარჩევენ:

1994 წლის ზაფხულში სამმა პიროვნებამ მოსკოვიდან გერმანიაში 363 გრამი პლიტონიუმი ჩამოიტანა. ისინი მიუნხენის აეროპორტში ბავარიის მხარის პოლიციის თანამშრომლებმა დააპატიმრეს. როგორც შემდეგ გაირკვა, პოლიციამ ამით ხელი შეუშალა ფდს-ს საიდუმლო ოპერაციას, რომლის მიზანსაც ევროპაში პლუტონიუმით მოვაჭრე პირების გამოვლენა წარმოადგენდა. დაკავებული სამი პირიდან ორი ფდს-ს აგენტი აღმოჩნდა.

### სტრუქტურა

გერმანიის ფედერალური დაზვერვის სამსახური დაყოფილია შემდეგ დეპარტამენტებად:

***ოპერატიული დეპარტამენტი:*** მოიპოვებს სადაზვერვო ოპერატიულ ინფორმაციას და ახორციელებს აგენტების და რეზიდენტების კონტროლს; გეგმავს და ატარებს სპეცოპერაციებს.

***ტექნიკური მეთვალყურეობის დეპარტამენტი:*** ამ დანაყოფის კოდური სახელწოდებაა 2A. პულაჰის შტაბ-ბინის კომპლექსში ამ დეპარატამენტის შენობა მკაცრად გასაიდუმლოებულია. დეპარტამენტი პასუხისმგებელია საერთაშორისო ნარკობიზნესის და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაზე.

***ინტერპრეტაციების და ანალიზის დეპარტამენტი:*** ამ დანაყოფში მომუშავე დაახლოებით 750 ოფიცერი აგროვებს, აანალიზებს, ამუშავებს სადაზვერვო ინფორმაციას და აძლევს საბოლოო პროდუქტის სახეს.

***ადმინისტრაციული დეპარტამენტი:*** წარმართავს სამსახურის საკადრო, საფინანსო და ადმინისტრაციულ მუშაობას.

***უსაფრთხოების და თავდაცვის დეპარტამენტი:*** პასუხისმგებელია საკუთარი შემადგენლობის უსაფრთხოებაზე, ინფორმაციის, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის და ობიექტების დაცვაზე.

***ცენტრალური დავალებების დეპარტამენტი:*** ექვემდებარება უშუალოდ სამსახურის ხელმძღვანელს. ასრულებს ზესაიდუმლო ხასიათის ოპერატიულ დავალებებს.

### პირადი შემადგენლობა

ცივი ომის პერიოდში გერმანიის ფედერალური დაზვერვის სამსახურის თანამშრომელთა რიცხვი 7600 ოფიცერს აღწევდა. მათ შორის დაახლოებით 6000 პიროვნება პულაჰის ცენტრალურ შტაბ-ბინაში მუშაობდა, ხოლო 1500-მდე გერმანელი მზვერავი კი საზღვარგარეთ საქმიანობდა. ამჟამად ფედერალურ დაზვერვაში 6 300 თანამშრომელი მუშაობს. დაგეგმილია მათი შემცირება 4500-მდე. ფდს-ს თანამშრომელთა რაოდენობის ნახევარი სამოქალაქო პირია და ისინი დაზვერვაში კონტრაქტის საფუძველზე მუშაობენ.

აღსანიშნავია, რომ ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ გერმანიის ფედერალური დაზვერვის უწყებაში 750 თანამდებობა გაუქმდა.

### ხელმძღვანელი

გერმანიის ფედერალური დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელს პრეზიდენტი ეწოდება. 1998 წლის დეკემბრიდან ეს თანამდებობა დოქტორ გუსტავ ჰანინგს უკავია.

### ჰანინგის მოკლე ბიოგრაფია:


*დოქტორ გუსტავ ჰანინგი*

53 წლის, უპარტიო. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი. იგი გერმანიის კანცლერის ნდობით აღჭურვილ პირია. 2000 წლის 22-23 მარტს, სამ თანამშრომელთან ერთად, იმყოფებოდა ჩეჩნეთში, ქალაქ გუდერმესში. ფდს-ს ოფიციალური ვერსიის თანახმად, ამ ვიზიტის მიზანი იყო საერთაშორისო ტერორისტების წინააღმდეგ რუს კოლეგებთან თანამშრომლობის დაწყება.

### კონსტიტუციის დაცვის ფედერალური ბიურო (კდფბ)

წარმოადგენს გერმანიის შიდა უსაფრთხოების სამსახურს. ემორჩილება უშუალოდ შინაგან საქმეთა მინისტრს. ბიურო მეოცე საუკუნის 50-იან წლებში შეიქმნა. კონსტიტუციის დაცვის ფედერალური ბიუროს ხელმძღვანელს პრეზიდენტი ეწოდება. ეს თანამდებობა 2000 წლის ივნისიდან უკავია ***ჰეინც ფრომს.***

### ფუნქცია

შექმნისთანავე მიზნად ისახავს გერმანიაში დემოკრატიული წყობისათვის უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ბიურო აგროვებს ინფორმაციას ექსტრემისტული მიმართულებების დაჯგუფებებსა და პარტიებზე, მათ საქმიანობასა და გეგმებზე. ასევე უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აკისრია გერმანიის ტერიტორიაზე მოქმედი უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების საქმიანობის გამოვლენისა და მათი ნეიტრალიზაციის თვალსაზრისით. ბიურო აქტიურად იბრძვის გერმანიაში სამრეწველო ჯაშუშობის წინააღმდეგ.

თანამედროვე ეტაპზე კონსტიტუციის დაცვის ფედერალური ბიურო უმთავრეს ობიექტად და სამიზნედ ნაცისტურ და რადიკალურ დაჯგუფებებს განიხილავს, რადგან მათ გერმანიის კონსტიტუციური წყობის რეალურ საფრთხედ მიიჩნევს.

ყოველწლიურად მოგროვებული ინფორმაციის საფუძველზე ბიურო მთავრობას წარუდგენს გაწეული მუშაობის ანგარიშს კონსტიტუციის დაცვის სფეროში. ანგარიშს თან ერთვის დასკვნები და რეკომენდაციები.

### კონტროლი

ბიუროს საქმიანობა მკაცრად კონტროლდება პარლამენტის სპეციალური კომისიის მიერ. აღსანიშნავია, რომ გერმანული დემოკრატიის პირობებში შიდა უსაფრთხოების სამსახურის არსებობა სამოქალაქო და პიროვნების თავისუფლებისათვის მუქარად აღიქმება. ამდენად, ბუნდესტაგის სპეციალურ კომისიას სრული უფლება აქვს, მოითხოვოს კონსტიტუციის დაცვის ბიუროში არსებული ნებისმიერი საიდუმლო დოკუმენტი. როდესაც დგება სატელეფონო საუბრების ან სხვა კონსპირაციული ოპერაციების ჩატარების საკითხი, კომისიის წევრებს აქვთ ვეტოს უფლება. ბიუროს ბიუჯეტს დეტალურად განიხილავს და ამტკიცებს აღნიშნული კომისია

### ოპერაციები და ბრძოლა "შტაზის" არქივის წინააღმდეგ

მრავალი წლის მანძილზე ბიუროს ძირითად ამოცანას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის (გდრ) უშიშროების სამსახურის –-"შტაზის" წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა. უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ეს ბრძოლა შტაზის გამარჯვებით სრულდებოდა.

კონსტიტუციის დაცვის ფედერალური ბიუროს პირველი ხელმძღვანელი იყო *ოტო იონი*. ის 1954 წლის ივნისში ჩვენთვის უცნობი მიზნით აღმ. გერმანიაში გაემგზავრა. თუ ვის შეხვდა და რა თემაზე, არავინ იცის. ცნობილია მხოლოდ შედეგი - ბონში დაბრუნების შემდეგ ის მოღალატედ შერაცხეს და თანამდებობიდან გადააყენეს.

ასევე კრახით დასრულდა ბიუროს კიდევ ერთი ხელმძღვანელის – *გიუნტერ ნოლაუს* კარიერა. 1975 წელს, როდესაც კანცლერ ვილი ბრანდტის პირადი მდივანი გიუნტერ გიილომი "შტაზის" აგენტობაში ამხილეს, გამოაშკარავდა ისიც, რომ გიუნტერ ნოლაუ გდრ-ის სასარგებლოდ მუშაობდა.

ბერლინის კედლის და გდრ-ის დაცემის შემდეგ, კონსტიტიციის დაცვის ბიუროს აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო დაუპირისპირდა. ამ ორ უწყებას შორის დაპირისპირების მიზეზად იქცა "შტაზის" არქივები, რომელიც ცსს-ს ხელში აღმოჩნდა. გერმანელებმა ამერიკელებს აღნიშნული დოკუმენტები მოსთხოვეს. "შტაზის" არქივი შეიცავდა გდრ-ის უშიშროების სამსახურის "არაოფიციალურ თანამშრომელთა" ქსელს არასოციალისტურ ქვეყნებში. აქ იყო მაღალი დონის აგენტების ნამდვილი სახელები, მეტსახელები, მისამართები, ნაცნობთა წრე, ქონებრივი მდგომარეობა, ოჯახური ცნობები. შტაზის არქივი შეიცავდა საიდუმლო მასალებს ათასობით აგენტზე. გერმანელთა და ამერიკელთა ბრძოლა შტაზის არქივებისათვის 2000 წლამდე გაგრძელდა, როდესაც საბოლოოდ ცსს დათანხმდა, კონსტიტუციის დაცვის ბიუროსათვის გადაეცა ზესაიდუმლო დოკუმენტაცია - ლენგლიდან ბონში მოვიდა ოფიციალური წერილი, სადაც ითხოვდნენ, რომ ვაშინგტონში ჩასულიყო ბიუროს ოფიციალური წარმომადგენელი და მას "შტაზის" არქივს გაატანდნენ. კონსტიტუციის დაცვის ბიურომ ვაშინგტონში ერთ-ერთი განყოფილების ხელმძღვანელი ფორკ ფერენბერგი მიავლინა.მას ლენგლიში გადასცეს საარქივო მასალების არა ორიგინალები, არამედ ასლები - სულ 2000-მდე პირის შესახებ. მალე აღმოჩნდა, რომ ეს გერმანელებისათვის გადაცემული არქივი ყალბი იყო. დოკუმენტებში "კარიკატურული აგენტები" ანუ არარეალური პირები იყვნენ მოხსენიებულები.რამდენიმე წლის შემდეგ კონსტიტუციის დაცვის ბიუროს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა საჯაროდ განაცხადა: **"ამ სიით ამერიკელებმა ძვალი გადმოგვიგდეს,რომელსაც ჩვენ დიდხანს გულმოდგინედ ვღრღნიდით."** ამდენად, ლეგენდარული ორგანიზაციის "შტაზის" საიდუმლო არქივის მფლობელები ამჟამად ამერიკელები არიან.სავარაუდოა, რომ "შტაზის" ყოფილი აგენტები დღეს უკვე ცსს-თვის მუშაობენ.

### ოპერაცია რუსეთის დაზვერვის წინააღმდეგ

1999 წლის 8 აგვისტოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გენერალურმა პროკურატურამ ორი გერმანელი მოქალაქის დაპატიმრების შესახებ გაავრცელა ინფორმაცია. პროკურატურის ცნობის მიხედვით, ისინი რუსეთის სასარგებლოდ საჯაშუშო საქმიანობაში იყვნენ ეჭვმიტანილები. გენერალური პროკურატურის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ევა შუბელმა განაცხადა, რომ კონსტიტუციის დაცვის ბიურომ დააკავა კომპანია "ლენკფულგკერპერ–ზიუზტემის" 52 წლის ინჟინერი და მისი 39 წლის თანაშემწე, რომლებიც რუსეთის დაზვერვას საიდუმლო დოკუმენტებს აწვდიდნენ. მიუნხენში გამომავალი ჟურნალის "ფოკუსის" მონაცემებით, გერმანელები რუსეთის დაზვერვის სამსახურს აწვდიდნენ საიდუმლო მონაცემებს სარაკეტო ტექნოლოგიების შესახებ, რომელიც ზეთანამედროვე გამანადგურებელ "ევროფაიტერ–2000"-ის წარმოებისათვის გამოიყენება.

### ქრონიკა

2001 წლის 10 მარტს გაკეთდა განაცხადი, რომ გერმანიის კონსტიტუციის დაცვის ბიუროში აღმოჩენილია ახალი მაკომპრომეტირებელი მონაცემები, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის იოშკა ფიშერის სამხედრო მემარცხენეულ წარსულზე.ამას იტყობინება გერმანული ჟურნალი "FOCUS ONLAIN". გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ კლაუს ჰენინგ შაპერმა და გერმანიის კონსტიტუციის დაცვის ბიუროს პრეზიდენტმა ჰაინც ფრომმა გერმანიის ბუნდესტაგის მაკონტროლებელ საბჭოს ყრილობაზე ეს ინფორმაცია დაადასტურეს. წესით, დოსიე ფიშერზე დიდი ხნის წინ უნდა ყოფილიყო განადგურებული, მაგრამ ის შეინახეს და ახლაც შეუძლიათ მისთვის ზიანის მიყენება. აღმოჩენილ მონაცემებში ინახება ინფორმაცია რადიკალურ "გამშენდ ჯგუფებზე", რომლის წევრებიც პოლიციელებს თავს ესხმოდნენ და სცემდნენ. "ერთ-ერთი ასეთ ჯგუფის წევრი იყო იოსკა ფიშერიც", - წერს ჟურნალი " FOCUS ONLAIN".

### კდფბ რუსი ჯაშუშების წინააღმდეგ

გერმანიის კდფბ-მ ა.წ. 29 მარტს გამოაქვეყნა ყოველწლიური ანგარიში, სადაც მთავარი აქცენტი გაკეთებული იყო გერმანიაში დიპლომატიური სტატუსით მყოფი რუსი მზვერავების რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდაზე. უწყების განაცხადის თანახმად, რუსეთმა გერმანია-

ში გაზარდა სადაზვერვო ოპერაციების რაოდენობა, რამაც რუსეთის ოფიციალურ წარმომადგენელთა რიცხვობრივი ზრდაც გამოიწვია. გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრის ოტო შილის ანგარიშის მიხედვით, მოსკოვის სადაზვერვო საქმიანობის მასშტაბები მკვეთრად გაიზარდა ხელისუფლებაში ვლადიმერ პუტინის მოსვლის შემდეგ. შილმა ხაზი გაუსვა, რომ გერმანიაში მომუშავე რუს სპეცაგენტთა რიცხვობრივი ზრდა კდფბ-ს სერიოზულ შეშფოთებას იწვევს.


შტაზის შტაბბინა

## გდრ-ს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო -"შტაზი"

*როდესაც გერმანიის სპეცსამსახურებზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს "ცივი ომის" პერიოდის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უშიშროების უწყება –- "შტაზი." ეს უწყება დღეს უკვე ისტორიის კუთვნილებაა, მაგრამ მისმა ნახევარსაუკუნოვანმა არსებობამ, შეიძლება ითქვას, გერმანელი ერის მენტალიტეტსა და ცნობიერებაზე არანაკლები უარყოფითი გავლენა მოახდინა, ვიდრე მესამე რაიხის გესტაპომ ან ესესმა. "შტაზი", მსოფლიოს სადაზვერვო ორგანიზაციებს შორის, პირველ ადგილზე იყო და რჩება აგენტების რეკორდული რაოდენობის მიხედვით. "შტაზი" ისეთ ჰიბრიდად იქცა,რომლის არსებობამაც, ბოლო პერიოდში, თავად მისი "მშობელი" - სსრკ-ს უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელობაც კი დააფიქრა. მაშ ასე, მკითხველის წინაშეა ლეგენდად ქცეული სპეცსასამხური- "შტაზი."*

გდრ-ს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ჩამოყალიბების თარიღად მიღებულია 1947 წლის 16 აგვისტო, როდესაც საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციამ შექმნა პირველი გერმანული პოლიტიკური პოლიცია -მეხუთე კომისარიატი" ანუ კ-5. მის ხელმძღვანელად დაინიშნა ***ვილჰელმ ცაისერი***, მოადგილედ კი ***ერიხ მილკე***. ფორმალურად კ-5 სახალხო პოლიციის სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებას ემორჩილებოდა. ეს მასკარადი აუცილებელი იყო, რადგან მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოკავშირეთა მიერ შექმნილი საკონტროლო კომისიის წესები კრძალავდნენ გერმანული პოლიტიკური პოლიციის აღორძინებას.

იმავდროულად ერიხ მილკე გერმანიის ეკონომიკურ კომისიას მეთაურობდა. ამ სახელწოდებით ინილბებოდა საიდუმლო ორგანიზაცია, რომელსაც ჩამორთმეული საკუთრების ბოროტად გამოყენებისგან და საბოტაჟისგან დაცვა, ასევე ეკონომიკური დანაშაულებების გახსნა ევალებოდა.

1949 წლის 7 ოქტომბერს შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. 1950 წელს შეიქმნა სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო, გერმანულად **"შტაატსზიხერხაიტ "** (აქედან "შტაზი").

ახალი სამინისტროს შტატი მთლიანად კ-5-ის და გერმანული ეკონომიკური კომისიის თანამშრომლებით დაკომპლექტდა. მინისტრად ცაისერი დაინიშნა, მოადგილედ - მილკე. შტაზის სტრუქტურა საბჭოთა უშიშროების სტრუქტურას იმეორებდა - სამი ძირითადი განყოფილებით: კონტრდაზვერვა, დივერსიები და ძირგამომთხრელი საქმიანობა.

1953 წელს, გერმანიის სოციალისტური პარტიის ყრილობაზე, გერმანელი მუშების აჯანყების მიზეზთა განხილვის დროს, მილკემ თავის შეფს "შტაზის" უუნარო მართვაში და დასავლეთ გერმანიისკენ სწრაფვაში დასდო ბრალი. ცაისერი თანამდებობიდან გაათავისუფლეს, გამოიყვანეს პოლიტბიუროს და ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან და გარიცხეს პარტიიდან. "შტაზის" სტატუსი ჩამოაქვეითეს და ის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუმორჩილეს. სახელმწიფო უშიშროების ახალ ხელმძღვანელად დაინიშნა *ერნსტ ვოლვებერი*, მილკე კვლავ მოადგილედ დარჩა.

## ერიხ მილკე გდრ-ის უშიშროების სამინისტროს შეუცვლელი შეფი

1955 წელს "შტაზის" კვლავ უშიშროების სამინისტროს სტატუსი აღუდგინეს ხოლო ერიხ მილკეს სახელმწიფო მდივნის წოდება მიენიჭა.

მოგვიანებით მილკე ვოლვებერს დაუპირისპირდა და მას ძირგამომთხრელ იდეოლოგიურ საქმინობაში დასდო ბრალი. 1957 წლის 1 ნოემბერს ერნესტ ვოლვებერი "ჯანმრთელობის გაუარესების" მიზეზით თანამდებობიდან გადადგა. იმავე დღეს უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელად ერიხ მილკე დაინიშნა. სამინისტროში მკვეთრი გარდაქმნების ხანა დაიწყო.

უშიშროების სამინისტროში სამხედრო წოდებები შემოიღეს. მილკეს გენერალ-მაიორის ჩინი მიენიჭა.ამ წოდებას ის 1959 წლამდე ატარებდა,ვიდრე გენერალ-ლეიტენანტი გახდებოდა.

1958 წელს გდრ-ის უშიშროების სამინისტროში შეიქმნა ახალი მთავარი სამმართველო კოდური სახელწოდებით – A, იგივე საგარეო დაზვერვის სამმართველო. ამ ახალი სტრუქტურის ხელმძღვანელად და ავტომატურად, უშიშროების მინისტრის მოადგილედ დაინიშნა ***მარკუს ვოლფი,*** რომელსაც გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა.

ვოლფის უწყების მთავარ ამოცანად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპეცსასამსახურების წინააღმდეგ ბრძოლა განისაზღვრა. უნდა აღინიშნოს, რომ საგარეო დაზვერვის სამსახური გდრ-ში მანამდეც არსებობდა, ოღონდ ის სამეცნიერო-ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტის სახელით მოქმედებდა. 1953 წელს აღნიშნული ინსტიტუტი უშიშროების სამინისტროს დაქვემდებარებაში შევიდა.

დაზვერვის სამმართველოს პარალელურად უშიშროების სამინისტროში შეიქმნა მეორე მთავარი სამმართველო, რომელსაც კონტრდაზვერვის ფუნქცია მიენიჭა. ამ უწყებას სათავეში ჩაუდგა *გიუნტერ კრატჩი*.

1961 წლის 13 აგვისტოს ორ გერმანიას შორის გამყოფ ხაზად ბერლინის კედელი აღიმართა. საშტატო ერთეულები საგრძნობლად გაიზარდა.

1971 წელს "შტაზის" ხელშეწყობით გდრ-ის მმართველობას ჩამოაშორეს ულბრიხტი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პირი ერიხ ჰონეკერი გახდა. მადლობის ნიშნად ერიხ მილკე გდრ-ის სოციალისტური პარტიის პოლიტბიუროში გაწევრიანდა წევრი გახდა.

1974 წლის 24 აპრილს ორივე გერმანია სენსაციურმა ცნობამ მოიცვა. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში "შტაზის" მაღალი რანგის აგენტი - – *გიუნტერ გიიომი* გამოააშკარავეს, რომელიც გფრ-ს კანცლერის ვილი ბრანდტის თანაშემწედ მუშაობდა. სკანდალი ისეთი მასშტაბის იყო, რომ ამ ამბიდან თორმეტ დღეში თანამდებობა თავად ვილი ბრანდტმა დატოვა.

1978 წლის მარტში სსრკ-ს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ იური ანდროპოვმა და გდრ-ის სახელმწფო უშიშროების მინისტრმა ერიხ მილკემ ხელი მოაწერეს ოფიციალურ შეთანხმებას ორი უწყების თანამშრომლობის შესახებ. 1982 წლის 10 სექტემბერს ამ ორ უწყებას შორის მორიგ შეთანხმებას მოეწერა ხელი. ამჯერად სსრკ-ს უშიშროების მინისტრი ფიოდორჩუკი იყო. ამ შეთანხმების თანახმად, "შტაზი" თავის თავზე იღებდა გდრ-ში სსრკ-ს უშიშროების კომიტეტის რეზიდენტურის ტექნიკურ უზრუნველყოფას. უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროისათვის გდრ-ს სუკის რეზიდენტურაში 2500 თანამშრომელი ირიცხებოდა. რეზიდენტურის შტაბ-ბინა კარლსჰორსტში იყო განთავსებული.

1986 წელს დაკავებული თანამდებობიდან გადადგა მარკუს ვოლფი. მასზე უკვე საუბრობდნენ, როგორც "დაზვერვის დისიდენტზე." მისი პირველი წიგნი - "სამეული" შეულამაზებლად აღწერდა სტალინის დროინდელ მოსკოვში გატარებულ ემიგრანტულ წლებს. თავდაპირველად წიგნი დასავლეთში გამოიცა, ხოლო შემდეგ გდრ-ში. 90-იანი წლების დასაწყისში, ანუ გდრ-ის გაუქმების შემდეგ, მარკუს ვოლფი რამდენჯერმე ეწვია მოსკოვს, რათა რუსი კოლეგების მფარველობა მოეპოვებინა. არსებობს ცნობები იმის თაობაზე, თითქოს მას მოსკოვში სამუდამოდ დარჩენაც სურდა, მაგრამ სსრკ-ს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან, ლეონიდ შებარშინთან საუბრის შემდეგ, ვოლფი მიხვდა, რომ ეს არც ისე ადვილი იყო. **"იცი, მიშა, აქ ძალზედ რთული ვითარება გვაქვს. ასე რომ ჩვენ გაგვიჭირდება სიტუაციის კონტროლი და შენი დახმარება. შენივე თავის იმედად მოგიწევს ყოფნა, - "** განუცხადა შებარშინმა ვოლფს. პრაქტიკულად, ვოლფს სსრკ-ს დატოვება მოსთხოვეს.

"შტაზში"ვოლფის მემკვიდრე ***ვერნერ გროსმანი*** გახდა.

1989 წლის ნოემბერში ბერლინის კედელი დაეცა. "შტაზმა"არსებობა შეწყვიტა.

## "შტაზის" აგენტები

### იოაჰიმ ტიდგე

1985 წლის 15 აგვისტოს ბონიდან უკვალოდ გაუჩინარდა გფრ-ს კონსტიტუციის დაცვის ფედერალური ბიუროს ხელმძღვანელი, 48 წლის ჰანს იოაჰიმ ტიდგე. უკვე 19 აგვისტოს ტიდგემ აღმოსავლეთ ბერლინში პრეს-კონფერენცია გამართა, სადაც განაცხადა, რომ ის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ახალ ცხოვრებას იწყებდა. მოგვიანებით ტიდგემ ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე - "გფრ-ს კონსტიტუციის დაცვის ფედერალური კონტრდაზვერვითი ფუნქციები." მან დეტალურად აღწერა თავისი ყოფილი ბიუროს უწყების ოპერატიულ-ანალიტიკურისაქმიანობა,ელექტრონული მეთვალყურეობების ჩათვლით. 1989 წელს ტიდგე სსრკ-ში გადავიდა სამუდამოდ დასარჩენად.

### ცოლ-ქმარი გიიომები

"შტაზის" ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ მზვერავებად ცოლ-ქმარი *გიუნტერ* და *კრისტელ გიიომები* ითვლებიან. მათ 1956 წელს, როგორც ლტოლვილებმა, დატოვეს გდრ და გფრ-ში გადავიდნენ. 1970 წლის 28 იანვარს გიუნტერ გიიომმა გფრ-ს ფედერალური კანცლერის აპარატში დაიწყო მუშაობა. 1972 წელს გიიომი ფედერალური კანცლერის ვილი ბრანდტის თანაშემწე გახდა. ამ მომენტიდან გფრ-ს სახელმწიფო მეთაურის ყველა ნაბიჯი თუ ჩანაფიქრი მომენტალურად ცნობილი ხდებოდა "შტაზისთვის". 1973 წლის 24 მაისს დასავლეთ გერმანიის კონტრდაზვერვის სამსახურის (კონსტიტუციის დაცვის ფედერალური ბიურო) ხელმძღვანელს, ნოლაუს (ასევე "შტაზის" ინფორმატორი, იხ. ზემოთ კონსტიტუციის დაცვის ფედერალური ბიურო) წარუდგინეს მოხსენება იმის თაობაზე, რომ გიიომი, შესაძლოა, "შტაზის" აგენტი ყოფილიყო. დასავლეთ გერმანიის კონტრადზვერვამ შეძლო "შტაზიდან" გიიომის სახელზე მოსული რადიოგრამების გაშიფვრა, სადაც ადრესატი მოიხსენიებოდა, "გეორგის" მეტსახელით. გფრ-ს კონტრდაზვერვა ეჭვობდა, რომ აგენტი "გეორგი" სწორედ კანცლერის ერთ-ერთი უახლოესი თანაშემწე - გიიომი იყო. თუმცა, ამის დამადასტურებელი ფაქტები არ არსებობდა. გიიომზე კონტრდაზვერვის მკაცრი მეთვალყურეობა დააწესეს. მაგრამ ამას გამოცდილი მზვერავისათვის ხელი არ შეუშლია "შტაზიდან" წარმოგზავნილ მეკავშირეებს 11 თვის განმავლობაში, კონსპირაციის სრული დაცვით, რამდენიმეჯერ შეხვედროდა, ისე რომ ეს მეთვალყურეთათვის შეუმჩნევლად დარჩენილიყო. მაგრამ საბოლოოდ სწორედ მისი ერთ-ერთი შეხვედრა გახდა გიიომის საჯაშუშო საქმიანობის დასრულების მიზეზი.

1974 წელს, 24 აპრილს დილის 6.30-ზე აგენტი გიიომი დააპატიმრეს. ბრალდების უარყოფას აზრი უკვე აღარ ჰქონდა. მის წასაყვანად მოსულ კონტრდზვერვის თანამშრომლებს გიიომმა განუცხადა: **"მე გდრ-ის უშიშროების სამინისტროს ოფიცერი ვარ. გთხოვთ, პატივი სცეთ ჩემს ოფიცრის ღირსებას."** იმავე დილით, გიიომის აგენტობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს თავად ვილი ბრანდტს, რომელიც რამდენიმე დღეში გადადგა. 1975 წლის 15 დეკემბერს გიუნტერ გიომს 13 წლით, ხოლო მის მეუღლეს 8 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. თუმცა, გიიომი 1981 წლის დეკემბერში გაათავისუფლეს და "შტაზის" მიერ დაპატიმრებულ 8 დასავლელ გერმანელ აგენტში გაცვალეს. ცოტა ხნით ადრე კი მისი მეუღლე გფრ-ის 6 აგენტში იქნა გაცვლილი. პენსიაზე გასვლამდე გიუნტერ გიიომი "შტაზის" სადაზვერვო სკოლაში ასწავლიდა. ის 1995 წელს ინფარქტით გარდაიცვალა.

## ვითარება "შტაზის" "გარდაცვალების" შემდეგ

1990 წელს, გერმანიის გაერთიანებისთანავე, "შტაზმა" არსებობა შეწყვიტა. "შტაზის დოსიეების" გამო აშშ-ს და გფრ-ის სპეცსამსახურთა შორის დაუნდობელი ბრძოლა დაიწყო. ეს იყო უზარმაზარი მოცულობის კარტოთეკა, რომლის დოკუმენტთა გრაფაშიც "წყარო" დაფიქსირებულია აგენტთა სარეგისტრაციო ნომრებით და ნამდვილი გვარებით, ხოლო გრაფაში "ტექსტი" მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის მოკლე რეზიუმე და თარიღია მითითებული. აღსანიშნავია, რომ გერმანიაში, ბერლინის კედლის ნგრევის დაწყებისთანავე, "შტაზის" თანამშრომლებმა არქივის გარკვეული ნაწილის დაწვა მოახერხეს, თუმცა განადგურებულ დოკუმენტებში მარკუს ვოლფის უწყების - საგარეო დაზვერვის სამმართველოს ერთი ფურცელიც კი არ ერია.

მოგვიანებით, "შტაზის" არქივი აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ხელში აღმოჩნდა. უფრო მოგვიანებით კი ცნობილი გახდა, რომ ცსს-ს მიერ არქივის მოსაპოვებლად ჩატარებული ზესაიდუმლო ოპერაციის "ვარდისფერი ხის" შედეგად, ამერიკელებმა დაუდგენელი პირებისგან აღნიშნული არქივი რამდენიმე მილიონ აშშ დოლარად შეიძინეს. ზემოთ უკვე ვისაუბრეთ თუ რა შედეგით დასრულდა ორი ქვეყნის სპეცსამსახურებს შორის ბრძოლა"შტაზის" არქივების მოსაპოვებლად.

2002 წლის 2 იანვარს ინტერნეტში გერმანულ საიტზე გამოქვეყნდა "შტაზის" 100 ათასამდე აგენტის სია. საიტზე განთავსებული იყო არამარტო აგენტთა სახელები, არამედ მათი მეტსახელებიც და ყოველთვიური ჰონორარებიც. გფრ-ს სპეცსამსახურებს დღესაც არ შეუძლიათ ახსნან, თუ როგორ მოხვდა ესოდენ ზესაიდუმლო დოკუმენტები საიტზე. გერმანელთა მცდელობის შედეგად ინტერნეტში აღნიშნული ვებ–გვერდი გაუქმდა.

"შტაზის" არქივების გარდა, საკმაოდ საინტერესოა თუ როგორ წარიმართა თავად ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბედი.

ერიხ მილკე 1992 წელს ერიხ ჰონეკერთან ერთად სასამართლის წინაშე წარსდგა, მაგრამ ასაკის და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ის არ დააპატიმრეს. თუმცა, 1993 წელს მილკე მაინც გაასამართლეს ექვსი წლით-1931 წელს ორი პოლიციელის მკვლელობის გამო. სასჯელის 2/3 - ის მოხდის შემდეგ მილკე ციხიდან გამოვიდა და პენსიონერი გახდა. მას, როგორც წინააღმდეგობის მოძრაობის ვეტერანს და ნაციზმის მსხვერპლს საკმაოდ მაღალი პენსია ჰქონდა - (DM1000-$456). მან ვერ მოახერხა ბანკში თავის ანგარიშიდან თანხის გამოტანა, სადაც მას შენახული ჰქონდა DM380.000 (180.000$). ამ თანხას ის "შტაზის" ხელმძღვანელად ყოფნის დროს აგროვებდა. მისი საბანკო ანგარიში გაყინული აღმოჩნდა. ერიხ მილკე - აღმოსავლეთ გერმანიის იერარქიით N2 ადამიანი, სიცოცხლის ბოლო წლებში მეუღლე გერტრუდასთან ერთად ბერლინში, მოკრძალებულ ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდა. 2000 წელს 93 წლის ასაკში ერიხ მილკე გარდაიცვალა. ის დაკრძალეს 10 ივნისს ბერლინის სასაფლაოზე, სადაც დაკრძალულია, ყველა გერმანელი გამოჩენილი სოციალისტური მოღვაწე.

## მარკუს ვოლფი-ადამიანი სახის გარეშე

რაც შეეხება "შტაზის" ხელმძღვანელის მოადგილის და გდრ-ის დაზვერვის შეფის - მარკუს ვოლფის ბედს, ის გერმანიის გაერთიანების შემდეგ სამჯერ წარსდგა სასამართლოს წინაშე და სამჯერვე გაამართლეს. საბოლოოდ 75 წლის ასაკში ის მოსკოვში ჩავიდა. მისი მეტსახელი იყო **"ადამიანი სახის გარეშე,"** რადგან "შტაზის" არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე არავინ იცოდა მისი გარეგნობა, მისი ფოტოგრაფია არსად იყო გამოქვეყნებული. მას ხშირად გფრ-ის დაზვერვის პირველ შეფს გერჰარდ გელენსაც ადარებდნენ, რადგან დღემდე არავინ იცის თუ როგორ გამოიყურებოდა გერჰარდ გელენი. თუმცა გერმანიის გაერთიანების შემდეგ, საზოგადოებას პირველად მიეცა შესაძლებლობა ენახა თუ როგორ გამოიყურებოდა მარკუს ვოლფი.

1998 წლის 7 მაისს, გაზეთმა "მოსკოვსკი კომსომოლეცმა" გამოაქვეყნა ინტერვიუ **მარკუს ვოლფთან**. მკითხველისათვის ალბათ საინტერესო იქნება ამ ინტერვიუდან რამდენიმე ფრაგმენტის გაცნობა.

- მსოფლიოს დაზვერვის სამსახურების იერარქიული კიბის აგების შემთხვევაში, როგორ ფიქრობთ, რომელ ადგილზე აღმოჩნდებოდა "შტაზი"?

**- მე ძალზედ მიჭირს 1986 წელს სამსახურიდან ჩემი წამოსვლის შემდეგ, შესაბამისობაში მოვიყვანო ყველა არსებული მონაცემი, მაგრამ სამუშაოს მოცულობის და აგენტურის რაოდენობის მიხედვით, "შტაზი" მსოფლიოში ერთ–ერთ პირველ ადგილზე იყო, თუ არა პირველზე.**

- არ თვლიდით თავს გერმანიიდან მოკვეთილად, განსაკუთრებით მაშინ როცა თქვენს წინააღმდეგ სასამართლო პროცესები ეწყობოდა?

**- არა. 1993 წელს პირველი სასამართლოს დროს და შემდეგაც ჩემს მიმართ საზოგადოების მხრიდან ორმაგ დამოკიდებულებას ვგრძნობდი. ხალხი ქუჩაში მცნობდა, რადგან ჩემი ფოტოები ქვეყნდებოდა გაზეთებში, მხედავდნენ ტელევიზიით, მე ხომ უკვე აღარ ვიყავი "ადამიანი სახის გარეშე." მხვდებოდნენ და მიღიმოდნენ, მესალმებოდნენ, ხელს მართმევდნენ. მაგრამ აი, გაზეთებში და პოლიტიკურ წრეებში ჩემს მიმართ საწინააღმდეგო რეაქცია დუღდა.**


მარკუს ვოლფი

- არ შემოუთავაზებიათ თქვენთვის თანამშრომლობა დასავლეთ გერმანიის დაზვერვასთან?

**- ასეთი მცდელობები იყო, როგორც ჩემს მიმართ ასევე "შტაზის" სხვა ოფიცრების მიმართაც. ზოგიერთი დთანხმდა, რომ თავიანთი შესაძლებლობები გფრ-ს დაზვერვაში გამოეყენებინათ.მე მათ მოღალატეებად ვთვლი.**

-ცნობილია თუ არა თქვენთვის თქვენი სამსახურის ღირებული აგენტების შემდგომი ბედი?

**- ჩემთვის ცნობილია აგენტების უმრავლესობის ბედი, რომელთა ცხოვრებაზეც ჩვენი სახელმწიფოს და სისტემის დანგრევამ უარყოფითად იმოქმედა. მათ წინააღმდეგ დაიწყო რეპრესიები და ისინი "შტაზის" ყოფილი ოფიცრების ღალატის მსხვერპლად იქცნენ. ერთ–ერთი ასეთი იყო, რაინერ რუპი, ჩვენი აგენტი ნატო-ს შტაბბინაში, ფსევდონიმით "ტოპაზი". ის გაასამართლეს და 12 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. მე ვცდილობ ის მუდმივად გავამხნევო ხოლმე წერილებით და რამდენიმე ხნის წინ მოვინახულე კიდეც საარბრიუკენის ციხეში. ასევე მაღელვებს ჩვენი აგენტის, თურქეთის მოქალაქის ჰუსეინ ილდრინის ბედი. ჩვენთან მისი ფსევდონიმი იყო "ბლიცი". მისი საშუალებით ჩვენ ვიღებდით ძალზედ საჭირო ინფორმაციას ელექტრონული ჯაშუშობის შესახებ. მას ახლა სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი. ადრე ჩვენ შევძლებდით, რომ ის ჩვენს მიერ დაპატიმრებულ ამერიკელ აგენტებზე გაგვეცვალა. ასეთი ხომ ბევრი გვყავდა.**

- მართალია თუ არა, რომ რომ "შტაზის" ბაზაზე ჰამასის და პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის ტერორისტები გადიოდნენ მომზადებას?

**- მართალია. მაგრამ უნდა განვასხვავოთ მომზადების ტიპები. "შტაზის"პალესტინის უშიშროების სამსახურთან ახლო კონტაქტები გააჩნდა. ჰონეკერს და არაფატს შორის ამის შესახებ შეთანხმება არსებობდა. ამ შეთანხმების თანახმად, ჩვენ პალესტინელებს ვამზადებდით დაზვერვის და კოტრდაზვერვის საკითხებში. ვასწავლიდით იარაღის ხმარებას.**

-თქვენ ამბობდიოთ, რომ "შტაზის" არ ჰყავდა თავისი მატა ჰარი, მაგრამ ჰყავდა ბევრიო "რომეო..."

**- ჩვენ არასრდოს ვხმარობდით ტერმინს "რომეო." ეს ჩვენ მოგვაწერეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა. ჩვენ შემუშავებული გვქონდა შემდეგი პრაქტიკა: დასავლეთში ვაგზავნიდით ძირითადად ახალგაზრდა მამაკაცებს. მამაკაცი მარტო ვერ იცხოვრებს. ჩვენ მათ ვეუბნებოდით: "თუ შეარჩევ ქალს ერთობლივი ცხოვრებისათვის, ყურადღებით მიმოიხედე. არ შეარჩიო არც ტრამვაის კონდუქტორი და არც პარიკმახერი. არამედ შეარჩიე მდივნებიდან. ისინი ბევრნი არიან და ლამაზები." რამდენიმეჯერ ამან იმუშავა. არც ისე რთული აღმოჩნდა ქალის აგენტად დანერგვა სამინისტროებში, თვით დაზვერვის და კონტრდაზვერვის უწყებებში.**

## როგორ ვერ შეძლეს ცსს-მ და გფბ-მ 11 სექტემბრის ტერაქტის აღკვეთა

გავლენიანი ამერიკული გაზეთის "ვაშინგტონ თაიმსის" პუბლიცისტმა და კორესპონდენტმა ბილ ჰერცმა 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგედიის შესახებ სენსაციური მასალებით აღსავსე წიგნი გამოსცა. აქ დეტალურად არის აღწერილი ის სერიოზული შეცდომები, რომელიც აშშ-ის ლეგენდარული სპეცსამსახურების მიერ იქნა დაშვებული. ავტორმა ჩვენთვის გაურკვეველი საშუალებებით ცსს-ს და გფბ-ს მკაცრად გასაიდუმლოებული დოკუმენტების და ეროვნული უსაფრთხოების სამსახურის შიდა საკორესპონდენციო მასალების მოპოვება შეძლო. ამ დოკუმენტების საფუძველზე კი ჟურნალისტმა საკმაოდ სენსაციური წიგნის დაწერა მოახერხა და მკითხველს აშშ-ის სპეცსამსახურების ის ნაკლოვანი მხარეები აჩვენა, რამაც დიდი როლი ითამაშა დაზვერვის და კონტრდაზვრევის მიერ ანტიტერორისტული საქმიანობის ჩავარდნაში. წიგნში მოყვანილია აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის სატელეფონო საუბრის შინაარსი ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს და გამოძიების ფედერალური ბიუროს მაღალჩინოსნებთან 11 სექტემრის ტრაგედიამდე რამდენიმე დღით ადრე. ბილ ჰერცი წიგნის ბოლოს აკეთებს დასკვნას, რომ ვერცერთმა სპეცსამსახურმა ვერ შეძლო მიღებული ინფორმაციების ფაქტებით გამყარება და შესაძლო შედეგების გათვალისწინება, რის ლოგიკურ შედეგადაც 11 სექტემბრის სისხლიანი და დრამატული მოვლენები იქცა. წიგნში ასევე აღწერილია აშშ-ის სპეცსამსახურების ანალიტიკოსთა ნაკლოვანებები და აღნიშნულია, რომ მოსალოდნელი ტერაქტი სწორედ ანალიტიკოსებს უნდა ევარაუდათ. (უნდა ითქვას, რომ 11 სექტემბრის შემდეგ, ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში დაწყებული რეფორმები პირველ რიგში სწორედ ანალიტიკური დეპარატმენტის გადახალისებას ითვალისწინებდა. ლ.ღ.)



გფბ–ს დირექტორი მიულერი და ცსს–ს დირექტორი ტენეტი

აღნიშნულ წიგნთან დაკავშირებით, ბუშის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა განაცხადა: **"ნუთუ ჩვენ გვჭირდება მაღაზიების თაროებზე ისეთი წიგნის გამოჩენა, რომელიც ჩვენს სისუსტეს ამტკიცებს?"**

## პაკისტანის პოლიციამ ინდოეთის ჯაშუში დააპატიმრა

პაკისტანის პოლიციამ პაკისტანის მოქალქე 29 წლის პიროვნება ბიჯალომ რამჯი დააპატიმრა. მან აღიარა, რომ ის ინდოეთის დაზვერვამ გადმოიბირა და საკუთარ ქვეყანაში დივერსიების მოწყობა დაავალა. რამჯის განცხადებით, მან 1999 წლის 20 ნოემბერს ლახორში ტერაქტი განახორციელა და ბომბი ააფეთქა, რის შედეგადაც შვიდი ადამიანი დაიღუპა. რამჯი კიდევ ერთი ტერაქტის მოწყობას გეგმავდა, ამჯერად უკვე 2000 წლის აპრილში. მას პეშავარის რკინიგზის სადგური უნდა აეფეთქებინა, მაგრამ ბომბმა არ იმუშავა.

რამჯი ყარაჩიში დააპატიმრეს, სადაც ის სამხედრო–ტექნიკური კომპლექსის გამოფენაზე იღებდა სურათებს. დივერსანტის მტკიცებით, მან ინდოეთში სპეციალური მომზადების დაჩქარებული კურსი გაიარა. მან პაკისტანის სამართალდამცავებს განუცხადა, რომ იძულებული გახდა ინდოეთის დაზვერვასთან თანამშრომლობაზე დათანხმებულიყო, რადგან ინდოელები მას ოჯახის წევრების მოკვლით ემუქრებოდნენ.

რამჯის გარდა, პაკისტანის კონტრდაზვერვის სამსახურმა, ქვეყნის საზღვრის გადმოკვეთის დროს, დააკავა ინდიოეთის მოქალაქე ჩარან სინგხი. ამ უკანასკნელმა აღიარა, რომ ის ინდოეთის დაზვერვის დავალებით გადმოვიდა პაკსიტანში და მას პაკისტანში ახლახანს ჩატარებული არჩევნების ჩაშლის მიზნით, ტერორისტული აქტების სერია უნდა განეხორციელებინა. ორივე დამნაშავის დაკითხვას პაკისტანის სამხედრო კონტრდაზვერვის უწყება აწარმოებს.

## რა მიზნით მოიტაცა ჩრდილოეთ კორეის დაზვერვამ იაპონელი მოქალაქეები?

ამ დღეებში ცნობილი გახდა 1970-1980-იან წლებში კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიის დაზვერვის სამსახურის მიერ მოტაცებული 13 იაპონელი მოქალაქის ბედი. ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლების განცხადებით, ცამეტიდან რვა იაპონელი ავადმყოფობისგან და სტიქიური უბედურებისგან დაიღუპა. პხენიანიდან დაბრუნებულმა იაპონელმა ექსპერტებმა თან ჩამოტანეს გარდაცვლილი იაპონელი მოქალაქეების სხეულის ნაწილები. დნმ-ს ანალიზის მიხედვით ექსპერტები შეეცდებიან დაადგინონ გარდაცვლილი პიროვნებების ვიანობა. ასევე ცნობილი გახდა ის ფაქტი, თუ რა მიზნით მოიტაცა ჩრდილოეთ კორეის დაზვერვამ იაპონელები. მათ სურდათ, იაპონელების ინსტრუქტორებად გამოყენება თავთავიანთი სპეციალობების სფეროში, ასევე მათი ბიოგრაფიული მონაცემების და დოკუმენტების გამოყენება ჩრდლოეთ კორეელი აგენტებისათვის ოპერატიული საფარის შექმნის მიზნით. 13 მოტაცებულიდან რვა ადამიანის დაღუპვის ფაქტ-


კიმ ჩენ ირი

მა, იაპონიაში საყოველთაო სახალხო აღშფოთება გამოიწვია, რაც თვით ჩრდილოეთ კორეის რესპუბლიკის ლიდერის კიმ ჩენ ირის ბოდიშმაც ვერ დააცხრო. პხენიანი დარჩენილი 5 იაპონელის გადაცემაზე ჯერჯერობით უარს აცხადებს.

**ჩანართი მოამზადა ლევან ღირსიაშვილმა**

## ბინები

### იყიდება

იყიდება ლეონიძის (კიროვის) ქუჩაზე 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა სათავსოებით ე.წ. "სტალინის სახლში", III სართულზე. 99-80-71

იყიდება 3-ოთახიანი ბინა ლოჯიით ფალიაშვილის კუთხეში.
ფასი 40 000
ტელ: 893 311772

იყიდება 3-ოთახიანი ბიმა მოშენებით 1(8) მეტრო წერეთელთან ს.ფ. 105 კვ.მ, სარდაფით, ბ/აირით, ტელ: 34-63-17.

იყიდება ბახტრიონის ქუჩის დასაწყისში 3(9) არასტანდარტული 3-ოთახიანი ბინა. საერთო ფართი 120კვ.მ. ზალა 28, საძინებლები 14-14კვ.მ., ლოჯია - 32კვ.მ. საწყისი ფასი 28 000$. ტელ: 37-59-80, 8(77) 42 13 24.

იყიდება ჩეხური 3-ოთახიანი კუთხის ბინა ტელეფონით, ბ/აირით, სართულზე მოზრდილი საკუჭნაოთი, 8(9), ძველი რემონტით დიდუბეში, პანთეონის მოპირდაპირე მხარეს. ს/ფასი 20 000 $. 35 25 87 (საღამოს 7 სთ-ის შემდეგ. იკითხეთ ჯაბა)

იყიდება ან ქირავდება კერძო სახლი დოლიძის ქუჩაზე დიდი ხეხილიანი ეზოთი. 33 22 54

სასწრაფოდ იყიდება 220 კვ/მ 5 ოთახიანი არასტანდარტული ბინა 10(12), 3 დიდი აივნით. სახლში ორი ლიფტია. საწყისი ფასი 37 000 დოლარი. მის: ფანასკერტელის ქ. XI კორპუსი, ტელ: 38-41-15, 899 94 44 84 (თინა ან რომა).

იყიდება 3-ოთახიანი, არასტანდარტული, დუპლექსის ტიპის, მაღალჭერიანი, კოოპერატიული ბინა. 4 სართულიანი სახლის 3-$ სართული. მე-სართულის დაშენების ნებართვით. 3 აივნით, 2 სველი ცერტილით, საგარაჟე ადგილით. საწყისი ფასი 23 000$.

იყიდება 3-ოთახიანი სუფთა ბინა დიდი ლოჯიით მაღალ ბელეტაჟზე ვაკეში, წყნეთის ქუჩა № 1. 23 12 22

იყიდება 3ოთახიანი სუფთა ბინა გლდანში, ეკლესიასთან. 30 22 36

იყიდება 5-ოთახიანი ბინა ვარკეთილში. ფასი 5 500. 8(77) 74 29 35, 79 26 47 მაკა

სასწრაფოდ იყიდება კაპიტალურად გარემონტებული 3-ოთახიანი, გადაკეთებული 4-იანად დ/მასივში. 53 01 05, 8(99) 23 20 29

იყიდება გარემონტებული 2-ოთახიანი დიდ დიღომში. პეტრიწის ქუჩა № 13. V სართული. 8 500-ად. 53 48 92

იყიდება 2-ოთახიანი სარემონტო ბინა დიღომში. 8(8). 9000-ად. 95 33 48

იყიდება 2-სართულიანი სახლი მეტრო ავლაბართან. ს/ფასი 23 000. 95 33 48

იყიდება 3-ოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა. ნუცუბიძის პლატო, V მკრ. 12 000-ად. 31 44 52

იყიდება ან იცვლება ნაკლებ ფართზე 4-ოთახიანი ბინა დიღმის მასივში, 8(9). მეტროსთან ახლოს. 16 000-ად. 52 73 72

იყიდება 2-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა. ს/ფართი 60 კვ.მ. 3(5). სამგორის რაიონში. 76 87 02

იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული კუთხის ბინა საბჭოს ქუჩაზე. 1(2). გამოდგება საოფისედ. 95 75 11

იყიდება 3-ოთახიანი მაღალჭერიანი (5 მ.) ბინა კოლმეურნეობის მოედანზე, პირიმზესთან. 93 10 22

იყიდება 2-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა ნუცუბიძის პლატოზე, IV მკრ. 6000-ად. 32 05 48

სასწრაფოდ და იაფად იყიდება 3-ოთახიანი ბინა დიდი დიღმის IV მკრ. 10(10). 53 28 75

იყიდება საკუთარი სახლი მაღალ ბელეტაჟზე, 1200 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, 50 კვ.მ. სარდაფით, მესხური პურის საცხობით და მაღაზიით. შეიძლება განვადებაც. მუხრანის ქ. № 25. 61 86 93 ნინო

იყიდება ერთოთახიანი იზოლირებული ბინა აივნით, ტელეფონით, სარდაფით. 37 17 83

იყიდება 3-ოთახიანი (მე-4 კაბინეტი) ბინა მუხიანის IV მკრ-ში, მე-3 სართულზე, ტელეფონით, ჩაშენებული კარადებით. სველი წერტილები კაფელშია. 63 63 27

## მიწის ნაკვეთები

იყიდება საagarაკე ნაკვეთი მსხმოიარე ხეხილით, სასმელი წყალი და დენი შეყვანილია. გლდანში. 57 15 77

სასწარაფოდ იყიდება 1600 კვ.მ. ნაკვეთი დიდი დიღმის ტერიტორიაზე, მთავარი სამმართველოს უკან, მშენებარე უბანში, ფასი 1 კვ/მ – 8. 52-98-04.

სასწრაფოდ იყიდება 1200კვ.მ. ნაკვეთი სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის პირდაპირ. მშენებარე უბანში, საწყისი ფასი 8500. 30-90-16.

იყიდება 40 კვ.მ.+15 კვ.მ. კომერციული ფართი ვერაზე, რომელიც მუშაობდა მაღაზიად. ს/ფასი 36 000. 8(99) 51 58 54

იყიდება 650 კვ.მ. ნაკვეთი მუხათწყაროში გაზეთ "სოფლის ცხოვრების" აგარაკებზე. ტყეში. გაჭრილი არის ჭა. ფასი შეთანხმებით. 22 25 76

## კომერციული ფართი

ქირავდება საოფისედ 50 კვ.მ. 2 ოთახი 300 $-ად. რევაზ ლაღიძის № 3. ოპერის უკან. 93 30 80, 99 62 36

იყიდება რესტორანი რუსთაველზე თავისი აღჭურვილობით. 79 90 48

ქირავდება ფართი საოფისედ ან სხვა საქმიანობისთვის ძველ უნივერმაღთან. 95 37 43 გია ან დათო

## ბინები

### ქირა

ვიგირავებ 1000-1500 დოლარის ფარგლებში იზოლირებულ ბინას. ტელ: 897 58 34 04, 897 58 34 00

ქირავდება რუსთაველზე 2(4) სართულზე 240 კვ.მ. ბინა. გაქირავება შეიძლება ორ ნაწილადაც. არის ორი დამოუკიდებელი შესასვლელი. 98 67 11 (მაია, თამაზი)

ქირავდება 1 ოთახი საერთო პირობებით 1 ან 2 სტუდენტ გოგონაზე 100 ლარად. 52 47 75

ქირავდება 3-ოთახიანი ბინა ვაკეში, შროშის ქუჩაზე. 2-ადგილიანი ავტოფარეხით. 93 23 82

ქირავდება 2-სართულიანი სახლის II სართულზე 3,5-ოთახიანი ბინა ფილარმონიასთან, გარემონტებული. 8(99) 97 64 48

ქირავდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა ავეჯით მეტრო ავლაბართან. ფასი 100. 93 17 02

ქირავდება 1 ან 2 გოგონაზე ორი ოთახი ცალკე შესასვლელით, სამზარეულოთი, ავეჯით, ტელეფონით. 37 73 98

## მანქანები

იყიდება ავტომანქანა "ზუტკა-მოსკვიჩი". ფასი შეთანხმებით. 92 15 71

იყიდება იაპონური ავტომობილი ტოიოტა-კარონა, 5-სიჩქარიანი, ახალი ტექ.დათვალიერებით. 1982 წლის. ფასი 300 $. 74 22 70

იყიდება ოპელ-ვექტრა 1990 წლის. გიდრავლიკით, ლუკით, ABC ცენტრ. გასაღებით. 2600 $. 33 54 51 მიშა

სასწრაფოდ იყიდება 1991 წლის ფოსფორისფერი "ფორდ-ესკორტი" იდეალურ მდგომარეობაში (იხ. ფოტო). ძრავა – 1,4; ეკონომიური (წვა – 6ლ 100 კილომეტრზე). ფასი – 2500 დოლარი. ტელ: 899 50 30 13, მაია.

იყიდება "BMW-530" 1990 წლის გამოშვება. 3000 $-ად. 8(77) 44 89 28

## სწავლება

ვამეცადინებ მოსწავლეებს სკოლის საგნებსა და მუსიკაში. შემიძლია სკოლიდან გამოყვანაც. 32 65 69 ნანა.

მოვამზადებ აბიტურიენტებს ისტორიაში ან ვამეცადინებ მეხუთე კლასამდე ბავშვებს ყველა საგანში ბინაზე მისვლით. ტ: 893 35 75 44

კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი ინდივიდუალური კურსები: Windows, Word, Excell, Internet, E-mail - 60 ლარი. პროფესიული კურსი - 120 ლარი. Photo shop - 80 ლარი . Pagemaker - 60 ლარი. Adobe-premier - 200 ლარი
მის. ი.ჭავჭავაძის №74, IX სართ. ოთახი - 908. 25-35-48, 23-53-69

მოვამზადებ გერმანულ ენაში. ფასი 15 $.
ტელ: 68 36 49

ვამზადებ I-დან VIII კლასამდე მოსწავლეებს ყველა საგანში, მათ შორის ინგლისურში. 52 31 81.

ნებისმიერი ასაკის მსურველთა მომზადება გერმანულ, ესპანურ, რუსულ ენებში. ინდივიდუალურად, უახლესი ლიტერატურით. ქართულ და რუსულ ენებზე. 39 50 31, 8(93) 30 93 20

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს ინგლისურში. 77 23 49

ვამზადებ ქართულ ლიტერატურასა და ფრანგულში. 33 12 05

მოვამზადებ ინგლისურში კვირაში 3-ჯერ. თვეში 15 ლარი. 72 28 57

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს გერმანულში ბინაზე მისვლით.
75 65 14

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს ინგლისურსა და ფრანგულში. 69 25 75

მოვამზადებ გერმანულში. 96 76 46

მოვამზადებ ბავშვებს ინგლისურში, კვირაში 3-ჯერ. ბინაზე მისვლით. 75 65 14 ნათია

მოვამზადებ ბავშვებს ინგლისურში, კვირაში 3-ჯერ. ბინაზე მისვლით. 75 65 14 ნათია

ვამზადებ მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს მათემატიკაში. 23 01 84

მოვამზადებ აბიტურიენტებს ინგლისურში. 30 63 26

მოვამზადებ I-დან VIII კლასამდე მოსწავლეებს ყველა საგანში. ფასი 50 ლარი. 61 84 93

ვამზადებ ბავშვებს ფორტეპიანოში ბინაზე მისვლით. 53 24 60

შევასწავლი გერმანულ ენას. 32 03 71

ვამზადებ მათემატიკასა და ფიზიკაში ქართულ და რუსულ ენებზე. 31 47 88

## სხვადასხვა

იყიდება კომპიუტერი "SONY-1" დისკებით.
78 18 31, 8(99) 17 87 79

იყიდება კეთილმოწყობილი ავტოფარეხი.
კანდელაკის № 10. 38 04 59

ვამზადებ იტალიურ კერძებს. ვიმუშავებ სასტუმროში ან უცხოელებთან.
79 65 33

იყიდება ჭაღი საუკეთესო ხარისხის ჩეხური ბროლის 5 სართულიანი "ყურძნის მტევნები". ფასი 450 ლარი. ტელ: 30-26-25

იყიდება ჰოლანდიური ყვავილი "მონსტერა" (დაჭრილი ფოთლებით).
39 78 68

დაგიმზადებთ ხის კარ-ფანჯარას, შიდა კიბეს, კარადებს ხარისხიანად და შეღავათიან ფასებში.
22 82 26, 8(99) 51 28 44

იყიდება სტომატოლოგიური კაბინეტი. მთლიანი კომპლექტი. 22 59 55

იყიდება პიანინო "მენზელი". 22 59 55

მოვუვლი ბავშვს, მოხუცს, ან დავეხმარები ოჯახში. 75 10 16

იყიდება გერმანული "გორკა". ფასი შეთანხმებით. 22 66 52

იყიდება სამეცნიერო ლიტერატურა ფიზიკასა და მათემატიკაში. 95 75 11, 96 30 15

იყიდება მაცივარი "ზილმასკვა". 53 06 68

ვიმუშავებ მშენებლობაზე ან ავტოგასამართ სადგურზე. 32 05 48

იყიდება დიდი ბიბლიოთეკა ოჯახიდან. 22 59 55

იყიდება "ერიქსონ-688" დამტენით და რადიო ყურსასმენით. ფასი 50 ლარი. 8(99) 53 26 05

ვიძლევი სრულყოფილ ცოდნას მათემატიკაში მაღალი ნიშნის გარანტიით. 30 29 97

- პარკეტი გემბანური;
- პარკეტის გერმანული აქსესუარები.
ტელ: 333560
8(77) 739129

დაგიმზადებთ ხის კარ-ფანჯარას, შიდა კიბეს, კარადებს ხარისხიანად და შეღავათიან ფასებში. 22 82 26, 8(99) 51 28 44

ვისესხებ. 92 09 63

შეშა ბინაზე მიტანით. 61 52 55

იყიდება "T 10" 2 თვის, 70 ლარად. 8(93) 35 77 56

15 ოქტომბრიდან ტელეფონით მიღებული განცხადების (12 სიტყვა) ფასი განისაზღვრება 1 ლარით.
98-86-43, 53-76-43

## განცხადება

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმის ბაზაზე იხსნება სამხატვრო სკოლა-სტუდია:

- სკოლის მოსწავლეთათვის:
ფერწერა, ხატვა, ქანდაკება, კომპოზიცია, გობელენი, მოდელირება, კომპიუტერული გრაფიკა, მულტიპლიკაცია, დიზაინი, არქიტექტურა, ხატწერა, რესტავრაცია, რელიგიისა და ხელოვნების ისტორია.
- აბიტურიენტებისათვის:
მოსამზადებელი ჯგუფი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში შესასვლელად (მიზნობრივი სწავლება).

სკოლა სტუდიის მოსწავლეები სისტემატიურად მიიღებენ მონაწილეობას საერთაშრისო და რესპუბლიკურ გამოფენებში. სასწავლო წლის ბოლოს მოეწყობა საზაფხულო შემოქმედებითი ბანაკი.
მოსწავლეები იმუშავებენ სამხატვრო სახელოსნოში და კომპიუტერულ კლასში.
სკოლა უზრუნველყოფილია გათბობით, მუდმივი დენით, მუშაობს ბუფეტი.
მეცადინეობა ჩატარდება კვირაში სამჯერ 15.00 საათზე.
მოსწავლეთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 20 ოქტომბრიდან.
სწავლა დაიწყება 3 ნოემბერს.

მისამართი: ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
ტელეფონი: 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა ლიცეუმი.

გაზეთი 24 საათი

15.10.02 N-135

## აფიშა

### თეატრები

**თავისუფალი თეატრი**
"მედეა", რეჟ. გოჩა კაპანაძე, როლებში; მარინა კახიანი, თეონა გურამიშვილი, ნანა ფაჩუაშვილი, გოჩა კაპანაძე, დიმა ჭაიანი
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5 ლარი

**თეტრალური სარდაფი**
"ეკატერა", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**TMS**
ია გიგოშვილის პერსონალური გამოფენა

**„ქარვასლა„**
დავით მონავარდისაშვილის პერსონალური გამოფენა, "სიბრტყესა და ფორმას შორის"
.პიტერ ფორდის ფოტოგამოფენა

**ძველი გალერეა**
გია ბუღაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა, "მხატვრებთან ერთად", ეძღვნება სამხატვრო აკადემიის 80 წლის იუბილეს

### კინოთეატრები

**„ამირანი„**
"ესაუბრე მას", რეჟ. პედრო ალმადოვარი
დას: 14:00; 22:00 სთ, ფასი: 5-7 ლარი
"ცეცხლის ძალა", რეჟ. რობ ბაუმენი
დას: 16:00; 18:00; 20:00 სთ, ფასი 5-7 ლარი

**„რუსთაველი„**
"დიდი გამყინვარება", საბავშვო ანიმაციური ფილმი
დას: 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"განსხვავებული აზრი" რეჟ. სტივენ სპილბერგი, მთავარ როლში ტომ კრუზი
დას: 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"სამი იქსი", რეჟ. რობ კოენი
დას: 21:30 სთ; ფასი 7 ლარი

## სკანდინავიური კროსვორდი





რაგბი

# წარსულიდან მომავლისკენ

*გრძნობა, რომელიც გუშინწინდელი გამარჯვების შემდეგ დაეუფლა ქართველ ხალხს, კიდევ დიდხანს გაჰყვება. კიდევ დიდხანს ისაუბრებენ ქართველთა ისტორიულ გამარჯვებაზე, კიდევ ერთხელ მიმოიხილავენ იმ გზას, რომელმაც ბორჯღალოსნები მსოფლიო თასამდე მიიყვანა, მაგრამ რაც არ უნდა ითქვას და რაც არ უნდა დაიწეროს იმ თამაშზე, განვლილ გზაზე, უკვე ისტორიის კუთვნილებაა. წინ კი მსოფლიო თასის ფინალური ეტაპია, რომელზე მოსახვედრადაც იბრძოლეს ქართველმა მორაგბეებმა. გუშინ "24 საათის" რედაქციაში საქართველოს ნაკრების მწვრთნელები კლოდ სორელი და პატრიკ ფორი გვესტუმრნენ. მათთან საუბარი სწორედ საქართველოს ნაკრების მომავალს შეეხო, თუმცა არც გუშინწინდელი გამარჯვება დაგვვიწყებია.*

პაატა თოთაძე



*დრო, მომავალზე ვიფიქროთ*

"მე დღეს ბედნიერი ვარ ქართველი ერის ასეთი გამარჯვებით. თქმა არ უნდა, ამ გამარჯვებისთვის უდიდესი სამუშაო გავწიეთ ყველამ, დაწყებული რაგბის კავშირის და ნაკრების ხელმძღვანელობით, დამთავრებული უბრალო გულშემატკივრით, რომელიც ნაკრებს მთელი ეს პერიოდი გვერდში ედგა. მე მგონი, ქართველ ხალხს კიდევ ვერ გაუცნობიერებია, რამხელა წარმატებას მიაღწია საქართველოს ნაკრებმა. ის მსოფლიოს საუკეთესო ოცეულში მოხვდა და ამიერიდან როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, საქართველოს ველარავინ შეხედავს, როგორც მეორეხარისხოვან ქვეყანას. ჩვენ ჩვენი ადგილი დავიმკვიდრეთ მსოფლიო სარაგბო რუკაზე. როგორც ნახეთ, წინა თამაშებიდან სათანადო დასკვნები გამოვიტანეთ. ბევრს ეშინოდა, რომ ნაკრები პირველ ტაიმს წააგებდა - ასე არ მოხდა. ბევრს ეშინოდა, რომ რუსები დერეფანში დაგვჩაგრავდნენ - ასე არ მოხდა. მართალია, თამაშის ხარისხით კმაყოფილი არ ვარ, და საერთოდ, მწვრთნელი თითქმის არასდროს არაა შეგირდთა თამაშით კმაყოფილი, მაგრამ გუნდმა თავის მიზანს მიაღწია. ბიჭებმა შეასრულეს ჩემს მიერ მიცემული თითქმის ყველა დავალება. სწორ გადაწყვეტილებებს იღებდა გუნდის კაპიტანი. ერთი სიტყვით, გუშინ საქართველოს ნაკრებს უნდა მოეგო", - აღნიშნა კლოდ სორელმა

ხუთი დღის წინ სორელს და ფორის კავკასიური ნაგაზის ლეკვები აჩუქეს. ფორიმ მისი საფრანგეთში წაყვანის საკითხი უმალ გადაწყვიტა, აი მუსიე სორელს კი ამ მხრივ პრობლემები გასჩენია. საქმე ისაა, რომ ძაღლის სახლში ყოლის წინააღმდეგია მისი მეუღლე, თუმცა, როგორც გუშინ აღნიშნა მწვრთნელმა, ამ საკითხს ყოველ მიზეზს გარეშე დადებითად გადაწყვეტს - ანუ ახლო მომავალში ლეკვი ბუნაგს საფრანგეთში გაიჩენს.

წარსული წარსულად, და ბუნებრივია, ინტერესს იწვევს, რა პერსპექტივა აქვს საქართველოს ნაკრებს. "რომ გითხრათ მსოფლიო თასზე ინგლისს და სამხრეთ აფრიკას დავამარცხებთ-თქო, არ ვიქნები მართალი, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ქართველებს ადვილად ვერავინ დაგვამარცხებს", - განაცხადა მწვრთნელმა. მადა ჭამაში მოდისო და ავსტრალიაში თამაშის უფლებამოპოვებულ ქართველებს იქ მოგება მოგვინდა. "რა თქმა უნდა, ვეცდებით, ორი მატჩი მაინც მოვიგოთ ჯგუფში. მსოფლიო თასზე სუსტი გუნდი ვერ ითამაშებს, ამიტომაც ძალიან ძნელი იქნება ამის გაკეთება, თუმცა შანსი გვაქვს, თანაც არც თუ მცირე", - იხტიბარი არ გაიტეხა სორელმა.

მისი ჩამოსვლის დღიდან საქართველოს ნაკრებში თითქმის ერთი და იგივე მორაგბეები თამაშობენ, ერთ-ორ გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით. რა მოელის ნაკრებს მას შემდეგ, როცა ამ ბიჭებს "პენსიაზე" გასვლა მოუწევთ?

"მე ვფიქრობ, საშიში არაფერია. საქართველოს ჰყავს მრავალი ახალგაზრდა ნიჭიერი მორაგბე, რომელთაც დიდი პერსპექტივა აქვთ. სწორედ მომავალზე ზრუნვით არის განპირობებული, ნაკრებში ახალგაზრდა მორაგბეები რომ მოვიწვიეთ. თავად განსაჯეთ, გუშინ საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში რამდენიმე ახალგაზრდა მორაგბე იყო. დამერწმუნეთ, მათ დიდი პერსპექტივა აქვთ. თაობათა ცვლა ნებისმიერ გუნდში იწვევს პრობლემებს, მაგრამ იმის გზაც არსებობს, ეს პრობლემა უმტკივნეულოდ გადაიჭრას. ჯერჯერობით საქმეები ისე მიდის, ეს პრობლემა არც უნდა შეიქმნას. თუმცა, ეს რა სალაპარაკოა, როცა იმ ბიჭებმა კიდევ უფრო მეტი უნდა გააკეთონ", - განაცხადა პატრიკ ფორიმ.

გულშემატკივარი

# ეკა ხოფერია: "ქვეყანა უნდა იცნობდეს თავის გმირებს"

*ეროვნული ჰიმნის შესრულებისას მთელმა საქართველომ ნახა ქართველი ბორჯღალოსნის ლევან ცაბაძის ცრემლები. იმ დღეს, ოღონდ ქართველთა მიერ მატჩის ძლევამოსილად დასრულების შემდეგ, ტრიბუნაზე კიდევ ერთი ატირებული ადამიანი ვნახე. ეს გახლავთ "რუსთავი 2"-ის წამყვანი ეკა ხოფერია, რომელმაც, "ლეონსიოს" მსგავსად, ემოციები ვერ დამალა. ამ ემოციებზე საუბარი ეკამ არც "24 საათთან" საუბარში დაიზარა.*

მიხეილ აბაიშვილი

**- ეკა, თითქმის ათი წელია ვმეგობრობთ. ამ ხნის განმავლობაში საქართველოში არაერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო მატჩი გაიმართა. რამდენადაც ვიცი, შენ არც ერთს არ დასწრებიხარ. რას მივაწეროთ შენი გუშინდელი "დებიუტი"?**

- ამ თამაშზე მისასვლელად მთელი ოჯახი ვემზადებოდით და სტადიონზე სრული შემადგენლობით მივედით. ვთვლი, რომ ამ მატჩზე ყველა უნდა მისულიყო, რათა გამარჯვების სურვილი, ეროვნული მუხტი გადაგვეცა თითოეული ქართველი მოთამაშისთვის. ვფიქრობ, რომ სტადიონზე მისულმა გულშემატკივარმა ეს მოახერხა. ჩვენმა მორაგბეებმაც ისე კარგად ითამაშეს, რომ ამ მოგებით გამოწვეული სიხარული პირადად მე ძალიან დიდხანს გამყვება.

**- შენ თქვი, "ძალიან კარგად ითამაშესო". დავიჯერო, ასე კარგად ერკვევი რაგბის წესებსა და ნიუანსებში?**

- რომ გითხრა, ყველა ნიუანსში ვერკვევი და ზუსტად ვიცოდი, სად, რა, როგორ იყო, არ ვიქნები მართალი. მაგრამ ჩემი მეუღლე ყოფილი მორაგბეა და მისი დახმარებით მატჩის დროს ვერკვეოდი სიტუაციაში. თუმცა, იმასაც ვიტყვი, რომ რაგბის ზედმიწევნით ცოდნა ამ შემთხვევაში სულაც არ იყო მნიშვნელოვანი და აუცილებელი. ისედაც ნათელი იყო, თუ როგორი თავდადებით, ჟინით და გამარჯვების წყურვილით თამაშობდა ჩვენი გუნდი. ამ ყველაფერმა ისეთ აზარტში შემიყვანა, რომ ერთი-ორჯერ წამოვხტი და ვიყვირე კიდეც, რამაც ტრიბუნაზე ჩემი მეზობლები დიდად გააკვირვა.

**- მატჩის შემდეგ გულიანად იტირე. ნუთუ ასე მნიშვნელოვანი იყო შენთვის ეს გამარჯვება?**

- ძალიან დიდი ხანია, ასე არაფერი გამხარებია. ამისთვის, მინდა, თითოეულ ქართველ მორაგბეს დიდი მადლობა გადავუხადო. წინა დღით ფეხბურთზე არ წავედი. იმიტომ კი არა, რომ მათი გამარჯვება ნაკლებად გამიხარდებოდა. უბრალოდ, ჩავთვალე, რომ ამ თამაშზე წასვლა გაცილებით მნიშვნელოვანი იყო. არც შევმცდარვარ. გუშინდელის მერე ჩემთვის სპორტის პირველი სახეობა რაგბი გახდა და თბილისში საქართველოს ნაკრების მონაწილეობით არც ერთ მატჩს არ გავაცდენ.

ის ფინანსური პრობლემები, ის უყურადღებობა სახელმწიფოსა და ხელისუფლების მხრიდან და დიამეტრულად საწინააღმდეგო შედეგი ქართველ მორაგბეებს, მართლაც, გმირებად აქცევს. არადა, ყველამ კარგად ნახა, ამ გამარჯვების შემდეგ როგორ თავს იწონებდნენ და ამაყობდნენ საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლები.

**- ეს ისტორიული მატჩი კვირას გაიმართა და "ღამის კურიერი" ვერ გამოეხმაურა...**

- "რუსთავი 2"-ის ეთერში მორაგბეები დღეს (უკვე გუშინ - **რედ.**) მოვლენ. რაგბის კავშირის თავმჯდომარესთან, ბიძინა გეგიძესთან ერთად, ნაკრების რამდენიმე მოთამაშეც მყავს მოწვეული. სამწუხაროდ, ზოგიერთი უკვე თავის კლუბში, საფრანგეთში გაემგზავრა. გადაცემის დროს ვაპირებ ნაკრების ყველა წევრის გვარის ჩაკითხვას, რადგან, როგორც რუსები იტყვიან, "страна должна знать своих героев". მგონია, რომ მთელი საქართველო იმას განიცდის, რასაც მე.

**- და ბოლოს, შენი აზრით, რით იყო გამორჩეული ეს გამარჯვება?**

- იმ დროს, როცა თბილისის "დინამომ" ევროპის თასების თასი მოიგო, პატარა ვიყავი და იმ გამარჯვების მნიშვნელობა კარგად არ მესმოდა. გუშინდელი წარმატება, ალბათ, იმ გამარჯვებას შეიძლება შევადაროთ. მაგრამ გუშინდელი მატჩი ბევრად უფრო მეტი იყო, ვიდრე ერთი რიგითი შეჯიბრება. იმ აგრესიას და დამცირებას, რომელიც რუსეთიდან ყოველდღიურად მოდის და ჩვენი ხელისუფლების მხრიდან უპასუხოდ რჩება, იმას, რომ საქართველოს ხელისუფლებას არ სურს ან არ შეუძლია, ადეკვატური რეაქცია ჰქონდეს ყველაფერ ამაზე, იმას, რომ ამით მთელ ერს მუდმივად უიღბლოს და წაგებულის ფსიქოლოგიას უნერგავენ, ერთი ლამაზი გამარჯვებით გაეცა პასუხი. ჩვენმა მორაგბეებმა, მართალია, ერთ სპორტულ, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვან ორთაბრძოლაში დაამარცხეს რუსები და მთელ მსოფლიოს, პირველ რიგში კი საკუთარ ხალხს დაანახეს, რომ კიდევ შეგვძლებია გამარჯვება.



*ეკა ხოფერია*

ფეხბურთი

# ვენა გამოსწორებული კაცის წინააღმდეგ

B1 გვერდიდან

მთელი ავსტრია მოუთმენლად ელოდა დაუმის დებიუტს. გერმანელს, გარკვეულწილად, გაუმართლა, რადგან "ავსტრიამ" პირველი მატჩი ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით აუტსაიდერ "გაკთან" გამართა. გრაცის არნოლდ შვარცენეგერის სახელობის სტადიონზე გულშემატკივართა უმრავლესობა დაუმის სანახავად მივიდა და მანაც ფანებს იმედი არ გაუცრუა. დაუმი იმ დღეს თავის სტიქიაში იყო - ყვიროდა, ნერვიულობდა, ფეხბურთელებს წინ წასვლისკენ მოუწოდებდა და სულ უფრო მეტი გოლი სურდა. "ავსტრიამ" 4:0 მოიგო და მეორე ადგილზე მყოფ "პაშინგს" რვა ქულით გაუსწრო. ამის მიუხედავად, ვენელ გულშემატკივართა ერთი ნაწილი დაუმის კლუბში მისვლით მაინც უკმაყოფილოა. "ეს, უბრალოდ, სამარცხვინოა. როგორ შეიძლება, ასეთი წარსულის მქონე კაცი კლუბში მიიწვიო. მრცხვენია, რომ "ავსტრიის" ფანი ვარ", - აღშფოთებას ვერ მალავს ერთ-ერთი გულშემატკივარი. მეორე კი ნიშნის მოგებით აცხადებს, რომ "ავსტრიადან" გაგდებული შახნერი ახლა ვენის "რაპიდში" წავა და ამ კლუბს ჩემპიონს გახდის.

მთელი ვენა უკვე "ავსტრიისა" და "რაპიდის" ანუ დაუმისა და შახნერის დუელის მოლოდინშია, იმის მიუხედავად, რომ შახნერი ჯერ არავის მიუწვევია "რაპიდის" მწვრთნელად. ის კი არა, ზოგიერთი სპეციალისტი დაუმს ვენაში სრულ კრახს უწინასწარმეტყველებს. "ავსტრია" ვერ მოხვდება ჩემპიონთა ლიგაში, მას ამ ადგილს "რაპიდი" წაართმევს, - დაბეჯითებით აცხადებს "ავსტრიის" ერთ-ერთი ყოფილი მწვრთნელი ჰერბერტ პროჰასკა, ვისაც კარგად მოეხსენება, თუ რა ძნელია იმ კლუბში მუშაობა, რომელმაც ათ წელიწადში უკვე თვრამეტი მთავარი მწვრთნელი გამოიცვალა.

კრისტოფ დაუმს კი ეს პესიმისტური პროგნოზები სრულიად არ ადარდებს. ის საკუთარ თავში დარწმუნებული, ძლიერი და მიზანმიმართული პიროვნებაა, რომელმაც კარგად იცის, რა უნდა და რა შეუძლია. დაუმის მეუღლე ანჟელიკა კამი უკვე ბინას ეძებს ვენაში. დაუმი ავსტრიის დედაქალაქში დიდხანს აპირებს დარჩენას, იმის მიუხედავად, თუ რას ფიქრობენ მასზე გაბრაზებული ავსტრიელები.



REUTERS

*კრისტოფ დაუმი*

მოკლედ

**ფეხბურთი.** არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. მიზეზი, რის გამოც ხულიო გრონდონას ასეთი პერსპექტივა აქვს, საფეხბურთო მატჩებზე დასასწრებ ბილეთებზე საფასურის ხელოვნურად გაზრდაა.

გუშინ ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლო გაიმართა. გრონდონასთან ერთად, დამნაშავის სკამზე ისხდნენ "ბოკა ხუნიორსის" ამჟამინდელი პრეზიდენტი მაურისიო მაკრი და "სან ლორენსოს" ყოფილი პრეზიდენტი ფერნანდო მელე. როგორც გაირკვა, ეს ორი, გრონდონასთან შეთანხმებით, ხელოვნურად ზრდიდა ბილეთის ფასს, იქიდან მიღებული ფულით კი ქვეყანაში აუდიო-ვიდეო ტექნიკა შეჰქონდათ.

გრონდონამ ყველაფერი უარყო და განაცხადა, რომ ფეხბურთის ფედერაცია, უბრალოდ, გარანტიებს აძლევდა ამ კლუბების პრეზიდენტებს ტექნიკის შესაძენად. ფედერაციის ხელშეწყობით მოიზიდეს რამდენიმე ესპანური კომპანია, რომელმაც არგენტინაში ინვესტიცია ჩადო. მოკლედ, გრონდონას თუ დავუჯერებთ, ფრიად კარგ საქმეს ეწეოდა. რაც შეეხება ტექნიკის გაყიდვას ან სხვა ოპერაციებს, ფეხბურთის ფედერაცია არაფერში ყოფილა გარეული.

კომენტარისგან ჯერჯერობით თავს იკავებენ მაკრი და მელე, თუმცა, ის დღეც არ არის შორს, როცა მათ უამრავ კითხვაზე მოუწევთ პასუხის გაცემა. არგენტინული პრესის ცნობით, თუ სამივე მათგანს დაუმტკიცდა დანაშაული, ექვს-ექვსი წლით მოუწევთ ციხეში ჩაჯდომა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "მანჩესტერ იუნაიტედის" ფრანგი მცველი მიქაელ სილვესტრი ახალ კონტრაქტზე ხელის მოწერამდე გუნდის ხელმძღვანელობისგან ხელფასის მომატებას ითხოვს. "მე ძალიან მომწონს კლუბი და მისი გულშემატკივრები, ამიტომ ძალიან მინდა, ჩემი მომავალი ამ კლუბს დავუკავშირო. თუმცა, სანამ კონტრაქტზე ხელს მოვაწერ, მინდა, კლუბმა ხელფასი გამიზარდოს. მე არ ვთხოულობ არც ბექჰემის და არც ვერონის ანაზღაურებას, მაგრამ მინდა, იმდენი მქონდეს, რამდენიც ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელს ეკუთვნის", - აღნიშნა სილვესტრიმ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ლევერკუზენის "ბაიერის" ბულგარელი თავდამსხმელი დიმიტარ ბერბატოვი სამი კვირის განმავლობაში ვერ შეძლებს ფეხბურთის თამაშს. ფორვარდმა ბულგარეთისა და ხორვატიის ნაკრებთა მატჩში მიიღო ტრავმა. თავდაპირველი ვარაუდით, ბერბატოვს ერთკვირიანი დასვენება უნდა ჰყოფნოდა, მაგრამ ხელმეორე სამედიცინო შემოწმებამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მადრიდის "რეალის" თავდამსხმელი რაული ოთხშაბათს ესპანეთისა და პარაგვაის ნაკრებთა ამხანაგურ მატჩს გამოტოვებს. როგორც ესპანურმა საინფორმაციო წყაროებმა აღნიშნეს, ფეხბურთელმა შაბათს, ჩრდილოეთ ირლანდიის წინააღმდეგ მატჩში საზარდულის ტრავმა გაიმიზეზა, რის გამოც ორი კვირით მოუწევს დასვენება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ალექს ფერგიუსონმა მადლობა გადაუხადა სამხრეთ აფრიკის პოლიციას იმის გამო, რომ ის დროულად გაერკვა სიტუაციაში და მწვრთნელს სასამართლო ააცილა. საქმე ის არის, რომ სამხრეთ აფრიკაში "მანჩესტერის" ამასწინანდელი ვიზიტისას, 21 წლის ნადია ებრამსმა პოლიციას მიმართა, ფერგიუსონი სექსუალური მოძალადეაო და მწვრთნელისგან მორალური ზარალის ანაზღაურება მოითხოვა, თუმცა, იქაური პოლიციის ძალისხმევით, ამას ვერ ეღირსა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** გავრცელებული ხმები ირლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან მიკ მაკარტის გადადგომის თაობაზე არ დადასტურდა. გუშინ ირლანდიური სააგენტოების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მაკარტი პოსტზე 2004 წლის ევროპის ჩემიონატის ბოლომდე დარჩება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბოლო დროს ფილიპო ინძაგის შესანიშნავმა თამაშმა ხელი შეუწყო ხმების გავრცელებას, თითქოს ანდრეი შევჩენკოს "მილანიდან" უშვებდნენ. როგორც აღმოჩნდა, ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. კლუბის ხელმძღვანელთა განცხადებით, "მილანი" უკრაინელი ფორვარდის გაყიდვას არ აპირებს და არც თავად შევჩენკოა სადმე წამსვლელი.

■ ■ ■

**ჭადრაკი.** პირველი გამარჯვება მოიპოვა კომპიუტერმა მსოფლიო ჩემპიონ ვლადიმერ კრამნიკთან ბრძოლაში. როგორც ჩანს, ზედიზედ ორმა გამარჯვებამ კრამნიკს ზედმეტი თავდაჯერებულობა შესძინა, რისთვისაც დაისაჯა. მეექვსე პარტიის წინ ანგარიშია 3:2 კრამნიკის სასარგებლოდ.

■ ■ ■

**მძლეოსნობა.** ბრიტანელმა პოლა რედკლიფმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა მარათონულ დისტანციაზე. 42 კილომეტრი მან 2 საათში 17 წუთსა და 18 წამში დაფარა. ასეთ შედეგს ბრიტანელისგან არავინ ელოდა, რადგან პოლა სულ მეორედ ასპარეზობდა ამ დისტანციაზე.

■ ■ ■

**ცურვა.** ფრანგი მყვინთავი ქალის ოდრი მესტრეს მცდელობა, დაემყარებინა მსოფლიო რეკორდი, საბედისწერო გამოდგა. მესტრეს დომინიკის რესპუბლიკის სანაპიროებთან, ეგრეთ წოდებული "თავისუფალი ჩაყვინთვით", მსოფლიო რეკორდის ნიშნულთან 171 მეტრზე ჩაშვება სურდა. მიზნის მიღწევის შემთხვევაში, გარდა იმისა, რომ მსოფლიო რეკორდს დაამყარებდა, იგი არა მარტო ქალ მყვინთავთა, არამედ ვაჟთა მსოფლიო რეკორდსაც დაამხობდა. ვაჟთა შორის მსოფლიოს რეკორდსმენი კი, არც მეტი, არც ნაკლები, მისივე მეუღლე, კუბელი ფრანსისკო ფერერასია, რომელსაც 162-მეტრიანი ნიშნულისთვის მიუღწევია.

წესების თანახმად, მესტრემ ჩასაყვინთად სპეციალური ტვირთი გამოიყენა და სიღრმეში ჟანგბადის ბალონის გარეშე ჩაეშვა. ჩაყვინთვიდან ცხრა წუთის შემდეგ მესტრეს ცხედარი მყვინთავებმა ამოიტანეს.

თუ რა გახდა 28 წლის ფრანგი მყვინთავის სიკვდილის მიზეზი, მესტრეს წრის ოფიციალურ პირთათვის უცნობია. მათთვის უცნობია ისიც, შეძლო თუ არა ფრანგმა სპორტსმენმა სარეკორდო სიღრმისთვის მიეღწია.

საბედისწერო ჩაყვინთვამდე ოდრი მესტრემ "თავისუფალი ყვინთვით" მსოფლიო რეკორდი დაამყარა შარშან, 19 მაისს, ფლორიდის სანაპიროზე, როდესაც 130-მეტრიან ნიშნულამდე ჩაყვინთა.

■ ■ ■

**ფრენბურთი.** არგენტინის დედაქალაქში კვირას დასრულებულ ფრენბურთელთა მე-15 მსოფლიო თასზე რუსეთისა და ბრაზილიის ფინალური დაპირისპირება ამ უკანასკნელთა გამარჯვებით დასრულდა – 3:2 (25:23, 25:27, 20:25, 25:23, 13:15). "ლუნა-პარკის" დახურულ დარბაზში ბრაზილიამ 20 წლის წინანდელი მარცხისთვის შური იძია და, პირველად მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში, უმაღლეს ტიტულს დაეუფლა. აღსანიშნავია, რომ ბრაზილია პირველი სამხრეთამერიკული გუნდია, რომელმაც მსოფლიო თასის ფინალი მოიგო.

ყველასთვის მოულოდნელად, მესამე ადგილზე ფრანგები გავიდნენ, მეოთხეზე კი - ფრანგებთან დამარცხებული იუგოსლავიელები. მეხუთე ადგილისთვის წარუმატებლად იასპარეზეს მასპინძლებმა - ისინი იტალიელებმა დაამარცხეს.

რაც შეეხება ფინალს, იგი ძალზე დაძაბული გამოდგა. ხუთსეტიან მატჩში ბრაზილიელთა ჩემპიონობა, ნაწილობრივ, თავად რუსთა უამრავმა შეცდომამ განაპირობა. რუსები ხშირად ცდებოდნენ ბლოკირებისას, არც მოწოდება ჰქონდათ კარგი და არც შეტევა. მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე რუსეთის ნაკრების მწვრთნელმა გენადი შიპულინმა შეგირდთა დაცვის სისუსტესა და ბურთის ცუდად მიღებაზეც დაიწუწუნა.

თავის მხრივ, მატჩის სირთულეს ხაზი გაუსვა ბრაზილიელთა კაპიტანმა ნალბერტმაც. კაპიტნის თქმით, რუსებთან პაექრობა ძალზე რთული იყო, მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ მისმა გუნდმა მანამდეც ძლიერი მეტოქეები - მსოფლიო ჩემპიონი იტალია და იუგოსლავია ჩამოიშორა გზიდან. ამიტომაც გამარჯვებას დამსახურებულად მიიჩნევს.

როგორც წესი, უმთავრეს ასპარეზობაზე დასახელდნენ ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეებიც. ინდივიდუალური პრიზები გადაეცათ ჩემპიონატის საუკეთესო თავდამსხმელს, ბრაზილიელ ენდრეს, პორტუგალიელ "ბლოკიროვშიკს" ჟოზეს, ფრანგ მომწოდებელს გრანვორკს, გამთამაშებელს, ბრაზილიელ მაურიციოს და არგენტინელ მცველს მეანს. ტურნირის ყველაზე შედეგიანი და ძვირფასი მოთამაშის პრიზი კი ერგო ასევე არგენტინელ მილინკოვიჩს. გარდა ამისა, დასახელდა მსოფლიოს სიმბოლური ნაკრებიც. მასში არიან ბრაზილიელი ენდრესი, ფრანგები ენო და ანტიგა, იუგოსლაველი ნიკოლა გრბიჩი, პორტუგალიელი ჟოზე და რუსი სერგეი ტეტიუხინი.



C1 თამუნა თოფურია ასაკი-15, 181/86/63/93, თვალის-მწვანე, თმა-წაბლის



C2 გვანცა ქოლაძე ასაკი-16, 167/78/60/85, თვალის-თაფლის, თმა-წაბლის



C3 ეკა ფარადაშვილი ასაკი-16, 171/80/60/80, თვალის-ყავისფერი, თმა-შავი



C4 თაკო კავკასიძე ასაკი-15, 170/86/63/92, თვალის-თაფლის, თმა-წაბლის



C5 ვერონიკა გოგიაშვილი ასაკი-16, 175/85/63/90, თვალის-ცისფერი, თმა-ღია წაბლის



C6 ქეთი ფირცხალავა ასაკი-15, 168/88/63/93, თვალის-ყავისფერი, თმა-წაბლის

გაზეთი "24 საათი" და მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრი" წარმოგიდგენთ სილამაზის კონკურსს

მის ფოტო მოდელი 2002

მონაწილეობის მისაღებად იწვევენ 15-დან 30 წლამდე ასაკის გოგონებს.

1. მის ფოტო მოდელი 2002
2. ვიცე მის ფოტო მოდელი 2002
3. საუკეთესო საცურაო კოსტუმი

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მოგვაკითხეთ მისამართზე

მის ფოტო მოდელი 2002 1 2 3 4 5 6

## TV პროგრამა 15 ოქტომბერი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ჯუნგლების წიგნი
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 ქალთა ქვეყანა
10.40 გურმანთა მეგზური
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი "მაცდური სიყვარული"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 ქალთა ქვეყანა
18.00, 21.00 კურიერი
18.20 სერიალი "ტალღის ქიმზე"
19.15 პერეკრესტოკი
19.50 სერიალი "მაცდური სიყვარული"
22.00 "ვის უნდა ოცი ათასი"
22.50 კურიერი
00.20 მხ. ფილმი "კაციჭამია" მთ. როლებში გაი პირსი, რობერტ კარლაილი
02.20 კურიერი.
02.30 კლასიკა.

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 "ზოოპარკი"
10.05 მხ. ფილმი "უკანასკნელი მოჰიკანი"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი "რვაფეხა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 "ლერერის შოუ"
15.15 მხ. ფილმი "ტკბილი ტყუილი"
16.45 დოკ. სერიალი "მოდი ვიცეკვოთ"
17.00 სერიალი "ძილის წინ"
17.15 შემეცნებითი ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო"
17.40 დოკ. სერიალი "ჩვენი სახლი"
18.00 ვესტნიკი
18.20 გასტი-ბუზუ
18.40 "და არს მუსიკა"
19.05 "ვიდეოპატრული"
19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე"
21.00 სერიალი "რვაფეხა"
22.00 "დრო და ფული"
22.15 "სათავეებთან"
23.00 "დღის ბოლოს"
23.40 ტელესერიალი "ძილის წინ"
00.00 მხ. ფილმი "უფროსი ვაჟიშვილი"

### პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი
07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 "ტოროლა"
11.00 "მუსიკალური ათეული" გამეორებით
13.00 "ვიდეო-რადიო" განმეორებით
13.45 მხ. ფილმი
17.00 "კომედია" მხ.ფ. "ყირამალა"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 "მო"
21.00 ევროპული ათეული
22.00 ჩაძირობანა
23.00 მუსიკა
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "წყნარი ოკეანის ისტორია".
02.10 "ღამურა" მხ.ფ. "უეჭველად დამნაშავე".
03.10 ნონ-სტოპი

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები"
20.30 ამბები ჩვენზე
20.50 ოქტაგონი
21.30 ასპარეზი
22.10 ჰიტ-პარადი
22.20 მხ. ფილმი "პოლიციელის სიტყვა"

### ევრიკა

10.00 მხ. ფილმი "უსაზღვრო უკანონობა"
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი"
12.25, 21.30 "სალონი"
14.00 მუსიკალური პაუზა
15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 მუსიკალური ტაიმაუტი
20.00 მსოფლიო სპორტი
23.00 სტუდია "ეკონომისტი"
00.00 მუსიკა
00.40 მხ.ფ. "ექიმი "ტ" და მისი ქალები"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.45, 14.10, 17.20, 19.30, 21.45, მუსიკა
08.30, 13.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
08.45 ბურთი და მოედანი
09.05 მხ.ფ. "სიყვარულის ფურცელი"
10.25 დოკ. სერიალი
10.50 მხ.ფ. "კეიტი და ლეო"
13.10, 17.30 მულტფილმი
18.00 დოკუმენტური ფილმი
20.00 მხ.ფ. "ტეხასის რეინჯერები"
22.30 ძველი კინო "ცხოვრება მშვენიერია"
00.50 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 დოკ.ფილმი "აფრიკიდან"
14.30 მხ. ფილმი "აფიორა"
16.30 მუსიკა
17.00, 19.00, 20.30, 00.00 "დღეს"
17.15 მხ. ფილმი "ქურდი ქალი"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი "ტიტანიკი"

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "ალექსი" 21-ე სერია

10.15 მხ. სერიალი "მოჯადოვება"
11.15 მხ. ფილმი "ზვიგენის თავდასხმა 2"
12.45, 22.00 მუსიკა
13.00 დოკ. ფილმი "პიკასო"
14.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი"
14.45 მხ. ფილმი "სამკაული სატრფოსათვის"
16.15 "ქართველი მთასვლელობის ქრონიკები"
16.45 დოკ. ფილმი "ველური ბუნება"
17.45 მულტფილმი "ალექსი" 22-ე სერია
18.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო"
18.45 "გაიხსენეთ საბჭოთა საქართველო"
19.00 მხ. სერიალი "მოჯადოვება"
20.00 "ევროპის სტადიონებზე"
21.10 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "ალჰამბრა მავრთა სასახლე-ესპანეთი".
21.30 დოკ. ფილმი "რ. გაბრიაძის ნახატების არაჩვეულებრივი გამოფენა"
22.10 მხ.ფ. "ძნელად ნაშოვნი ფული"
00.20 მხ.ფ. "მომაკვდინებელი მთვარე".

### აჭარის ტელევიზია

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 სათავგადასავლო ფილმი "საიდუმლო კუნძული"
11.15 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 ისტორიული ფილმი "რევოლუცია"
14.15 თრილერი "მეცხრე სესია"
16.15, 19.30, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
16.25 მულტფილმი
17.10 კომედია "მეექვსე მოთამაშე"
19.20, 22.30, 00.30 "ნოვოსტი"
19.30, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
19.40 დოკუმენტური ფილმი
20.30 ქართული მხატვრული ფილმი "სპირალი"
22.00, 00.00 "დღეს"
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.10, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.10 დოკუმენტური ფილმი
01.10 დეტექტივი "გამოსავალი არ არის"
03.30 თრილერი "სპეციალისტი"

### VII არხი

09.05 ამინდის პროგნოზი
09.40 "აჩიკუდა"
10.05 "ბედნიერი ერი"
10.05 "სახლიდან გაუსვლელად"
10.50 "ავტოტრეკინგი"
11.30 ანიმაცია
11.50 "სახლიდან გაუსვლელად" - ავეჯი
12.05 "ბრძოლა წესების გარეშე"
12.35 "სახლიდან გაუსვლელად"
13.05 "ბიორითმი"
13.30 დისნეი და მისი მეგობრები
13.45 "სახლიდან გაუსვლელად"
14.20 ჰოროსკოპი
14.25 სპორტი
18.05 ამინდის პროგნოზი
18.10 პრესა
18.20 "სახლიდან გაუსვლელად"
19.00 "აჩიკუდა"
19.40 "სახლიდან გაუსვლელად"
20.10 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.25 "სახლიდან გაუსვლელად" - ავეჯი
20.45 "ღამის კაპრიზი"
22.05 "სახლიდან გაუსვლელად"
22.30 "კინოკლუბი " - "ბნელი ქალაქი".
00.05 პრესის მიმოხილვა
00.10 მელოდია
01.10 "სახლიდან გაუსვლელად"
01.45 "ბიორითმი"
02.10 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.00 "Доброе утро"
10.00. 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Жди меня
11.10 Худ.фильм "СЕРДЦА ТРЕХ"
12.20 "Фабрика звезд"
12.35 Дисней-клуб
13.15 Детектив "БАБОЧКА В СЕРЫХ ТОНАХ"
15.05 Худ.фильм "ВРЕМЯ ЛЮБИТЬ"
16.15 Док. детектив. "Черный передел"
16.50 Детектив "ДРОНГО"
18.00 "Большая стирка"
19.25 "Смехопанорама"
20.00 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
21.00 "Последний герой 2". "Черное и белое"
22.00, 01.00 Время
22.40 Сериал "СПЕЦНАЗ". "СЛОМАННАЯ СТРЕЛА"
23.40 "Адольф Гитлер. Билет в одну сторону". Фильм 1
00.30 "Фабрика звезд"
01.15 Худ.фильм "СТАЛИН", часть 1
02.25 Триллер "В ТЕМНОТЕ"

### РТР

06.45 "Доброе утро, Россия".
09.45 Сериал "БРИГАДА".
10.50 Сериал "ЛИНИЯ ЗАЩИТЫ".
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.20 ВЕСТИ.
12.20 ВЕСТИ-СПОРТ.
12.25 Ток-шоу "Цена успеха"
13.25 Сериал "КОМИССАР РЕКС"
14.30 "Колоссальное хозяйство".
14.45, 18.20, 21,35 ВЕСТИ - МОСКВА.
15.25 "Что хочет женщина".
16.20 х.ф."СЕМНАДЦАТЬ МГНОВЕНИЙ ВЕСНЫ".
17.45 ВЕСТИ. ДЕЖУРНАЯ ЧАСТЬ.
18.20 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ. ВОЗВРАЩЕНИЕ"
19.50 Сериал "ВОРОВКА. СЧАСТЬЕ НАПРОКАТ".
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Сериал "БРИГАДА".
23.05 Сериал "ЛИНИЯ ЗАЩИТЫ"
00.35 х.ф."ИНСТИНКТ УБИЙСТВА"
02.25 "Дорожный патруль".

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგვარდება.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.